140
1981

ISSN 0132 — 5978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიმინდარი

2
1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVI ყრილობას ეიეკრვნა

მოწინავე მეფოლადე უ. ივანიაშვილი ფოლადის დნობის საიდუმ-ლოებას აცნობს პიონერებს.

მარტენის საამქროს ჩამომსხმელი ა. ნოზაძე ფოლადის ნადნობისაგან ჩამოსხმულ სუვენირებს გადასცემს პიონერული დნობის მონაწილეებს.

ამ მომცრო ვაგონეტებში, წარწერა „პიონერული ნადნობი" რომ ამშვენებს, 1.100 ტონა ლითონის ნამსხვრევია — საქართველოს პიონერიის ტრადიციული, ამჯერად კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი ნობათი, რომელიც მთლიანად ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამშენებლო ობიექტის — ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ხიდებისა და რკინიგზის საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

28 იანვარს პიონერული დნობის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შეიკრიბნენ მარშრუტ „პიონერმშენის" ოპერაცია „შავ საბადოში" გამარჯვებული პიონერები, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ქარხნის სახელოვანი ადამიანები.

მოახლოვდა გადამწყვეტი წუთი: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, მოწინავე მეფოლადე უშანგი ივანიაშვილი და მეფოლადის პირველი ხელისშემწყობი თენგიზ მარუაშვილი პირველ პიონერულ ნადნობს უშვებენ. მარტენის ღუმელებში ვარვარებს გამდნარი ლითონი.

წინასაყრილობო ვახტზე სასახელოდ იშრომეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის, რუსთავის მე-10, მე-11, მე-17, მე-19 და 21-ე სკოლების, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების პიონერულმა რაზმებმა და რაზმეულებმა.

მართლაც რომ მხარი უსწორეს პიონერებმა კომუნისტებს თავიანთი ალალი გარჯით: ზესტაფონის მე-7 საშუალო სკოლამ 16 ტონა ჯართი შეაგროვა, გორის მე-10 საშუალო სკოლამ — 23, თბილისის 150-ე საშუალო სკოლამ — 14, ზუგდიდის რაიონის ორსანტიის რვაწლიანმა სკოლამ — 6,5 ტონა.

სწორედ პიონერთა მიერ შეგროვილმა ამ ტონებმა, თითოეულის მცირედმა შრომითმა წვლილმა შექმნა ის სერიოზული შრომითი გამარჯვება, რომელსაც საკმაოდ სოლიდური ციფრით 1.100-ით გამოსახავენ.

ნინო ხარაზიშვილი

ფოტო
რ. ბაბრიჯიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ითქვა

მეტ ყურადღებას მოითხოვს პიონერული ორგანიზაცია. დღევანდელი პიონერები, ოქტომბრელები — ესენი XXI საუკუნის მომავალი მოქალაქენი, კომუნისტები არიან. და იმაზე, რანი დადგებიან ისინი, დამოკიდებულია ის, თუ როგორი იქნება ცხოვრება მომავალში. „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს“ — ეს დევიზი უნდა გახდეს ჩვენი ყრილობის ერთ-ერთი განაწესი ყველასათვის. თითოეული საბავშვო ბაღი, ყოველი სკოლა, თითოეული პიონერთა სახლი, სპორტული ნაგებობა, თითოეული საბავშვო სამედიცინო დაწესებულება, ბავშვთა ყოველი ჯანმრთელობისა და დასვენების კერა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ბავშვებს ეკუთვნის და ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული, საუკეთესო და მხოლოდ საუკეთესო უნდა იყოს. და ყოველივე ეს გარემოსილი უნდა იყოს აღზრდის ისეთი ატმოსფეროთი, როცა მომავალ მოქალაქეთა მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას, უფრო მეტიც, მათი პოლიტიკური სიმწიფის ჩამოყალიბებას ბავშვობის წლებიდანვე უნდა ეყრებოდეს მტკიცე საფუძველი ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში.

ე. ა. შევარდნაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

16. 829

გულით აღვიქვით, საქმით ვუპასუხებთ!

მოზარდი თაობის ძვირფასი მეგობრის ე. ა შევარდნაძის ამ სიტყვებმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა უსაზღვრო სიყვარულითა და მზრუნველობით ვართ გარემოსილი ჩვენი მშობლიური პარტიისა და ხალხის მიერ. ჩვენ, საქართველოს ნორჩი მოქალაქენი, გოგონები და ბიჭუნები ვფიცავთ, რომ გავამართლებთ ამ ზრუნვასა და ნდობას ბეჯითი სწავლით, მტკიცე დისციპლინით ვუპასუხებთ მას, კომუნისტებისაგან ავიღებთ მაგალითს, შრომით სემესტრში თუ შაბათობებზე ჩვენი ნორჩი ხელებით შექმნილ ფასეულობას შევმატებთ საერთო-სახალხო დოვლათს, მეტ პიონერულ ნადნობს, „მწვანე ოქროს“, პირუტყვის საკვებს მივცემთ სამშობლოს, ჩვენი მხატვრული შემოქმედებით გავახარებთ უფროსების გულს, სამშობლოს სასახელო შვილებად გავიზრდებით. და როცა მტკიცე, საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებულნი დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გავალთ, მთელი ჩვენი ენერგიით, ალალი შემოქმედებითი შრომით ახალ ძალას და ბარაქას შევმატებთ ხალხსა და ქვეყანას. **ჩვენ, 80-იანი წლების ნორჩი თაობა, კომუნისტებს ვუსწორებთ მხარს!**

ე. შევარდნაძის სახ. საქ. ბიბ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ჰიონერი

№ თებერვალი 1981

დაარსდა 1926 წელს

სკკ ქკ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი სტრიქონი საყრილობო ველაკაში

ღონ ჰიდრე ჯევრი საქმეა

გუზან რუსაიძე

— ...საყრილობოდ? — კითხვას აბრუნებს საქ. ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგე ზურაბ ჩხარტიშვილი. — სკკპ 1980 წლის ივნისის პლენუმიდან მოკიდებული, ყოველგვარი მუშაობა ჩვენს პიონერულ ორგანიზაციებში საქართველოს კპ და სკკპ XXVI ყრილობების ღირსეულად შეხვედრის მიზნით მიმდინარეობდა. და, უნდა მოგახსენოთ, თავი არ შეგვირცხვენია, ყრილობისათვის წარდგენილ პატაკში ჩვენი პიონერული სტრიქონიც გახლავთ ჩაწერილი...

მაღალფანჯრებიან ოთახში გარედან მზის სხივების ჩქერი შემოდის. არცთუ ისე შორს ზღვა მოჩანს — წყნარად მფრთონავი უკიდეგანო ფირუზისფერი სივრცე. დარი დგას აჭარაში, მზიანი დარი, და უნებლიეთ მახსენდება ცნობილი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“...

— ზაფხულშივე საქალაქო თუ ქალაქგარე, სპორტულ-გამაჯანსაღებელ თუ შრომა-დასვენების ბანაკებში, სადაც 7000-ზე მეტმა მოსწავლემ დაისვენა. — განაგრძობს ზ. ჩხარტიშვილი, — გავშალეთ ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ეწყობოდა შეკრებები თემებზე: „შრომა დიდების ჰიმნია!“, „ვინა სთქვა, საქართველოში არ ყოფილაო ლენინი?!“, „იმ ქარიშხლიან დღეთა სახსოვრად“ და სხვ.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მოსწავლეთა შრომითი მეოთხედი, რომელშიც 4300-მდე პიონერი მონაწილეობდა. ეს ახალგაზრდები არც ადრე ყოფილან გულხელდაკრეფილნი, მაგრამ წელს მაინც განსაკუთრებული ფხა გამოიჩინეს.

და აი, შედეგიც:

მოიკრიფა 191 000 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი, 15 900 კგ ხილი, 10 800 კგ ბოსტნეული;

გაითოხნა 347 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია;

შეგროვდა და დამზადდა 456 ტონა პირუტყვის საკვები;

პიონერებმა საკუთარი ძალებით შეაკეთეს 15 სკოლის შენობა.

თითოეულმა მოსწავლემ საშუალოდ 480 მანეთის სამუშაო შეასრულა.

რა შემოსავალი მისცეს სახელმწიფოს მოსწავლეებმა?

მარტო მოკრეფილი ჩაის ღირებულებამ 148 130 მანეთი შეადგინა;

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ღირებულებამ — 48 253 მანეთი;

სულ შრომითი მეოთხედის განმავლობაში შესრულებულია 255 148 მანეთის სამუშაო.

ეს კი, თავადაც მიხვდებით, მცირე თანხა არ არის. აი, რა შეუძლიათ პაწია ხელებს, როცა მათ სწორად მიმართული აზრი და ენთუზიაზმით სავსე გული ხელმძღვანელობს!..

გავიდა ლამაზი თავგადასავლებითა და საინტერესო საქმეებით სავსე ზაფხული. დადგა შემოდგომა — სწავლისა და შრომის. ჯერ ფეხდაუდგმელი მწვერვალებისაკენ აღმასვლის არანაკლებ საინტერესო დღეთა მწკრივი. ახალი აღმავლობით გაიშალა წინასაყრილობო სამზადისი. აჭარის ასსრ 32 ათასმა პიონერ-

გათუმის მე-2 საშუალო სკოლაში ტრადიციად იქცა შეხვედრები ომისა და რევოლუციის ვეტერანებთან.

მა კრიტიკის თვალით გადახედა განვლილ გზას, აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობა და სამომავლოდ რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაითვალისწინა.

რაიონებში თუ ქალაქის სკოლებში — ყველგან ერთი მიზნით, ძირითადად საერთო მეთოდებით, მაგრამ მაინც ორიგინალური ხაზით გაიშალა მუშაობა.

და წარმატებებიც მოვიდა, გაკეთებული საქმის სიხარულიც.

აი, მაგალითებიც:

ჟოგულეთის მეექვსე საშუალო სკოლის პიონერებმა საქართველოს კომპარტიისა და სკკპ XXVI ყრილობებს მიუძღვნეს მათ მიერ გამოყვანილი ჩაის ახალი სელექციური ჯიში. ამაზე, სხვათა შორის, „იუნი ნატურალისტიც“ წერდა.

მე-8 საშუალო სკოლის პიონერის ავთანდილ მეგრელიძის მიერ დამზადებულმა „დიაპროექტორ-პიონერ-2“-მა ოქროს მედალი დაიმსახურა.

კონდიდის რვაწლიანი სკოლის პიონერებმა შარშან მეორედ მოიპოვეს საპატიო უფლება — მონაწილეობა მიეღოთ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პიონერული ნადნობის საზეიმო გამოშვებაში.

ჩაქვის ქართული საშუალო სკოლის პიონერებმა ჩამოაყალიბეს თოჯინების თეატრი. ამავე სკოლის წითელკვალმაძიებლებმა დაადგინეს ძმათა სასაფლაოზე დაკრძალული 72 უცნობი მებრძოლის ვინაობა.

ჭედის რაიონის ახოს საშუალო სკოლის პიონერები სკკპ XXVI ყრილობის სახელს არქმევენ ხეივანს, რომელიც სკოლის ეზოში შენდება. აქ 150 ძირზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ხე იხარებს.

წონიარისის საშუალო სკოლის პიონერთა მე-2 რაზმის ინიციატივას — „არც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე კლასში სკკპ XXVI ყრილობის წინ!“ — მხარი დაუჭირეს მთელი რაიონის პიონერებმა.

რაიონის სკოლებმა საქალაქო კონკურსზე — „ნორჩი ტექნიკოსები და ნატურალისტები სამშობლოს!“ — ფრიად საინტერესო ექსპონატები წარადგინეს და მოწონებაც დაიმსახურეს.

პიონერებმა შეაგროვეს 27 ტ ჯართი და 23 ტ. მაკულატურა.

ხულოს რაიონის პიონერულ რაზმეულებში ხშირად ეწყობოდა (და ახლაც ეწყობა) შეკრებები დეკიზით „ჩემი სამშობლოს რუკასთან“, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობას მიეძღვნა. რაიონის პიონერები მეგობრობენ 80 შინმოუსვლელის ოჯახთან. განსაკუთრებით აქტიურობენ ხიხაძირელი თემურელები.

ვიდრე პეტრას მრისხანე ციხეს დალაშქრავდნენ. მეორესკოლელებმა სამხედრო თათბირი გამართეს.

წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები მესაზღვრეთა დიდი მეგობრები არიან. ნორჩ მესაზღვრეთა 25 რაზმში 250 პიონერია გაერთიანებული — საზრიანი, თვალმახვილი, გაბედული, ფიზიკურად ძლიერი გოგონები და ბიჭუნები.

18 სკოლაში მუშაობს ცნობისმოყვარეთა კლუბები.

განსაკუთრებით ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ხულოს საშუალო სკოლის ელექტროტექნიკის წრე, რომელშიც 35 მოსწავლეა გაერთიანებული.

რაიონის პიონერებმა 35 ტონამდე ჯართი და 12 ტონამდე მაკულატურა შეაგროვეს.

ბათუმის აკ. წერეთლის სახ. 22-ე საშუალო სკოლაში 447 პიონერია.

რაზმებს შორის სექტემბერშივე გაიშალა წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება. ჟიურიმ უკვე გამოავლინა გამარჯვებულები: VI-ა და VI-ბ კლასები (I ადგილი), VII-ა კლასი (II ადგილი), VIII-ა კლასი (III ადგილი).

— რაზმეულმა 13 ტონა ჯართი და 8 ტონაზე მეტი მაკულატურა შეაგროვა, — გვიამბობენ პიონერხელმძღვანელები ნატო მოისწრაფეშვილი და ნინო გოგოლიშვილი. — განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მ. რამიშვილმა (V კლასი), ა. გოგუაძემ და ვ. კაცაძემ (VI კლასი), მ. ჯიჯავაძემ (VII კლასი), რ. ნაკაშიძემ (VIII კლასი). არც გასაკვირია, ეს ბავშვები ყოველგვარ პიონერულ საქმიანობაში მოწინავენი არიან.

— ვმეგობრობთ ბათუმის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანებასთან, — გვითხრა VIII-ა კლასის პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ როინ ნაკაშიძემ, — კერძოდ, მის მოწინავე ოსტატ ლიანა ყავრელიშვილთან. ლიანა ახლა 1984 წლის ანგარიშში მუშაობს და თავისი ბოლოდროინდელი შრომითი წარმატებები საქ. კპ და სკკპ XXVI ყრილობებს მიუძღვნა. ჩვენ ხშირად მივდივართ ლიანასთან და ერთმანეთს ანგარიშს ვაბარებთ ჩვენი მიღწევების შესახებ. ჩემთან ერთად მოდიან ხოლმე ჩემი თანაკლასელი ნანა ჩხაიძე, მეხუთეკლასელები კობა კილაძე, ნატო მესხიძე, ნანა ღლონტი და სხვები.

პიონერებმა აიტაცეს „შუქურას“ იდეა, შექმნეს საგუშაგოები, დაინაწილეს სამეთვალყურეო უბნები. ნოემბრის დასაწყისში მათ აჭარისწყლის ჰიდროელსადგური დაათვალიერეს და იქაურმა მუშებმა და ტექნიკოსებმა ნათლად აუხსნეს ბავშვებს, რა ფასი აქვს თითოეულ კილოვატსაათს, რა შრომაა დახარჯული მის მოპოვებაზე.

ქალაქში ცნობილი არიან აქაური თემურელები. პიონერები აქტიურად მონაწილეობენ ოპერაციებში: „მილიონი — სამშობლოს!“, „ბამს — პიონერული მატარებლები!“.

(დასასრული იხ. 22-ე გვერდზე)

ნუგზარ
აფხაზავა

მოთხრობა

მხატვარი
ზურაბ მეძმარიაშვილი

თავი პირველი

სააბაზანოდან წყლის ჩხრიალის, ხველისა და ფრუტუნის ხმა გამოდიოდა. კობამ ჩავლისას მუშტი გაჰკრა კარს — ვიცომ შემთხვევით მოუხდა. ფრუტუნი წამით შეწყდა და „ჰეი, ჰეიო!“ — მოისმა შეძახილი.

— აღარ გამოვა ეს კაცი დღეს აქედან? — ჩაიბუზღუნა კობამ, სამზარეულო გაიარა და აივანზე გავიდა. — წაიღო, რა, გული!

— რა მოხდა, ბიჭო, შენ რა ნერვები გეშლება? — აივანზე შუბლშეკრული დედა გამოვიდა. — შენი შენიშვნის გარეშე კაცმა დილით ხელ-პირი ვერ უნდა დაიბანოს, ხომ?

— სულ ერთია, ბენზინის სუნს მაინც ვერ მოიშორებს.

— ასჯერ მითქვამს: არ არის ეგ შენი საქმე!

— კი ბატონო, დამითმია, შენი საქმე იყოს.

— გირჩევნია, უკმეხობას თავი დაანებო. მით უმეტეს, შენ რომ პურს ჭამ, თუ არ ვცდები, სულაც არ ასდის ბენზინის სუნი. ხომ ასეა?

კობა შებრუნდა, მოაჯირს დაეყრდნო და ეზოში გადაიხედა.

— არც ეგ შენი ორასმანეთიანი ჯინსის შარვალი ყარს ბენზინის სუნით, — მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა დედამ. — ასე რომ... სანამ რამეს იტყოდე, ცოტა დაუკვირდი ხოლმე.

ეზოში რატი და კახა კოპლებიან ბურთს უბაქსუნებდნენ. რატი ერთი წრიპა ბიჭი იყო, კახას კი ლოყები ასდებოდა და ჭიპი გადმობრუნებაზე ჰქონდა, მაგრამ მეგობარს ტოლს არ უდებდა და ბურთს ქოშინით დასდევდა. ეს ბიჭები ერთ აკვანში არ წოლილან, თორემ ფეხი ერთად აიდგეს, სკოლის კარი ერთად შეაღეს, აგერ ძეხუთე წელია ერთად და ერთნაირად სწავლობენ და კობას არ ახსოვს, რომ რომელიმე მათგანი კენტად დაენახოს ეზოში ჩასული.

სააბაზანოდან ახლა სიმღერა ისმოდა (მირიან კორძაძე წელზემოთ ტანს იზელდა ხაოიანი პირსახოცით):

Песня нам жить и
Строить помогает...

ეს მირიანის საყვარელი სიმღერა იყო. მთელი ტექსტიდან მხოლოდ ეს ორი სტრიქონი დაემახსოვრებინა და გაფუჭებულ ფირფიტასავით სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა. კობამ ყურებზე ხელები აიფარა.

ეზოში გიამ ჩაიქროლა ველოსიპედით — მთელ ეზოში მარტო მას ჰქონდა ორთვლიანი ველოსიპედი და ამაყად მიაგელვებდა. კახას მიერ დარტყმულ მაღალ ბურთს ხელი შეაგება, ოსტატურად ჩამოხსნა, მკერდზე მიიხუტა და გამეტებით დააწვა. პედალებს. რატიმ გზის გადაღობვა სცადა, მაგრამ გიამ მოხერხებულად აუქცია გვერდი და აყვირებული ბიჭები უკან ჩამოიტოვა. მერე ბურთი ჰაერში შეათამაშა, ხელისგული ჩოგანივით ამოჭკრა და დადევნებულ კახასა და რატის თავზე გადაავლო. თვითონ კი აღმა აჰყვა ასფალტს — თონეში თუ მიდიოდა პურის ამოსატანად.

„ეჰ, რა კარგი იყო, ამათი ტოლი რომ ვიყავი, — გაიფიქრა კობამ. — არაფრის დარდი არა აქვთ, არაფერი აწუხებთ, თამაშობენ და არიან თავისთვის...“

საუზმედ შემწვარი სულუგუნი, იმერული ყველი, ნიგვზიანი ნამცხვარი „იდეალი“ და ჩაი ჰქონდათ. სუფრა სამზარეულოში იყო გაწყობილი.

— აბა ჰე, მოდი, ყმაწვილო კაცო, წავისაუზმოთ, — ხელები მოიფშვნიტა მირიან კორძაძემ და ხრიგინით გამოსწია სკამი. — ნელიკო, თითო კონიაკსაც დავურტყამდით ახლა, რო რამე იყოს. შენ რას იტყვი, ყმაწვილო კაცო, არ გვაწყენდა მგონი, ა?

„ყმაწვილო კაცო!“ რა აუტანელი კილოთი ამბობდა! კობას თავში წამორტყმა ან ყურის ახევა ერჩია ამას.

— აბა ჰე, — ჭიქა მიუჭახუნა მირიანმა ბიჭს. — შეუბერე, რას ინაზები! ნაღდი „ვარციხეა“, სახინკლეში მორთმეული ფალსიფიცირებული სამვარსკვლავიანი კი არ გეგონოს! — იღუმალი ღიმილით თვალი ჩაუკრა და კონიაკი გადახუხა. — უჰ, ცეცხლივითაა. დალოცვილი. მიდი, მიდი და სულუგუნი მიაყოლე. გადასარევია!

„როდის დამინახა ნეტავი? — პაწია ჭიქას თითებში ათამაშებდა კობა. — ალბათ გასულ შაბათს, ლავრენტას და რაფიკას რომ შევყევი კათხა ლუდის დასალევად. სწორედ ბოლო დღე იყო სკოლაში, იქნებ უფრო ადრეც... დედაჩემს უთხრა ნეტავი? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს...“

— რას შვრები, კაცო, არაფერს ჭამ?

— არ მინდა.

„ყელში გამეჩხირება ლუკმა!“

— გადაჭკარი მაგ კონიაკი და მადაზე მოხვალ. დამიჯერე მე შენ.

სამზარეულოში ნელი შემოვიდა, თითები გაფარჩხული ეკავა და ხელებს მდუღარეში დამწვარივით აქნევდა — ახალწასმულ საღებავს იშრობდა ფრჩხილებზე.

— რა ხდება აქ? — გულისგარეთ იკითხა. მაშინვე კობას სუფთა თეფში შენიშნა. — რატომ არაფერს მიირთმევ? საუზმეს გვიწუნებ თუ რაშია საქმე?

კობამ პურის ნატეხი აიღო, ცხვირთან მიიტანა და დაყნოსა. თან დედისთვის მზერა არ მოუცილებია. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური თავის თეფშზე დადო, კონიაკიანი ჭიქა აიღო, გადაჭკრა და წამოდგა.

— ეს როგორ გავიგოთ? — დაიძაბა ნელი.

— როგორც გენებოთ.

„ვითომ ვერ მიხვდა!“

დედა-შვილმა მზერა გაუსწორა ერთმანეთს.

— დაჯექი, სათქმელი მაქვს, — თქვა ნელიმ და მაგიდას მიუჯდა.

— შენ იჯექი, მე ფეხზე ვიდგები: უმცროსი ვარ.

— კარგია, ეს თუ გესმის. თუმცა, მერვე კლასის მოსწავლე მართლაც უნდა არჩევდეს უფროსსა და უმცროსს. თანაც მხოლოდ ზოგჯერ და მხოლოდ სიტყვით კი არა...

მირიანმა შეგრილებული ჩაი მიიწია.

— ეჰ, მე რომ თოთხმეტი წლისა ვიყავი... — დაიწყო და აღარ დაასრულა, ფინჯანში შაქარი ჩაიყარა და კოვზის რაკარუკით მოურია. — სალაპარაკო კი მართლაც გვაქვს, უმაწვილო კაცო. ე, მოუსმინე დედაშენს.

— ბრძანეთ.

„უმაწვილო კაცო!“

— მირიანმა ძლივსძლივობით მოახერხა ორი საგზურის შოვნა, მესამეც უნდოდა, მაგრამ ხომ იცი, რა ძნელია, ქეეყანას გაგრა და ბიჭვინთა მოუნდა წელს. — ნელიმ თითები შეატრიალ-შემოატრიალა, საღებავი თუ შემაშრაო. მაგიდასთან ახლოს მიიწია და შემწვარი სულუგუნის მოზრდილი ნაჭერი გადმოიღო. — შენ მაინც გულში იად არ გიყვავის ჩვენთან სიარული, თანაც ახლა კარგა დიდი ბიჭი ხარ და მგონი კი მოუვლი შენს თავს ამ ოცდაათიოდე დღეს. სახარჯო ფულს დაგიტოვებთ. შენ რომ გგონია, იმაზე მეტს. — ამ ლაპარაკში სულუგუნი დანით დასერა და ვიდრე ნაჭერს პირში ჩაიდებდა, შვილს ახედა. — რას იტყვი?

კობამ მხრები აიჩეჩა.

— მაგას ახლა, მე ვიცი, მარტო ყოფნა ყველაფერს ურჩევნია, — ჩაილაპარაკა მირიანმა. — კი, ვიცი მე ეგ. აქეთ — ფირფიტები და კინო, იქით — სტადიონი და ნაყინი. მოკლედ, სამოთხეში იქნები, ა, უმაწვილო კაცო?

— კი, — თავის დაქნევით დაეთანხმა კობა, — ნამდვილად სამოთხეში ვიქნები. თქვენ როდის მიემგზავრებით? — მიუბრუნდა დედას.

— თხუთმეტ ივნისს. უჰ, კიდევ ათი დღეა მანამდე. ამ ათ დღეში ყველაფერს დაგირეცხავ, დაგიუთოვებ... ფრჩხილებზე რას მიყურებ? — გაეცინა ნელის. — გადამივა და კიდევ შევიღებავ. შენ ეგ ნუ შეგაწუხებს. მაშ შევთანხმდით, ხომ?

— მე რომ გითხრათ, მარტო ვერ დავრჩები-მეთქი, მაგ საგზურს გააუქმებთ?

— ხუმრობ? — გაეცინა ნელის.

„მსახიობები!“

— ჰო, ვხუმრობ. — კობამ მძიმედ დააქნია თავი. — კარგი, ბატონო, გაემგზავრეთ, დაისვენეთ. მე... მე ერთ კვირას კიდევ დავრჩები თბილისში, მერე კი ბებიას ჩავაკითხავ სოფელში... წავედი...

კობამ კარი რომ გაიხურა, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედა.

— ექვსი წელია მას შემდეგ... და ექვსი წელია, სოფელში წასვლა არ მოუსურვებია, — დაფიქრებით ჩაილაპარაკა ნელიმ, — ახლა რა მოელანდა?

— წერილი ხომ არ მიუღია შენი დედამთილისაგან? ბოდიში — ნადედამთილარისაგან...

— არა, არა!.. ხომ იცი, აღარ გზავნის ის ქალი წერილებს. თანაც არ გამომეპარებოდა, ბიჭს წერილი რომ მიეღო.

— ჰიჰ! გეგონოს შენ ასე! მაგას უკვე იმდენი საიდუმლო აქვს, ნახევარი რომ იცოდე — ეჰეე!

— რა საიდუმლო?!

— არა, ისეთი არაფერი... ამ ასაკში ახალი ინტერესები უჩნდებათ ხოლმე ბიჭებს. მწვერვალებს ეტანებიან, წინ არ იხედებიან და ხან მარცხენა ფეხით წაიასკინკილავებენ, ხან მარჯვენით, ერთი-ორს წაიბორძიკებენ, ამასობაში დაღვინდებიან და წავლენ მერე ან აქეთ, ან იქით, ოღონდ თავის ჭკუაზე, თავის გემოზე მოზომილი ნაბიჯით. თავისით დაღვინდებიან, ჩვენს ჩაურევლად.

— მირიკო, თუ რამე იცი, არ დამიმალო, — ბავშვივით დაუქნია საჩვენებელი თითი ნელიმ. — ისე, საიდუმლოს საკითხში მართალი ხარ, ხომ იცი! შენთვის დღემდე არ მითქვამს, სულ გადამვარდა გულიდან: ამ ორი თვის წინათ... აპრილი იქნებოდა დაწყებული... ჰო, ნამდვილად ასე იყო, ქართულის მასწავლებელი მოსულა ჩვენთან. ახალი კაცია, პირადად არ ვიცნობ. ჩვენ სამსახურში ვყოფილვართ, კობა მარტო დახვედრია შინ.

— არ დაიშალეს ეს სახლში სიარული?! ხომ ვუთხარი ერთხელ გარკვევით მაგათ სასწავლო ნაწილის გამგეს: ბავშვს ჩვენ ვაჭმევთ, ვაცმევთ, ვახურავთ, მეცადინეობის ყველა პირობას ვუქმნით, დანარჩენი კი თქვენზეა, ცოტა თქვენც შეიწუხეთ თავი, ასწავლეთ, აღზარდეთ და კაცი გამოიყვანეთ-მეთქი? რაში მჭირდება მაგათი ვიზიტები?!

— რატომ ცხარობ, მირიკო, ხომ გითხარი, ახალი კაცია და ალბათ ისე მოვიდა, უბრალოდ, კობას ახლოს გასაცნობად.

— თვითონ გიამბო?

— ბიჭმა? არა, ვენერამ მითხრა, ჩვენმა მეზობელმა. თითქმის ერთ საათს იყო თურმე აქ. ნეტავი რა ჰქონდათ ამდენი სალაპარაკო? ლილი აღნიაშვილს დავურეკე, სადამრიგებლო კლასი ხომ არ შეგიცვალეს-მეთქი? რატომ მეკითხებიო? მოვუყევი. გადაირია ქალი, აკივლდა ტელეფონში, როგორ გამიბედა ეს ამ უმწიფარმა ფილოლოგმაო! დირექციაში ვუჩივლებო.

— პიონერები არ ყოფილან ჯერ? — ჩაიხითხითა მირიანმა.

— შენ ნუ იცი ყველაფრის გამასხარავება! — იწყინა ნელიმ.

— რატომ, რატომ... — მირიანმა ხითხითი შეწყვიტა, მაგრამ ეშმაკური ღიმილი მაინც ვერ გადაირეცხა სახიდან. — არაფერს არ ვამასხარავებ მე! გინდა გითხრა, როგორ ხდება? გაიტანენ საკითხს რაზმის საბჭოს სხდომაზე, იკამათებენ, იმსჯელებენ, მიამგრებენ რომელიმე წარჩინებულ პიონერს და დაიწყება მერე ვიღაც ხათუნას, დათოს ან უშანგის აღმზრდელობითი ვიზიტები. ა, ნახავ აგერ, დღემდე თუ არ ყოფილა, აწი იქნება.

ნელიმ პროტესტის ნიშნად თავი მიაბრუნა. ერთ ხანს უგემურად ღეჭავდა სულუგუნს.

— არა, მაინც რატომ გაუწია გულმა სოფლისაკენ? — ისევ თავისთავს დაეკითხა ბოლოს. — ა, მირიკო? — ახლა ქმარს ახედა.

— ეჰ, რას გაიგებ თანამედროვე ახალგაზრდებისას! — ფილოსოფიური სიღინჯით დააქნია თავი მირიან კორძაძემ. — აბა, ჰე, მოვრჩეთ ახლა, დაასრულე ეს საუზმე და ავჩქარდეთ, თორემ შენც საქმე გაქვს და მეც. რაც შეეხება ბიჭის გადაწყვეტილებას... ამაზე მეტი საფიქრალი ნუ მოგცა ღმერთმა! მაგას მოევლება.

— მირიკო, საზაფხულო ფეხსაცმელი მაქვს საყიდელი, იცოდე. მარშანდელს ხომ ვერ ჩავიცვამ, გადავიდა უკვე მოდიდან. სარაფანიც მინდა. გაითვალისწინე, საბანაო კოსტიუმიც.

— ჰო, ჰო, ვიცი. ხვალ-ზეგ უნივერმაღში წაგიყვან, რამე ხეირიანი ექნება საწყობში ბიკენტის. ბიჭიც თან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ
ბორგანელი

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ

მოდის არმია მძლავრი,
მოდის არმია ძმობის.
ზღვას მღელვარებას ჰმატებს
მისი ნაბიჯი მწყობრი.

გზა — უდიადეს მიზნებს,
გზა — გაზაფხულის ნატვრებს.
მისი თვალების შუქი
მზეს ელვარებას ჰმატებს.

გამოიარა ბრძოლით
ცეცხლი, ღვართქაფი, დელგმა...
ნატერფალები მისი
იქცა მშვიდობის ძეგლად.

ჰკითხეთ ცარიცინს, გეტყვით,
რაა სიმტკიცე რვალის.
რაიხსტაგის ცას ახსოვს
მისი მახვილის ალი.

სადაც შეაღო კარი,
მზედ დაეფინა დრო-ჟამს
თავისუფლების რწმენით
თავისუფლების დროშად.

ქვეყნად არ იყოს ომი,
არ იღვრებოდეს სისხლი —
თავი და თავი კვლავაც
აი, მიზანი მისი.

იცავს სამშობლოს მთა-ბარს,
მართალი კაცის კერას.
სადაც არ უნდა ვიყოთ,
მისი მშვიდობის გვჯერა.

ვაშა, ვარსკვლავთა ბრწყინვას,
ვაშა სინათლეს დილის,
მისი ძალაა ხალხი
და ხალხის ნებით ივლის.

მოდის არმია მძლავრი,
მოდის არმია ძმობის.
ზღვას მღელვარებას ჰმატებს
მისი ნაბიჯი მწყობრი.

წამოიყვანე, ახლები ვუყიდოთ. თორემ ხომ იცი სოფლის ამბავი, მამინაცვალია და არ აცმევს და არ ახურავსო, იტყვიან. არ ემეტებაო.

ნელი ჩქარ-ჩქარა ხვრეპდა ჩაის. ფრჩხილებზე საღებავი კარგა ხანია შეუშრა, მაგრამ თითები მაინც გაფარჩხული ეჭირა. საათზე დაიხედა.

— სად წავიდა ნეტავი ასე დილაადრიან? ათის ნახევარია ჯერ.

— ჰიჰ! — რაღაც უცნაურად ჩაიცინა მირიანმა. — ნუ გეშინია, არ დაიკარგება. ისე, დროულად დაინტერესდი სწორედ. ვერ ჰკითხე, სანამ წავიდოდა?

— რა ვიცი, ისე უცებ გავარდა... — ნელის მზერა გაუშტერდა და ცარიელი ფინჯანი ხელში შეაცივდა. — ფეთიანივით... ვითომ მისდევდა ვინმე. — უცებ გამოერკვა და დაფაცურდა. — ჰო, კარგი, წავედით. სუფრას. რომ მოვალ, მერე ავალაგებ.

— ჩავედი აბა მე ქვევით. მანქანას გამოვიყვან და სადარბაზოსთან დაგიცდი. ჩქარა ოღონდ...

სადარბაზოდან გამოსულ კობას რატი და კახა ეზოში აღარ დახვედრია — სასაუზმოდ თუ დაუძახეს დედებმა. ალვების ჩრდილში ვეებერთელა ბულდოგი უშნო კუნტრუშით დასდევდა დამღილულ ტერიერს. პიჟამოში გამოწყობილი პატრონები ძაღლებს თვალს ადევნებდნენ და თან მშვიდად მსჯელობდნენ „დინამოს“ გუშინდელი წაგების მიზეზებზე. იქვე, ყვითელი სილის ბორცვზე, სამი ტრუსისამარა, მზეზე გახუხული ბიჭუნა თამაშობდა.

კობამ ბავშვებით აჟრიამულებული ეზოები გაიარა, წეროსავით მაღალ ფეხებზე შედგმული თვრამეტსართულიან სახლებთან გზატკეცილი გადაკვეთა, ტრამვაის ხაზს აჰყვა და ზღვაზე ავიდა. თხუთმეტიოდე წუთს კაშხალის აირას იდგა და ზღვას გადაჰყურებდა, ქალაქის შუაგულიდან ამომავალ გუგუნში კანტიკუნტად ჩამოვარდნილ სიჩუმეს უსმენდა. მერე, ათი საათი რომ შესრულდა, უკან გამობრუნდა და ახლახან აღმართში ამოხრიგინებულ, დიდუბისკენ პირშექცეულ ლურჯ ტრამვაიში ჩაჯდა.

ვაგონში ხალვათობა იყო, მაგრამ კობა სულ უკან დადგა, ზურგით პრიალა მონიკელებულ ხარიხას მიეყრდნო, იდაყვში მოხრილი ხელებიც იმ ხარიხაზე ჩამოაწყო. უყვარდა აქ დგომა, ტრამვაის სალონი თითქოს ხელის გულზე ედო, თან ქალაქის ქუჩების ცვალებად პეიზაჟსაც ადევნებდა თვალს.

მეორე გაჩერებაზე ტრამვაიში ვაწაძე ამოვიდა, კობას სკოლის მეათეკლასელი. კობა არ შეუნიშნავს, ზლაზვნით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და ბოლოდან მესამე ორადგილიან სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა. ხელ-ფეხი განივრად გადაყარა აქეთ-იქით, საზურგეს მიაწვა და თავი დაბანგულივით ჩაჰკიდა.

ორი გაჩერების შემდეგ ტრამვაიში ყველა ადგილი შეივსო. სამიოდე მგზავრი ფეხზე იდგა, და თუმცა ვაწაძის გვერდით ადგილი თავისუფალი იყო, იქ დაჯდომა არცერთ მათგანს არ უფიქრია.

ელმავალმშენებელ ქარხანასთან კიდევ რამდენიმე მგზავრი ამოვიდა. ერთი მათგანი ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი იყო. წინა ადგილები ბავშვებსა და მოხუცებს ეკავათ, ამიტომ ქალი წინ აღარ წასულა და იმ სავარძლის შორიახლო გაჩერდა, სადაც ვაწაძე იჯდა, იჯდა კი არა, იწვა არხეინად გადაფლაშული.

ცოტა ხნის შემდეგ ფეხზე მდგომ მგზავრებს ერთი სანდომიანი ქალი გამოეყო და ვაწაძეს ფრთხილად შეავლო მხარზე ხელი. ვაწაძემ მძიმედ ასწია თავი და ამოხედა. მერე უდრტვინველად მიბრუნდა ფანჯრისაკენ.

— ახალგაზრდავ! — ალერსიანად უთხრა ქალმა. — მიიწიე ცოტა, გენაცვალე, ხომ ხედავ, ადამიანს ფეხზე დგომა უჭირს. სულ ცოტათი მიიწიე.

— რატომ? — ირიბად ამოაბრუნა თავი ვაწაძემ.

— უჭირს-მეთქი ადამიანს ფეხზე დგომა.

— მერე ტაქსით წასულიყო! — როყიოდ ამოიძახა ვაწაძემ. — მე დავპატიჟე თუ რა?!

სანდომიანი ქალი, ეტყობა, უარს არ ელოდა და დაიბნა.

— კი მაგრამ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ორი ადგილია, გენაცვალე. ჰოდა...

— ორი რომ არის, მე ორი სამკაპიკიანი ბილეთი შევიძინე, ქალბატონო! — ვაწაძემ ბილეთები უჩვენა ქალს. — აი, ნახეთ. თანაც, მე მგონი, მოხუცებისა და ინვალიდებისათვის წინ უნდა იყოს ადგილები ამ ტრამვაიშიც. ასე რომ, კარგად მეყოლეთ! — ვაწაძემ ისევ ჩაჰკიდა თავი და გაყუჩდა.

კობამ ყველაფერი დაინახა და გაიგონა, ისიც იცოდა, რომ ვაწაძეს ძველი ბილეთები ეკავა ხელში, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი შეუმჩნევია, მთელი გუ-

ლისყური ფანჯარაზე გადაიტანა. გარეთ ყველაფერი ასჯერ ნანახი და ნაცნობი იყო, მაგრამ მაინც ქუჩაში ყურება ჯობდა.

სანზონასთან კობამ ნაცნობი დაინახა. ისეთ ადგილას იდგა, ეტყობოდა, ტაქსს ან კერძო მანქანას ელოდებოდა. ღია ფერის შარვალი და ვარდისფერი პერანგი ეცვა, ხელში შავი მოდური პორტფელი — „დიპლომატი“ ეკავა. შარშან ოქტომბერშიც, როცა კობა პირველად შეხვდა, ამ კაცს სწორედ ეს პორტფელი ეჭირა. მაშინ ოქროს შემოდგომის გრილი ამინდის შესაფერისად, ელეგანტურად იყო ჩაცმული: ნაცრისფერი კოსტიუმი, ლურჯზოლებიანი თეთრი პერანგი, ცისფერი სადა ჰალსტუხი, კაკაოსფერი ნატის ფეხსაცმელი; უხდებოდა განზე გადაყოფილი აბრეშუმივით მოხასხასე თმა, კეთილად და ოდნავ გულუბრყვილოდ მომზირალი ელამი თვალები; საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, სიარული წელგამართული იცოდა. ერთი ეგ არის, რომ ხმა ჰქონდა უსიამოვნო, თითქოს ნიადაგ გაციებულიაო, სულ ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდა.

ერთმანეთს კი, აი, რა ვითარებაში გაეცნენ:

იმ დღეს კობა რაფიკას უნდა შეხვედროდა ფოსტასთან. საღამო ხანი იყო. მზის ჩასვლას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. შეწყვილებულ ცხრასართულიან კორპუსებს რომ გაუსწორდა, კობას ძახილი მოესმა. სადარბაზოსთან სამი უცნობი ბიჭი იდგა, დიდები იყვნენ, ასე, მეათეკლასელები იქნებოდნენ. ერთი მათგანი თითით ანიშნებდა, აქეთ მოდიო.

კობა მივიდა.

— რა გქვია? — ჰკითხა მაღალმა, ქერათმიანმა ბიჭმა.

უპასუხა, რაც ერქვა.

— ამუბნელი ხარ, ჯიგარო?

— ჰო.

— საით მიტასაობ?

— საქმეზე მივდივარ. რა გინდათ, მეჩქარება.

— რა გვინდა? — ისევ ქერამ ჰკითხა. — შენი კარგად ყოფნა, კობა-ჯან. კაროჩე, ეგ ჯინსი უნდა გაიხადო და ჩამაცვა.

კობას სულ ერთი თვის ჩაცმული ჰქონდა ის ჯინსის შარვალი.

— მერე მე რა ვქნა?

— შენ ჩემს შარვალს ჩაიცვამ. იტოგში გაცვლა გამოვა, რა. მაგარ დილიხორში ვარ და, იცოდე, ნუ გამიტეხავ!

— არ გამოვა!

— ვა, რათა?

— ჩემი არ არის ეს ჯინსი, სხვისია. ერთი დღით მათხოვეს.

— შენც მე მათხოვე! ხვალ ისევ დაგიბრუნებ, ნუ გეშინია! — ქერამ ამხანაგებს გადახედა. ისინი უხმოდ აბოლებდნენ სიგარეტებს. — აი, თუ გინდა, ბიჭებსაც ჰკითხე, სიტყვის კაცი ვარ. ეხლა მორჩი, ძალიანაც ნუ გაახურებ! აბა, შევიდეთ სადარბაზოში, თორემ... ხო აზრზე ხარ!.. — ქერამ ქამარში ჩაავლო ხელი კობას.

კობამ გაიწია.

— აბა, აბა, ნუ ბალამუტობ! — ერთმა შავტუხა ბიჭმა, ტანმორჩილმა და ხმელ-ხმელმა, სიგარეტი მოისროლა. — სანამ ლამაზი ხარ, ჭკვიანად მოიქეცი, გესმის?!

— რა ამბავია აქ?! — მოისმა უცებ ვიღაცის ჩახლეჩილი ხმა. — რა გაქვთ გასაყოფი, ამხანაგები არა ხართ?!

ქერამ მაშინვე ხელი გაუშვა ქამარს და თითქოს პირდაპირ ბეტონის კედლიდან გამოსულ სიმპათიურ ახალგაზრდა კაცს პირმოთნე ღიმილი შეაგება.

— ძველი მეგობრები ვართ, ბიძია, გავიხუმრეთ, — უთხრა და კობას მართლა ძმაკაცივით დაჰკრა მხარზე ხელი. — წადი, წადი, თორემ დაგაგვიანდება. ხვალ შევხვდებით!

აღმოჩნდა, რომ ნაცრისფერკოსტიუმიანსაც თურმე იქით ედო გზა, საითაც კობა მიდიოდა. სახელად ლადო რქმეოდა; ერთ-ერთი ინსტიტუტის თანამშრომელი გამოდგა, უფროს მასწავლებლად გააცნო თავი.

მაშინვე შეეტყო, დაკვირვებული და გამოცდილი კაცი რომ იყო. ეს ბიჭები შენიშნული მყვანანო, თქვა, მგონი ხევგაღმელები არიან, ცუდ წრეში ტრიალებენო.

— მაინც როგორ ბედავენ ასეთ რამეს დღისით, მზისით! — ღელავდა ლადო. — მაგ ჯინსის შარვალს გხდიდნენ ალბათ, ხომ? ცხადია! როგორ კისრულობენ, რო-

გორ!.. საქმე რაშია, იცი, ჭაბუკო? თვით დიდმა გოეთემ თქვა: „მე არასოდეს მსმენია რაიმე ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენასაც თავად ვერ შეეძლებდიო“. ხედავ? თითო რაღაც შეიძლება ყველს შეგვეშალოს, მაგრამ ასეთი დაწერილმანება?! შაოკლის გამდა?! ისიც ბავშვისთვის?! რა დავიშალო, ერთი მეზობელი მყავს, კარგი ბიჭია, მერე რა, რომ შავ ხალხში მუშაობს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქერი რომ არის! ასეთ საქმეს ის არავითარ შემთხვევაში არ იკადრებს!.. აი, ახლა ეს ლაწირაკები რომ კისრულობენ, განა ნაღდი, კანონიერი ქურდი იკისრებს? ქურდს ძმაკაცც იცის და თანაკაცობა, იგი მხოლოდ მდიდარს ართმევს, შენ კი რომელი მილიონერი განახე? ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მართლა ისე გამოდის, ნათქვამი რომაა: „homo homini lupus est!“ — და მაშინვე თარგმნა:—ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო...

კომა ყურადღებით უსმენდა თავის მსსხელს.

— ეგზე უფრო ვაჟაკაცურად უხდა დახვედრილი. რატომ, იცი? კარგი იქნება, თუ დაიმახსოვრეს, რასაც გეტყვი. ერთმა რომაელმა მწერალმა თქვა ამ ორი ათასი წლის წინათ: „ღვიძებენება უბადრუკ და უკეთურ არსებად როდი გვქმნია ჩვენ“. ძალიერი ნათქვამია, არა? საოცარი ხალხი იყო რომაელები! — ლადომ სათუნე დაიხედა. — აუჰ, რა დრო გასულა! ახლა მანქანას თუ დავიჯერ, თორიც დაკვეიანდი და ის არის. თუმცა მოიცა... სახლში ტელეფონი გაქვს? ძალიან კარგი. ამა ერთი ჩამაწერინე!.. ამა!.. ახლა მე ცოტახანს არ მოცლება, თბილისში არ ვიქნები, სამეცნიერო მივლინებაში მივდივარ, მერე კი ერთხელაც იქნება, ისეთ ხალხს გაგაცნობ, ისეთ ბიჭებთან დაგაძმაკაცებ, მანდ რომ ლაწირაკები დაგბედნენ, ეგენი კი არა, მართლა ვაჟაკაცები უბატონოდ ვერ გაგაკეთებ ხმას. თვითონ დარწმუნდები, ლადოს ტყუილი ლაპარაკი არ უყვარს. მაშ ასე, ამა, ახლა კი წავედი, კარგად იყავი, ჭაბუკო, სხვა დროს უკეთეს ვითარებაში შეეხვდებით ერთმანეთს. — ხელი დაუქნია და წავიდა.

კომა იდგა და კარგა ხანს უყურებდა მიმავალს, ვიდრე მან მანქანაა არ გაარჩია და თვალს არ მიეფარა.

„რატომ ჩაერია ჩემს საქმეში? — ფიქრობდა კომა. — ვითომ მე ვერ დავიხსნიდი თავს?.. თუმცა, ესეც საკითხავია, ისინი ხომ სამნი იყვნენ!“

მას შემდეგ აგერ ამდენი ხანი გავიდა და ლადოსთვის თვალი აღარ მოუკრავს. იმან კი ერთხელ დაურეკა მხოლოდ, ამ ერთი თვის წინათ: სამეცნიერო მივლინებიდან ახლახან ჩამოვედი, მალე ვნახავ და დანაპირების აგასრულებო.

კომა გამოერკვა, მიიხედ-მოიხედა. ვაწყაე ჩასულიყო, კინო „საქართველოსთან“ ჩაეიდა ალბათ. მეზობლები ერთხმად გამოთქვამდნენ გულისწყრომას, ერთხმად ლანძღავდნენ უზრდელ ყმაწვილს, თუმცა ერთმანეთს არაერთ უსმენდა, ვაგონში ერთი გაბმული ზუზუნი და ყაყანი იდგა.

კომა უკანა კარიდან ჩავიდა და ვატმანს ბილეთი დაანახვა. მერე ის ბილეთი დაკმუქნა და ურნაში ჩააგდო.

ოკეკ ბეორა

იმ დილით მეუღლესთან საუბარში მირიან კორძაძე არ შემცდარა: აპრილის დასაწყისში რაზმის საბჭომ

მართლაც იმსჯელა პიონერ კომა ბლაგიძის შესახებ, იმსჯელა და სათანადო დადგენილებაც გამოიტანა...

რაზმის საბჭოს იმ სხდომაზე ბადრი ნაკაშიძესაც უნდოდა დასწრება. მაგრამ განათლების რაიონეულ განყოფილებაში დააყოვნეს და სკოლაში რომ მივიდა, პიონერთა ოთახში მხოლოდ უფროსი პიონერხელმძღვანელი ელისო შეელაური, მეშვიდე „ა“ კლასის პიონერული რაზმის ხელმძღვანელი ვაჟა ნარსია და რაზმის საბჭოს თავმჯდომარე თამრიკო ლომსაძე დახვდნენ. ისხდნენ და ოქმს აფორმებდნენ.

— ეჰ, ვეღარ მოგისწარით, — ბადრიმ უხმაოროდ გამოსწია სკამი. — დასხედით. ბავშვებო, დასხედით, — დაყვავებით უთხრა წამომდგარ მოსწავლეებს და ელისოს მიუბრუნდა: — კარგი სხდომა იყო?

— ო, საინტერესოდ ჩაიარა, მართლაც ღირდა მოსმენა.

— იკამათეს ბავშვებმა?

— ცხარედ. ხომ ამდენი ხანია ამათთან ვმუშაობ და ასეთი შეხლა-შემოხლა ჯერ არ მინახავს.

— ეს მომწონს!

— ორ ჯგუფად გაიყვნენ, მართლაც.

— მაშ, გამომიცხია, არა?

— დიახ. და იცით, ბადრი, თამრიკომ რა თქვა ბოლოს?

— ამან? ეს არის, ხომ, თამრიკო? რაო?

— თითქოს თქვენთან ყოფილიყოს შეთანხმებული, თითქმის ზუსტად გაიმეორა თქვენი სიტყვები: მე მგონიაო, მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ, კობა ბლაგიძეს საკითხი სახმის სხდომაზე გამოსატანი არ იყოო.

— საინტერესოა!

ბადრიმ იმ დილით სკოლის ორგანიზატორისაგან შეიტყო, რაზმის საბჭო ბლაგიძის საკითხის განხილვას რომ აპირებდა, და მაშინვე ელისო მოქცენა. რა თქმა უნდა, სხდომის დღის წესრიგის შეცვლა უკვე აღარ შეიძლებოდა, მაგრამ პიონერხელმძღვანელის პოზიცია ბადრისთან საუბრის შემდეგ ოდნავ სხვა კუთხით შეტრიალდა, ამან კი, ცხადია, სხდომის მიმართულებაზედაც იმოქმედა.

ბადრიმ ჯერ თამრიკოს შეავლო მზერა, მერე ელისოსკენ მზერაზედაც.

— მერე რაო, დასაბუთა თავისი აზრი?

— დასაბუთა, — მიუგო ელისომ. — თამრიკოს აზრით, კობა ბლაგიძის ყოველი საქციელი მისი ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარეობს; ეს ხასიათი უკვე ჩამოყალიბებულია; კობა ასეთი იყო შარშან, შარშანწინ, იმის წინათ; რატომ ვთხოვეთ ახლა ბლაგიძეს იმას, რაც ორი და სამი წლის წინ არ მოგვთხოვია?

— ოჰო! — გაიკვირვა ბადრიმ. — საკმაოდ ლოგიკური ფორმულაა!

— მთლად ასე არ მითქვამს, ბადრი მასწავლებელო, — სახე წამოიწეთლდა თამრიკოს. — ელისო ხელმძღვანელმა დაალაგა ლამაზად.

— მაგრამ ხომ არაფერი დამიმატებია? ხომ არა?.. მაშ, ასე. თამრიკო ამაზე არ შეჩერებულა: ყველა აკეთებს იმას, რაც შეუძლია. ბლაგიძე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს ორგანიზაციისათვის. ამიტომ მეტი არ უნდა მოვთხოვოთ. მერე, ალბათ, ასაკისა და ცოდნის ზრდასთან ერთად, ეს შესაძლებლობებიც გაიზრდება და კობა უფრო მეტ სასარგებლო საქმეებსაც მოიმოქმედებსო.

— მთელი უბედურებაც ისაა, რომ რაც შეუძლია, იმის ნახევარსაც არ აკეთებს, — თავშეკავებული ბრაზით, მკვახედ თქვა ვაჟა ნარსიამ. ვაჟა მეცნიერკლასელი კომკავშირული იყო, მაგრამ მასზე მხოლოდ ორი წლით უმცროს პიონერებს ჰატარა ბავშვებად ეკერდა და მათთან ურთიერთობაში, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად, ეჭირა თავი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, [illegible] ეს არ ეტყობოდა, სახეზე ამპარტავნობის ნატამალიც არ ეცხო, პირიქით, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ფიქრებში, თითი რომ მივეშვირო, ტირილს დაიწყებსო. სწორედ ამის გამო იყო, მთელი სკოლა ზურგსუკან „ტტირალას“ რომ ეძახდა.

— მაინც რა შეუძლია? — ჰკითხა ბადრიმ.

ვაჟას თამრიკომ დაასწრო. იგი იმ მკურრიცხოვან მეშვიდეკლასელებს ეკუთვნოდა, ვინც იმთავითვე არ ეპუებოდა ნარსიას.

— ხელახლა დავიწყოთ? — გამომწვევი კილოთი ჰკითხა ვაჟას. — რაზმისა და რაზმეულის გაზეთებს კობა ბლაგიძე აფორმებს, რაზმის ორი ალბომი — „წინაპართა ნაკვალევზე“ და „ახუქე ადამიანებს სიხარული“— მან გააკეთა. აი, აქეთ და შეხედეთ, ბადრი მასწავლებელო, როგორი სტენდია! — მიმართა ნაკაშიძეს და ისევ ნარსიას მიუბრუნდა: — მეტი რაღა გინდა? კოტაა?

— ვაჟა იმან გაანაწყენა, — განუმარტა ბადრის ელისომ, — რომ კობამ უარი თქვა გაეფორმებინა სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის გაზეთი — ეს ჩემი საქმე არ არისო. ვაჟა კი კომბატტის წევრია და კომკავშირული პრესა მას ანბარია.

— მერე რა მოხდა? — უფრო გაწყრმატდა თამრიკო ბადრიმ ისევ ინტერესით შეხედა გოგონას. „ძალიან კი იცავს!“ — გაიფიქრა. — პიონერული ორგანიზაციის დავალებებს ასრულებს, ცუდად არ სწავლობს, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა და კინოფილმების ნახვაც ხომ უნდა? სად გამონახოს დამატებითი დრო?

— დამატებითი დრო? — თავის კანტერით ჩაიცინა ვაჟა ნარსიამ. — იმის დრო ხომ აქვს, რომ სარკელამი სახელოსნოში იაროს და კერძო სამუშაოები შეასრულოს რაღაც კაპიკების გულისათვის? ა? საამისო დროს ხომ ნახულობს?! ან იქნებ გვითხრა, რაში ხარჯავს იქ ალეგულ ფულს? ა?

პიონერთა ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. თამრიკოს ჯერ ფერი დაეკარგა, მაგრამ მაშინვე ისევ წამოუტაბრწყდა სახე.

— სტყუი! — მიახალა ვაჟას. — ეს რომ მართალი იყოს, სხდომაზე იტყოდი! ახლა მოიგონე, ხომ?

— მართლაც, სხდომაზე რატომ არა თქვი? კობაც იქ არ იყოდ? — ჩაეკითხა ელისო.

— სწორედ იმიტომაც არა თქვა, იქ რომ იყდა, — თამრიკომ დამცინავად მოუტაცა თვალები და გამგმირავი მზერა შუბივით მიაბჯინნა ნარსიას. — ტყუილს მოკლე ფეხი აქვს და მაშინვე გამომეცალნდებოდა! რა, ასე არ არის?!

ბადრიმ გუმანით იგრძნო, რომ ვაჟა არ სტყუოდა.



— შენ საიდან იცი ეს? — მშვიდი კილოთი ჰკითხა თამრიკოს ცხარე შეტევისაგან დაბნეულ ბიჭს.

ნარსია შეყოყმანდა.

— ჰო, თქვი! — გაამხნევა ელისომაც.

— მეათეკლასელებისაგან გავიგე, — თქვა ბოლოს ვაჟამ. — იმ დღეს კინო „სიხარულთან“ იდგნენ სეანსის დაწყების წინ და ლაპარაკობდნენ. კობა გამოსული. ბიჭია, რაფიკასთან ძმაკაცობს. იმასთან ერთად სარეკლამო სახელოსნოში მუშაობს და ფულს აკეთებსო.

— რაფიკასთან? — შეშფოთდა ელისო ხელმძღვანელი. — ამას კი ვერ ვიფიქრებდი! წარმოგიდგენიათ?

— ვინ არის ეს რაფიკა?

— სპეკულანტია, საეჭვო ხალხთან ტრიალებს. ამბობენ, აზარტული მოთამაშეცაა... ელისო წამით ჩაფიქრდა. — კი მაგრამ, საიდან სადაო, ის ოცდახუთიოცდაექვსი წლისა მაინც იქნება, ეს კი ჯერ ასე პატარაა...

— პატარა! — ჩაიცინა ისევ ნარსიამ. საოცარი კია, მაგრამ, ამ ჩაცინების მიუხედავად, ის მტირალა გამრმეტყველება სახიდან არ მოსცილებია. — პატარა დაარქვით თქვენ, საულვაშე აბიბინებული აქვს, თანაკლასელებზე მთელი თავით მაღალია და მეზობლის ბავშვები უკვე ბიძიას ეძახიან!

ბადრი მოიღუშა, ვაჟა ნარსიას დამცინავი კილო აშკარად არ მოეწონა. ხმამაღლა არ დაუტუქსავს, მაგრამ თვალებში საყვედურიანი მზერით ჩახედა და ოდნავ შესამჩნევად გადააქნია თავი. მერე კი ელისოს მიუბრუნდა.

— კიდევ რა ითქვა სხდომაზე? — ჰკითხა.

— კიდევ? — ელისო ჩაფიქრდა, თითქოს შეყოყმანდა, ვთქვა თუ არაო. ბოლოს გადაწყვიტა: — რა და... ერთი რამ არ მომეწონა ძალიან.

— კერძოდ?

— კობას გამოსვლაში არ მომეწონა ერთი რამ. კარგი, ვთქვათ, შეიძლება გავუგოთ, რომ კომკავშირული დავალება არ შეასრულა, რადგან ეს მის საქმედ არ მიაჩნია და ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს. ვთქვათ, იმაშიაც დავეთანხმეთ, რომ მისი მოშვებული თმა არავის არაფერს უშავებს, და არც ის არის ქვეყნის დაქცევა, რომ მეგობარი არა ჰყავს. ერთ საკითხში არ მომეწონა მისი პოზიცია განსაკუთრებით. — თამრიკო ლომსაძე, ჩანს, მიხვდა, რას გულისხმობდა ხელმძღვანელი, და თავი დააქნია. — ნინო ბალიაშვილმა უთხრა, ერთი ზედმეტი დავალება რას მიქვიან, ხალხი რას არ აკეთებსო, ჩვენს ასაკში ბევრ პიონერს საარაკო გმირობა აქვს ჩადენილიო. კობამ ხელი ჩაიქნია და — თამრიკო, როგორა თქვა? — ჰო, ასე: ყველა ეს გმირობა მოგონილია, ვიღაცას რაღაც ერთხელ შემთხვევით გამოუვიდა, მერე ეს შემთხვევა სხვებმა თითზე დაიხვიეს, გაბერეს, გააზვიადეს, შეაკეთ-შემოაკეთეს და ძეგლებივით დაგვიდგეს, რომ მისაბაძად დავისახოთო. და იცით, ბადრი, ყველაზე მეტად რა მომხვდა გულზე? ეს უნებლიეთ კი არ დასცდენია ან ვინმეს გასაჯავრებლად კი არ უთქვამს! არა, რაც თქვა, ყოველივე მისი სულის სიღრმიდან, მისი რწმენიდან მოდიოდა. და აი, ეს არის ცუდი!..

სხდომას თამრიკო ლომსაძისათვის დაევალებინა ბლაგიძესთან მუშაობა (კობა ამ გადაწყვეტილების მიღების დროს დერეფანში, ფანჯარასთან იდგა ოთახისკენ ზურგშექცეული და ეზოში კალათბურთის მოთამაშე ბიჭებს უყურებდა).

ბადრი ნაკაშიძე გულდამძიმებული გამოვიდა სკოლის შენობიდან. მიდიოდა და თვალწინ ედგა გარეგნულად მართლაც ზრდადასრულებული, ნაადრევად დასერიოზულებული კობა ბლაგიძის ცივი მზერა და გაუცინარი სახე. პიონერთა ოთახში განაგონზე ფიქრით გართულს არც შეუმჩნევია, როგორ მიადგა იმ კორპუსს, რომელშიც კობა ცხოვრობდა. მაგრამ როცა გამოერკვა, უკან გამობრუნება აზრადაც არ მოსვლია, ლიფტში შევიდა და მეხუთე სართულის ღილაკს თითი დააჭირა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თემურ ცაგარელი

ოცდაოთხი წელია ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ნაყოფიერად მუშაობს ნორჩ კინომოყვარულთა სტუდია „პიონერფილმი“.

სტუდიის პირველი ფილმი სასახლის დარგობრივი კაბინეტებისა და წრეების მუშაობას ასახავდა. მართალია, იგი არ იყო დაზღვეული ხარვეზებისაგან, მაგრამ, სამაგიეროდ, ნორჩმა კინომოყვარულებმა ბევრი რამ გაიგეს და შეისწავლეს.

სტუდიის შემოქმედებით მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პატარ-პატარა ეტიუდების შექმნას და ეკრანისათვის ჩანახატების მოფიქრებას.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი გუხუტი ზაჭარიაძე, „ვიოლინოს“ ავტორი აკაკი გიგინეიშვილი და გიგა მგალობლიშვილი ფილმზე მუშაობისას.

„პიონერფილმი“ და ჭილი ვჭა ჯეთილი

— ზურაბ, წარმოიდგინე, რომ შენ ხარ დანების მლესავი, — უთხრა ერთ-ერთ მეცადინეობაზე სვეტლანა მასწავლებელმა ზურაბ არდუაშვილს. — აი, მოვიდა შენთან დიასახლისი, მოგიტანა ხორცსაკეპი მანქანის დანა და...

— დიახ, მასწავლებელო, დანარჩენს მე მოვიფიქრებ, — მკვირცხლად მიუგო ზურაბმა და სიუჟეტი თავისი ფანტაზიით განავრცო.

ასე იგონებენ და ქმნიან ნორჩი კინომოყვარულები პატარ-პატარა ეტიუდებს.

ერთხელ ზურაბმა მასწავლებლების სვეტლანა მარჯანიშვილისა და გრიგოლ ჩიგოგიძის დახმარებით შექმნა სცენარი ბაღის ფოტოგრაფზე. ნორჩი კინომოყვარულები სასახლის ბაღში გავიდნენ, გადაიღეს საცდელი ეტიუდი. მოუწონეს. გადაწყვიტეს მისი გავრცობა. გაზარდეს პერსონაჟების რიცხვი. მოიფიქრეს კოსტიუმები. ფილმში ჩააბეს ოცდახუთი კინომოყვარული, გადაიღეს ფილმი, რომელსაც „ზურას ფოტო“ უწოდეს. თვითონ ზურაბმა ამ ფილმში მლესავის საინტერესო სახე შექმნა.

„პიონერფილმმა“ ამ ნაწარმოებით 1978 წლის რესპუბლიკურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. „ზურას ფოტოს“ წარმატება ხვდა — პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

იმავე წელს „პიონერფილმმა“ გოგი ალექსიშვილის სცენარის მიხედვით შექმნა ახალი ფილმი — „ქილა“. ფილმი ლირიკული ხასიათისაა, უტექსტოა, მაგრამ კარგად შერჩეული მუსიკის წყალობით მშვენივრად აღიქმება.

ამ პატარა ფილმმა სახელი გაუთქვა ჩვენს ნორჩ კინომოყვარულებს. უნდა გენახათ მათი სიხარული, როცა ტულის საკავშირო კონკურსის

1

2



3

ქიურომ „ქილას“ პირველი პრიზი მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ ამ სამწუთიანი ფილმების კონკურსში უფროსებიც მონაწილეობდნენ.

სიხარულს სიხარული მოჰყვა, — „პიონერფილმმა“ იგივე სურათით მოსკოვში, „პიონერსკაია პრავდას“ მიერ გამოცხადებულ საკავშირო კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა და აქაც პირველი პრიზი მოიპოვა.

მოსკოვში გამარჯვებას კიშინიოვში გამართულ საერთაშორისო კონკურსში წარმატება მოჰყვა... შემდეგ ფლორენცია, შვეცია, ფინეთი, — ყველგან წარმატება, ყველგან პრიზი და ჯილდო...

სტუდიაში ჩამოყალიბებულია ხუთი ჯგუფი, რომლებშიც თითქმის ყველა კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებული. პატარებს სვეტლანა მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს, მოზრდილებს — გრიგოლ ჩიგოგიძე.

კინოსთვის ეტიუდებისა და სცენარების შექმნაში ნორჩ კინომოყვარულებს დიდად ეხმარებათ მასწავლებლის მიერ შერჩეული ისეთი ზღაპრის ან მოთხრობის კოლექტიური კითხვა და პატარა მუსიკალური ჩანახატების მოსმენა, რომლებსაც წრის წევრები ჯერ არ იცნობენ. ზღაპარს ან მოთხრობას კითხულობენ ნაწარმოების კვანძის შეკვრამდე...

— აბა, ბავშვებო, თქვენი აზრით, შემდეგ როგორ შეიძლება განვითარდეს ამ ზღაპრის ქარგა? — მიმართავს კაბინეტის წევრებს მასწავლებელი და ისინიც იწყებენ ნაწარმოების ისე გავრცობას, როგორც ეს მათ ესახებათ. წესის თანახმად, მოისმენენ ყველა წევრის ვარიანტს და, ვისი ნაამბობიც ყველაზე ახლოს მივა ავტორისეულ ტექსტთან, გამარჯვებულადაც ის ითვლება.

შემდეგ იწყება მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა. ყველა თავისი ფანტაზიით წარმოიდგენს, თუ რისი გადმოცემა უნდოდა კომპოზიტორს.

— სვეტლანა მასწავლებელო! მე მგონია, აქ ავტორი წარმოგვიდგენს მშფოთვარე ზღვის ტალღების მიხეთქებას კლდოვან ნაპირებზე, — თქვა რეზო ცხვარაძემ ერთ-ერთ მეცადინეობაზე.

— მე კი მგონია, რომ გარეული ცხენები გარბიან სტეპში და მათი ფლოქვების ხმა ისმის, — განაცხადა ეკა ცუცქირიძემ.

საშუალო ასაკის მოსწავლეები უფრო ტექნიკით არიან გატაცებულნი. აინტერესებთ ფილმის გაშვება ეკრანზე, ფირის გადახვევა-გადაწებება, დამონტაჟება, კინოაპარატის ხმარება და ა. შ.

— შენ რა, ფირის გადახვევა მკლავზე თოკის ახვევა ხომ არ გგონია? — ღიმილით ეუბნება გრიგოლ მასწავლებელი პაატა გურგენიძეს. — თუ ყურადღებით არ მოიქცევი, კადრები ეკრანზე თავდაყირა გამოჩნდება.

პაატა გაწითლდა, უფრო მეტი ყურადღებით დააკვირდა დისკოს, — მიხვდა თავის შეცდომას და სასწრაფოდ გამოასწორა.

— აბა, კოტე, ახლა შენ სცადე, — კოტე ბარამიშვილს მიუბრუნდა მასწავლებელი. ბიჭუნაც ცდილობს მასწავლებლის ქება დაიმსახუროს.

ბიჭებს არც გოგონები ჩამორჩებიან. აგერ, მარინა აგარიმოვა და ქეთინო სირბილაძე სამონტაჟო დაზგასთან ფუსფუსებენ. იქეთ ეკა ულუმბელაშვილი ჩაჭკირკიტებს საპროექციო აპარატს.

ამასობაში დგება გადამღები აპარატის დაუფლების პერიოდი — ობიექტების შესწავლა, ექსპონომეტრების გამოყენება, განათების დაყენება, კადრის სწორად შერჩევა, გადასაღებ ობიექტთან ობიექტივის მიახლოება-დაშორება და მრავალი სხვა რამ, რაც ზედმიწევნით უნდა იცოდეს მომავალმა კინოოპერატორმა.

კინოსტუდია „პიონერფილმის“ წევრები პიონერთა სასახლისა და თავიანთი სკოლების ნამდვილი მემატიანეები არიან. სკოლაშიც და სასახლეშიც არ ჩატარდება არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომ კინომოყვარულებმა ფირზე არ აღბეჭდონ. ამას წინათ სასახლის კაბინეტებსა და წრეებში გაერთიანებული პიონერების ერთი ჯგუფი ლეგენდარულ „მცირე მიწაზე“ გაემგზავრა. ექსკურსანტებს თან გაჰყვა თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, „პიონერფილმის“ წევრი ლევან დადიანი. მან ყველაფერი ნანახი ფირზე აღბეჭდა და თავის ფილმს „მცირე მიწა“ უწოდა.

საინტერესო ფილმი შექმნა გია ჩაჩუამ მთათუშეთში მოგზაურობისას. გიას „ჩემი მთები“ ყველას მოსწონს.

ემზარ ცუცქირიძე რაჭაში გაჰყვა არქეოლოგებს და მათი მუშაობა გადაიღო კინოფირზე. გიორგი გაჩეჩილაძემ თავისი სკოლის მორიგი ექსკურსია გადაიღო, ხოლო ალექსი მარჯანიშვილი მოსკოვში გაჰყვა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეებს და ქრონიკალური კინოდოკუმენტი შექმნა.

აკაკი გიგინეიშვილი დიდი ხანი არ არის, რაც სტუდიაში მოვიდა, მაგრამ მისმა გონებამახვილურმა ეტიუდებმა საერთო მოწონება დაიმსახურა. „პიონერფილმმა“ მისი სცენარის მიხედვით გადაიღო ფილმი „ვიოლინო“. ფილმში სულ სამი მოქმედი პირია. მთავარ როლს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბუხუტი ზაქარიაძე ასახიერებს. სახელოვან არტისტს პარტნიორობას უწევენ პატარები ჟენია აზმაიფარაშვილი და გიგა მგალობლიშვილი.

„ვიოლინო“ მარტივად, მაგრამ დამაჯერებლად ქადაგებს სიკეთის მადლზე.

...მუშაობით დაღლილი, საკრავი ინსტრუმენტების შემკეთებელი მოხუცი ოსტატი კეტავს თავის სახელოსნოს და შინისაკენ მიემართება. უცებ წინ გადაუდგება პატარა გოგონა, რომელსაც ხელში ვიოლინო უჭირავს. გოგონას ეტყობა, ურბენია, სუნთქვა უჭირს... იგი ოსტატს სთხოვს შეუკეთოს ვიოლინო. ოსტატი უარზეა, საათზე უთითებს — გვიანია, მეც დავიღალეო. გოგონა

4

5

6

რეზო ცხვარაძე, გოგიტა გიუნაშვილი და გესიკ გლიაძე ახალ ფილმებს ამონტაჟებენ.

მუდარის თვალით შესცქერის და უხსნის თავის გასაჭირს. მოხუცს სახეზე ღიმილი დაეფინება, გოგონას თავზე ხელს გადაუსვამს და სახელოსნოში შებრუნდება. შეაკეთებს ვიოლინოს. გახარებული გოგონა სირბილით დაეშვება კიბეზე. ოსტატი გოგონას კვალს გაჰყვება...

იხსნება კვანძი.

გოგონას მეგობარ ბიჭუნას სოლო კონცერტი აქვს. საცაა სცენაზე უნდა გავიდეს, ვიოლინომ კი უმტყუნა. ნერვიულობს, ხელში მხოლოდ ხემი უჭირავს და უმწეოდ იქნევს... გამოჩნდა გოგონა, ბიჭი სწრაფად შეეგება, ვიოლინო ჩამოართვა, იქვე, იატაკზე გახსნა ბუდე და ამოიღო საკრავი... წამიც და ბიჭუნა სცენაზეა... გაისმის ვიოლინოს ხმა... კადრში მსხვილი პლანით მოჩანს ოსტატის კეთილი სახე, ცრემლით სავსე თვალები...

დღესდღეობით პრობლემატურ საკითხად დგას ახალგაზრდობის ლტოლვა სოფლიდან ქალაქისაკენ. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ნორჩ კინომოყვარულთა ერთმა ჯგუფმა...

მარნეულის რაიონში არის ერთი ძველი სოფელი წერაქვი. აქ დაიბადნენ ჩვენი სახელოვანი ძმაულიშვილები მიხეილ ჯავახიშვილი და იოსებ იმედაშვილი. მაგრამ ამჟამად ეს სოფელი თითქმის დაცარიელებულია, მხოლოდ მოხუცებულები და რამდენიმე ახალგაზრდა თუ შემოგხვდებათ. ეს ამბავი ბევრს აწუხებდა, მათ შორის ახალგაზრდა მასწავლებელ გია აბრამიასაც. სწორედ მისი დაჟინებული თხოვნით წელს წერაქვში დაწყებითი სკოლა გაიხსნა. მართალია ამ სკოლაში სულ ხუთი მოსწავლე და ერთი მასწავლებელია, მაგრამ თვით სკოლის გახსნის ფაქტი დიდი იმედის მომცემია.

„პიონერფილმის“ წევრებმა კოტე ბარამიშვილმა, გულბაათ ცხვედაძემ და ირაკლი ბერაძემ სოფელ წერაქვის პრობლემას მიუძღვნეს ფილმი „გია მასწავლებელი“.

როცა ნორჩმა კინომოყვარულებმა „გია მასწავლებელი“ განიხილეს, დაებადათ აზრი, — შეფობა გაუწიონ სოფელ წერაქვის დაწყებით სკოლას.

— საიდან დავიწყოთ? — იკითხა ემზარ ცუცქირიძემ.

— მაგას რა კითხვა უნდა?! — გამოეხმაურა უმცროს ძმას ეკა. — სკოლა ახალია. ბევრი რამის შეძენა ალბათ ჯერ ვერც მოახერხეს. მხატვრული ლიტერატურა შევაგროვოთ...

ეს აზრი ყველას მოეწონა და მეორე დღეს კინომოყვარულთა კაბინეტი წიგნებით გაივსო. წერაქვში კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდა, — „პიონერფილმმა“ საფუძველი ჩაუყარა სკოლის ბიბლიოთეკას.

... — კინო მოვიდა. კინო! — ახმაურდნენ თბილისის მე-13 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, როცა თავიანთი შეფები იხილეს.

— რა სურათია? მულტფილმია? ზღაპარია? — ისმოდა აქეთ-იქიდან.

— თქვენ რომელი გინდათ? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხეს შეფებმა.

— მულტფილმი, მულტფილმი! — აყივყივდნენ პატარები.

შეფებმა სკამები რიგებად დაალაგეს, კედელზე გასაშლელი ეკრანი ჩამოკიდეს, საპროექციო აპარატი გამართეს, პატარა მაყურებლებს ადგილებზე ჩამოამწკრივეს, რასაც ალბათ ერთ საათზე მეტი დასჭირდა, აღმზრდელებიც მიიპატიჟეს.

ჩაბნელდა ოთახი. ფილმიც დაიწყო.

— წ-ი-თ-ე-ლ, წითელ. ქ-უ-დ-ა. ქუდა. — წითელქუდა! — სიხარულით შესძახეს ბავშვებმა...

„პიონერფილმი“ შემდეგ მე-14 საბავშვო ბაღს ეწვია. მასაც უწევენ შეფობას ნორჩი კინომოყვარულები. აქაც უჩვენეს ფილმი და თან შეუმჩნევლად პატარა ეტიუდებიც გადაიღეს.

ნორჩი კინომოყვარულები განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს. მათი დახმარებით ინტერნატში შექმნილია სტუდია. კოტე ბარამიშვილი და გიორგი მამულაშვილი სიამოვნებით მეცადინეობენ მათთან, უზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას.

სასახლის ნორჩ კინომოყვარულთა სტუდიაში ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, — გამარჯვებულს საზეიმო ვითარებაში გადაეცემა სტუდიის წიგნაკი, ასე ვთქვათ, დიპლომი, რომელსაც წინა მხარეს „პიონერფილმი“ აწერია, ხოლო უკანა მხარეს — „კინო“.

როგორც ცნობილია, 1898 წლის 28 დეკემბერს, პარიზში, კაპუცინების ბულვარზე, ძმებმა ლუმერებმა აჩვენეს მსოფლიოში პირველი ფილმი. ეს თარიღი კინოს დაბადების დღედ არის მიჩნეული. 28 დეკემბერს სტუდიის ყველა წევრი თავს იყრის კაბინეტში და ზეიმით აღნიშნავს კინოს დაბადებას. აქვე განიხილავენ კინომოყვარულთა მიერ დამოუკიდებლად გადაღებულ ფილმებს და, გამარჯვებული ფილმის ავტორის ვინაობას, სახელწოდებას და შექმნის თარიღს დააწერენ იმ ბროლის ვაზას, რომელიც კოჭკათელმა ნორჩმა კინომოყვარულებმა საჩუქრად გადასცეს თავიანთ თბილისელ კოლეგებს. ეს ბროლის ვაზა გარდამავალი თასია და ყველას სანუკვარი ოცნებაა მისი მფლობელი გახდეს.

ფოტო ავტორისა



1. — ჩარლი ჩაპლინი ჩვენი კერპია! — ამბობენ პიონერფილმელები და ცდილობენ მიბაძონ მას; 2. გრიგოლ ჩიგოგიძე და ნორჩი კინომოყვარულები ერთხელ კიდევ ამოწმებენ კინოსაპროექციო აპარატს ფილმის გაშვების წინ; 3. ღელავს მერაბ მარჯანიშვილი — იგი დღეს პირველად უშვებს ფილმს დამოუკიდებლად; 4. პედაგოგი სვეტლანა მარჯანიშვილი მორიგ მეცადინეობას ატარებს „მუსიკა და წარმოსახვაში“; 5. ემზარ ცუცქირიძე, გიორგი მამულაშვილი, ხათუნა მიქელაძე და ნიკო იაშვილი ახალ ფილმს იღებენ; 6. ეკა ჩაჩუა და გიჰიკო ულუმგელაშვილი ფილმის გახმოვანებაზე მუშაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქალური

მერი დავითაშვილი

ნოტის სიტყვებად ან ჭანგებად

წარიალებენ ეთერში მარშის მჩქეფარე ჰანგები:

„ჩვენს ალმებზე მზის სხივი კისკისით რომ სრიალებს, ისმის მღერა, სიცილი, — გაუმარჯოს მზიანეთს!.. დილ-დილაო, დილ-დილაო, დელია, დილ-დილაო, შრომობენ და მღერიან“...

ეს მართლაც მზიანეთია! მზით და სიცოცხლით აღსავსე, საოცნებო ზღაპარი-ქალაქი, რომელსაც ფრთებშესხმული ოცნებით აშენებდნენ პიონერები. ამ ლამაზმა თამაშმა თავის დროზე პიონერებს განუმტკიცა მშობლიური მხარის სიყვარული, მეგობრობა, მარად მოუღლელი შრომის ხალისი.

ეს ღონისძიება ჩატარდა გაზეთ „ნორჩი ლენინელისა“ და რესპუბლიკური პიონერული საბჭოს მიერ.

შეუძლებელია, ისმენდეთ ამ სიმღერას და არ აჰყვეთ მას, ხმით თუ არა, გუნებაში მაინც... და ამ მშვენიერი მელოდიის წყალობით იმ წუთებში თითქოს გავიწყდებათ ასაკი, ფიქრით ბავშვებთან ერთად დაჰქრიხართ მინდვრად, გარს ურბენთ გიზგიზა კოცონს... ტყის სიო გესალმებათ, ალერსით ყელზე გეხვევათ... აქვე გელოდებათ სახალისო შრომა ტოლებთან ერთად... ასეთი შთამბეჭდავია მაყვალა მრევლიშვილის ლექსზე დაწერილი მერი დავითაშვილის მუსიკა, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია, ისევ ახლებურად ჟღერს. კარგი სიმღერა ხომ არასოდეს ბერდება, ყველა ასაკში ეუფლება ადამიანს, უძლებს დროს. ქართველ ხალხს ხომ ოდიდან დაჰყვა სიმღერა, ჯერ კიდევ აკვანში ისმენს დედის ტკბილ ნანინას.

აქედან იწყება ბავშვობაში მოსმენილი სიმღერების აღქმა. აი ქართული სიმღერის მარგალიტები: „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“, „ჭრელო პეპელა“, „მახსოვს, პირველად სასწავლებელში“ და სხვა მრავალი...

წერო ბავშვებისათვის — დიდად საპასუხისმგებლოა, რადგან თავისებურად უნდა ჩაწვდე ნორჩთა ფაქიზ სულსა და გულს, უებარი საზრდოს მისაცემად... სიმღერა „მზიანეთის“ ავტორს მერი დავითაშვილს აქვს ეს ძალა, რათა დღევანდელმა ბავშვმაც ტკბილად აღიქვას ამ სიმღერით თავისი მოსაგონარი. იგი ავტორია ბევრი ასეთი სიმღერისა: „დილა მშვიდობისა“, „ვარჯიში“, „მატარებლობანა“, „ჭუპა-ჭუპა“, „ძილი ნებისა“ მაყვალა მრევლიშვილის ლექსებზე; ან სათამაშოების სიმღერები: „თქვენთან გვინდა თამაში“, „საწყალი კურდღელი“, „მოვილხენოთ“, „საქანელა“, „საზეიმო“... ანდა გივი ჭიჭინაძის ლექსებზე შექმნილი „ცხრათვალა მზე“, „გამარჯე გოგონა“, „გზაფხული“, „ცხრა მაისი“... და აი, ამ სიმღერებისაგან შედგენილი მთელი კრებულები: „დილა მშვიდობისა“, „საღეესასწაულო“, „მზემ წითლად ამოანათა“, „საახალწლო“, „ანაო, ანაბანაო“ — მაყვალა მრევლიშვილისა და მზია ჩხეტიანის ლექსებზე. აქვეა „ძილისპირული“ (მზია ჩხეტიანის ლექსზე), „დედის სიხარული“ (ცირა ქიტიაშვილის ლექსზე), „იჭიკჭიკე, მერცხალო“ (გიორგი კაჭახიძის ლექსზე), „პატარა მატარებელი“ (ი. აბაშიძის ლექსზე) და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ... ჭეშმარიტი პოეზია და მუსიკა ერმანეთს ბენ ერთმანეთს და ერთ დიდ სიმღერას ქმნიან, რომელიც არასოდეს იკარგება.

ერთხელ, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლში, მუსიკის სექციის სხდომის დამთავრებისას, კომპოზიტორმა მიხეილ ჩირინაშვილმა მითხრა: ჯერ არ წახვიდე, ბავშვთა საყვარელი მეგობარი უნდა გაგაცნო... და კომპოზიტორ მერი დავითაშვილთან შემახვედრა... მე ვიცნობდი მის შემოქმედებას, მაგრამ როგორღაც უფრო ასაკოვანი მეგონა, ჩემს წინ კი იდგა ჩემი თაობის სანდომიანი ქალი... მაშინ ბევრი არ გვისაუბრია, მაგრამ მის სიცოცხლით სავსე გამოხედვაში კიდევ ერთი რამ შევნიშნე: ეს იყო იდუმალი, ლაღი ღიმილი — სწორედ ბავშვებისათვის რომ აქვს შემონახული.

ვისაც მოუსმენია ოპერა „ქაჯანა“ (ლიბრეტო რ. თაბუკაშვილისა ნიკო ლომოურის მოთხრობის მიხედვით), არასოდეს დააგვიწყდება გასული საუკუნის ქართული სოფელი, ქართული მუსიკის ფონზე გამოკვეთილი გლეხკაცის ოჯახი, ბავშვების სახეები, — ქაჯანა, კუდრაჭა კატო; მათი მისწრაფებები და ოცნებები.

აი, მეორე ოპერა „ნაცარქექია“ (ლიბრეტო ს. ჭეიშვილისა, ამავე სახელწოდების ქართული ზღაპრის მიხედვით). ეს საინტერესო, სათავგადასავლო ზღაპარი, სულ სხვა სამყაროში მიგაქროლებთ. როგორ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს სიკეთისა და ბოროტების გამომხატველი მელოდიები! რა მკვეთრი სხვაობაა ამ ჰანგებს შორის, რა სულმოკლეა ბოროტი და რაოდენ მტკიცეა კეთილი. ერთხელ კიდევ გრძნობთ, რომ ბოროტება უდღეურია, სიკეთე კი — მარად დღეგრძელი... მერი დავითაშვილის დიდტანიან ნაწარმოებებს შორის საბავშვო სფეროში ეს ორი ოპერა მარად დაუვიწყარია. ამაგდარი კომპოზიტორი ი. გოგებაშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა.

მერი დავითაშვილმა ბავშვობიდანვე გამოიჩინა მუსიკალური ნიჭი. ჯერ კიდევ სასკოლო ასაკში თხზავდა პატარა სიმღერებს. 1946 წელს წარმატებით დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. იმავე წელს გახდა კომპოზიტორთა კავშირის წევრი და მაშინვე გამგეობაშიც შეიყვანეს. თავმჯდომარეობდა საბავშვო მუსიკის სექციას. 1960 წელს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. ახლა იგი საქართველოს კომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი და სსრკ კომპოზიტორთა კავშირის სარევიზიო კომისიის მდივანია.

1970 წელს მოსკოვში მ. დავითაშვილმა მონაწილეობა მიიღო ბავშვთა მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. ვინ არ მოხიბლულა საბავშვო მუსიკის კვირეულებით, სისტემატურად რომ ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში. ამ ღონისძიების მოთავე და ერთერთი ორგანიზატორი ხომ მერი დავითაშვილია. ბავშვებს უყვართ კომპოზიტორთან შეხვედრა, მისი ტკბილი, ღიმილიანი საუბარი. სად არ მიაწვდინა მან ქართული ჰანგები! მივლინებული იყო შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, სადაც კოლეგებს მოუთხრობდა თავის მუშაობაზე, ახალ გეგმებზე, ბავშვთა მუსიკალურ განათლებაზე ჩვენში.

მერი დავითაშვილი მუდამ ახალი ნაწარმოებებით ხელდამშვენებული ხვდება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ყრილობებს. მრავალფეროვანია მისი შემოქმედება. გარდა საბავშვო მუსიკისა, მან შექმნა მთელი რიგი საესტრადო და საგუნდო სიმღერები, სიმფონიები და საფორტეპიანო პიესები. აბა გაიხსენეთ მუსიკა მულტფილმებისათვის: „ჩხიკვთა ქორწილი", „მტრობა", „წუნა და წრუწუნა", „რწყილი და ჭიანჭველა", „ქორბუდა", „ნახევარწიწილა"; კინოფილმებისათვის: „მანანა", „პაპა გიგა"; სპექტაკლებისათვის: „წითელქუდა", „ბურატინო", „სიკეთის ძალა", „ცანგალა", „აცა-ბაცა"... ან კიდევ საგუნდო სიმღერა „იმდენი სიცოცხლე" (მუხრან მაჭავარიანის ლექსზე), კრებული „სიმღერა სამშობლოზე" (თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსებზე), ვოკალური ციკლი ანა კალანდაძის ლექსებზე: „დავშთები შენდა", „არაბი ხარ?", „თუთა", „ჭია მარია", „ჟუჟუნა წვიმა"; საგუნდო სიმღერები „ლენინის ქუჩა" და „მესხური იდილიები" ამ წერილის ავტორის ლექსებზე.

იყო მრავალი ნაწარმოების ავტორი — ეს მეტყველებს პირდაპირობას, შემართებას, მუყაით შრომას. თვალს ავლებ მის განვლილ გზას და ფიქრობ: ალალია მასზე მთავრობის ჯილდოები — მედლები, პრემიები... იგი ახლაც მოუწყინარი, შთამბეჭდავი სიმღერებით ამდიდრებს ქართული მუსიკის ფონდს.

მინდა, ეს წერილი ისევ „მზიანეთით" დავამთავრო, რადგან მერი დავითაშვილის ბუნება ისევე მზითა და სიცოცხლით არის აღსავსე, ისევე დაუდგრომელი და ახლის მაძიებელია, როგორც ამ სიმღერის გმირები არიან. იგი ისევე უბერებელია, როგორც მისი სიმღერის ჰანგები, დღესაც რომ რეკენ ჩვენს გულებში.

ელენე დიდიმამიშვილი

მერი დავითაშვილი და ნორჩი კომპოზიტორი ნანა გაბაშვილი.

მოგონება

სიმონ შამფრიანი

არა შორეთს
გაფრენილი წლების იქით,
თითქოს იყო
სულ ახლახან — გუშინ,
მახსოვს ჩვენი —
ოქტომბრელთა რიგი,
ჩუმი თრთოლვა
მოფართქალე გულში.
მთებზე თოვლი
უკვე აღარ თვლემდა,
გაზაფხული მიდენიდა ზამთარს...
დაძახილზე:
„იყავი მზად!" — ერთხმად
დავიქუხეთ:
— მზად ვართ!
მზად ვართ!
მზად ვართ!
და... მომედო
მცხუნვარება მკერდზე
ალისფერი ყელსახვევის—წმინდის.
და გავფრინდი
უსასრულო გზებზე,
ოცნებაში
ოვით მზეს დავუწყვილდი.
ო, ის განცდა
ყველგან სულ თან მახლავს,
ის წუთები
სულ მხნეობას მთხოვენ;
იმ ყელსახვევს
სასოებით ახლაც
ვიგონებ და ვეფერები ხოლმე.
და როდესაც
პიონერთა რაზმებს
გადავხედავ, გამართულებს წელში,
კვლავ ის ჩუმი
სიხარული მავსებს,
რომ დამქონდა
სიყმაწვილის წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჯობაძე

ᲬᲘᲬᲚᲘᲡ ᲧᲘᲡ ᲯᲘᲕᲔᲕᲘ

მხატვარი
თ. ხუციშვილი

მოთხრობა

ადრიანი გაზაფხულის მზიანი დღეა. შუადღე გადასულია.

სოფლის გზაზე ბარბაცით მიაბიჯებს წვერულვაშგათეთრებული, ღარიბულად ჩაცმული კაცი. მხარზე მომცრო ტომარა გადაუკიდია. ერთი შეხედვით გეგონება, გვარიანად შეზარხოშებულიაო. მაგრამ თუ კარგად დააკვირდები მის დარდისაგან გატანჯულ სახეს, აზრი მყისვე შეგეცვლება.

ვინ არის ეს მოხუცი?

ოდესღაც მუხლმაგარ და ახოვან ვაუკაცს თომას ცოლიც ჰყავდა და შვილიც, მშვენივრად მოვლილი კარმიდამოც ჰქონდა. მაგრამ ბედმა უმტყუნა: ადრე დაქვრივდა. ერთადერთი ვაუიშვილი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით დონბასში გაგზავნეს სამუშაოდ, იქ დაქორწინდა და ქალიშვილი შეეძინა; მალე ომი დაიწყო და ფრონტზე წავიდა. პირველსავე დღეებში გმირულად შესწირა თავი სამშობლოს.

თომამ დიდი გაჭირვებით მოახერხა რძლისა და შვილიშვილის წამოსაყვანად უკრაინაში ჩასვლა, მაგრამ წინადღეებში მტრის თვითმფრინავებს ქალაქი დაებომბათ და შვილის ნასახლარზე წყლით ამოვსებული უზარმაზარი ორმოღა დახვდა. დიდხანს უარა გარშემო, ბევრი იკითხა აქა-იქ დარჩენილ მცხოვრებლებში, მაგრამ სანუგეშო ვერა უთხრეს რა. აღარც შვილი, აღარც რძალი ოლინკა და არც პატარა შვილიშვილი ციალა... იმედდაკარგული და გაბოროტებული დაბრუნდა შინ. მარტოდმარტოდ დარჩენილმა ხელი შეუშვა სახლ-კარის მოვლა-პატრონობას, და ბოლოს საცხოვრებლად ნახევრად დანგრეული შეფიცრული ოთახიღა დარჩა. ერთ ხანს კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ვინმე რამეს შეატყობინებდა, გაიგებდა რძლისა და შვილიშვილის ამბავს. კვირაში ერთხელ მაინც მიაკითხავდა ხოლმე სოფლის კარგა მანძილზე დაშორებულ ფოსტას, მაგრამ ამაოდ. არავითარი ცნობა არ მოსდიოდა. ასე განვლო ოცმა წელმა. ფოსტაში მაინც დადიოდა, მაგრამ წერილს აღარ კითხულობდა, მოტრიალდებოდა და უკანვე ბრუნდებოდა.

ბევრს ეცადნენ სოფლის თავკაცები, მეზობლები, ნათესავები, მაგრამ ვერა და ვერ მოაბრუნეს ცხოვრებისაკენ. დღითიდღე წელში იხრებოდა, ხალხს გაურბოდა და ასე განმარტოებული, ეულად ცხოვრობდა. როგორც მოხუცებულსა და ფრონტზე დაღუპული ერთადერთი შვილის მამას სახელმწიფო პენსიას აძლევდა. ეს იყო და ეს. ამითი გაჰქონდა თავი.

ხანდაზმულები, რომელთაც თომას ახალგაზრდობა ახსოვდათ, მორიდებით ეპყრობოდნენ მას, სოფლის ბავშვებს კი ერთგვარ შიშს და თან ცნობისმოყვარეობასაც აღუძრავდა იდუმალებით მოცული მისი ცხოვრება. სულ პატარებს განსაკუთრებით მისი ტომრისა ეშინოდათ, რადგან ზოგიერთი დედა აშინებდა მათ: ჭკუით თუ არ იქნებით, თომა მოვა და ტომარაში ჩაგსვამთო.

გაზაფხულის იმ დღესაც, ბურთის თამაში და მინდორში სირბილი რომ მობეზრდათ, ბავშვები ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ თომას სახლს — აინტერესებდათ რა ხდებოდა იქ. ღობეს ამოფარებულები ერთხანს უთვალთვალებდნენ, თომა შინ არის თუ არაო. როცა დარწმუნდნენ, სახლი ცარიელიაო, გათამამებულები გარს შემოერტყნენ. ზოგი სახურავზე ავიდა. დამპალმა ყავარმა ვერ გაუძლო, ჩაინგრა და ყველანი სხვენში ჩაცვივდნენ. იღბლად, ჭერი არც ისე მაღალი იყო და არავინ დაშავებულა. ძელზე მიყრდნობილი კიბით ოთახში ჩავიდნენ, მიიხედ-მოიხედეს, მერე კარი გააღეს და ყიყინით გარეთ გამოცვივდნენ.

ვერავინ შეამჩნია თომას მოსვლა. მოხუცი ეზოში გაჩერდა და ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდა ბავშვების ცელქობას. რომ დაინახეს, შეშინდნენ, ჩიტებივით გაიფანტნენ...

პატარა თინიკომაც სცადა გაქცევა, მაგრამ ქვას ფეხი წამოკრა და მოხუცის წინ გაგორდა. თომა დაიხარა, წამოაყენა და თავისკენ მოატრიალა. რომ დაინახა, ვის ხელშიც იყო, გოგონამ დაიწივლა და გაქცევა სცადა. თომამ შეაჩერა, ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირიდან სისხლი მოსწმინდა, მოეფერა.

გოგონა თითქოს დაწყნარდა, მაგრამ მაინც შიშითა და გაკვირვებით შესცქეროდა მოხუცს, ბოლოს გაბედა და შეეკითხა:

— თომა ბაბუ, ტომარაში არ ჩამსვამ? — და ყოველი შემთხვევისათვის გასაქცევად მოემზადა.

— რაო, რა მითხარი? თომა ბაბუა? — ეუცხოვა მოხუცს, მისთვის ასე პატარა ციალას მეტს არავის დაეძახნა, ამიტომ ყურს არ დაუჯერა.

— ჰო, თომა ბაბუ. ვინც დედიკოს არ გაუგონებს, ტომარაში ჩასვამ?

— არა, შვილო, არა. ვინ გითხრა ეგ! ტომარაში პური და ცოტაოდენი შაქარია. აგერ, კანფეტიც მაქვს, — ჯიბიდან ქაღალდში შეხვეული ორი ცალი კარამელი ამოიღო და გაუწოდა: — აჰა, გამომართვი.

ბავშვი ყოყმანობდა. მაშინ თომამ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ტომარაში ხელი ჩაჰყო და პატარა პლასტმასის თოჯინა ამოიღო, შვილიშვილისაგან რომ ჰქონდა შემორჩენილი და მუდამ თან დაჰქონდა.

— აი, ბაბუ, თოჯინა არ გინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. 892

გოგონას თვალები გაუბრწყინდა, თოჯინა და კანფეტები გამოართვა.

თომამ თავზე ხელი გადაუსვა ბავშვს და უცებ ლამის თვალი დაუბნელდა: გოგონას ყელზე ნაცნობი მძივები ეკეთა.

— ეს... ეს... ვინ მოგცა? — აკანკალებულმა თომამ ორივე ხელით თავისკენ მიიზიდა ბავშვი, დააშტერდა...

— ეს ჩემი დედიკოსია, იმან გამიკეთა. დღეს ჩემი დაბადების დღეა, — ამაყად უთხრა გოგონამ და გაუღიმა.

●

სწორედ ამ დროს შეშინებული ბავშვები მთელ სოფელს მოსდებოდნენ და გაიძახოდნენ:

— არიქა, უშველეთ, თინიკო თომამ დაიჭირა!

ამის გაგონებაზე ყველა მოხუცის სახლისაკენ დაიძრა. პირველი თინიკოს დედა მოვარდა, ხელიდან გამოგლიჯა ბავშვი თომას და გულში ჩაიკრა.

— დედა, დედილო, ნახე, თომა ბაბუმ რა მაჩუქა? — უთხრა თინიკომ და თოჯინა გაუწოდა.

— უკან დაუბრუნე, რად გინდა, მამა უფრო კარგს მოგიტანს, — ეუბნებოდა დედა, კილოზე ეტყობოდა, ქართულად ლაპარაკი უჭირდა.

მოჯარული ხალხი რაღაც ამბის მოლოდინში გაირინდა. თომა თავჩაღუნული იდგა და ხმას არ იღებდა. ყველა მას მისჩერებოდა. თინიკოს დედაც შესცქეროდა მოხუცს, რომელსაც პირველად ხედავდა ასე ახლოს. ის იყო წასასვლელად მიტრიალდა, რომ თომამ დაუძახა:

— მოიცა, შვილო, შენ ეს მძივები საიდან გაქვს?

— რა ვიცი, დედობილმა მითხრა, ტაშკენტში რომ ჩამოგიყვანეს, ყელზე გეკეთაო, მაშინ სულ სამი წლის თუ იქნებოდიო.

— ვაიმე, შვილო... ციალა ხომ არ გქვია?

— ციალა? დიახ ციალა ვარ...

თომა გულწასული იქვე დაეცა. შეკრებილი ხალხი მიეშველა; ბალახზე დაასვენეს, შემდეგ კი სახლში, ტახტზე დააწვინეს. როგორც იქნა, მოსულიერდა.

ყველა გაოცებული იყო — ვერ მიმხვდარიყვნენ მოხუცის აღელვების მიზეზს. თომა ბორგავდა, ბუტბუტებდა:

— შვილო, შვილო! რამ დამაბრმავა მე უბედური...

ხალხი თანდათან მიმოიფანტა. ციალამაც თავისი თინიკო შინ წაიყვანა, თუმცა გული არ ემორჩილებოდა. თომას ნათქვამმა საოცარი ეჭვი აღუძრა და მოუთმენლად ელოდა მეუღლის მოსვლას.

თომასთან რამდენიმე ხანშიშესული მეზობელი დარჩა, მასთან ბავშვობიდან შეზრდილი. ერთმა მათგანმა უსაყვედურა:

— რა იყო, კაცო, მძივები არ გინახავს ბავშვის ყელზე თუ რა! მაგის მსგავსი სამკაული ჩვენს სოფელში რამდენიც გინდა, იმდენია, მაღაზიაშიც იყიდება...

— რას ამბობ, სანდრო, ეგ ხომ შინდის ხის მძივებია! — წყენით მიუგო თომამ.

— მერე რა, რომ შინდის ხისაა?

— როგორ თუ რა! — ახლა უკვე გაბრაზებით წამოიყვირა თომამ და წამოდგომა სცადა. — არ გახსოვს, შინდის კოურიანი სახრე რომ გამოგართვი და ჩემი ხელით გამოვთალე მძივები?

— მოიცა, კაცო! ის მძივები მაშინ ხომ დონბასში წაიღე? — ახლა უკვე სანდრო შეეკითხა აღელვებული.

— ჰო, სწორედ იქ წავიღე, როცა ციალა სამი წლის გახდა, ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე, და ჩემი ხელით ჩამოვკიდე ყელზე.

●

როგორც კი ირაკლი შინ მივიდა, ციალამ ყველაფერი უამბო, რაც იმ დღეს მოხდა. გაოცებულმა ირაკლიმ დიდხანს არ დააყოვნა და ორივენი თომასთან მივიდნენ, გამოჰკითხეს შვილის და დაკარგული რძლის ამბავი. თომამ გაცრეცილი სურათებიც კი ამოიღო, რომლებიც ბალიშქვეშ ჰქონდა ამოდებული. სურათზე ახალგაზრდა ოლინკასა და ციალას შორის მსგავსება ეჭვს არ იწვევდა, ხოლო თინიკოსათვის რომ შეგეხედათ და ციალას ბავშვობის სურათთან შეგედარებინათ, გეგონებოდათ, ეს-ეს არის გადაუღეს სურათი ქერა კულულებიან თინიკოსო.

თომას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ციალამ არ დაანება. გვერდიდან არ სცილდებოდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა... ქართულ სიტყვებში რუსულს ურევდა. როცა ოდნავ დამშვიდდნენ, ციალამ თავისი თავგადასავალის თხრობა დაიწყო.

— მე ჩემი ადრეული ბავშვობის ამბავი არ მახსოვს, მაგრამ დედობილმა, რომელმაც გამზარდა, მიამბო, რომ, როცა ტაშკენტში ჩამიყვანეს, თურმე მხოლოდ ჩემი სახელი ვიცოდი, სხვა არაფერი, არც გვარი, არც მშობლიური ქალაქი. ერთი კი ცხადი იყო ყველასათვის — უკრაინიდან ვიყავით წამოსულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს აღმზრდელებს ბევრი მიმოწერის შემდეგ გაუგიათ, რომ მატარებელი, რომლითაც ჩვენ მოვდიოდით, დაუბომბავთ და მხოლოდ რამდენიმე ბავშვი გადარჩენილა. მე, ცოცხალ-მკვდარი, ცეცხლწაკიდებული ვაგონიდან გამოვუყვანივართ სხვა ბავშვებთან ერთად. მერე თურმე სხვა მატარებელში გადაგვსვეს და ტაშკენტში ჩაგვიყვანეს. იქ მოსახლეობაში გაგვანაწილეს. ერთმა უზბეკის ოჯახმა ამიყვანა და თავის შვილებთან ერთად მზრდიდა. როცა წამოვიზარდე, მაშინ მითხრეს, რომ მე მათი ნაშვილები ვიყავი, ადრე მეც მიკვირდა, რომ ოჯახში არავის ვგავდი, სახელიც სხვაგვარი მქონდა, გარეგნობაც და ხასიათიც...

საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, მინდოდა ტაშკენტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესვლა. მაგრამ დედობილ-მამობილმა მირჩიეს თბილისში წავსულიყავი, მე ჯერ ვიეჭვიანე, ჩემი თავიდან მოცილება ხომ არ უნდათ-მეთქი, მაგრამ გამგზავრების წინ დედობილმა კარადიდან ეს შინდის ხის მძივები ამოიღო და ყელზე დამკიდა, მაშინ მივხვდი, რომ ვცდებოდი. ბავშვობაში ჩემი ნათქვამი ორი-სამი სიტყვა ჩაუწერია და მანამ დაჭქონდა უბით, სანამ მცოდნე არ უნახავს და არ გაუგია, რომ ის სიტყვები ქართული იყო.

წამოსვლისას მითხრა: შვილო, შენ კარგად იცი, როგორ მიყვარხარ, მაგრამ ალბათ შენი ნათესავები გეძებენ, არ იციან, ცოცხალი ხარ თუ არა. ეს მძივები თან ჩამოგყვა, ყელზე გეკეთა. ეს ერთადერთი ნიშანია, რაც გაგაჩნია შენს სახელთან ერთად. არ მოიხსნა, არც სხვას მისცე, გარდა შენი შვილებისა. თუ ქვეყნად სამართალია, ეს გაპოვნინებს შენს ნათესაობას. მჯერა, რომ ბედნიერი იქნები. ოღონდ მე არ დამივიწყოო, — და ისე ატირდა, თითქოს სამუდამოდ მეთხოვებოდა.

გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირაკლისთან ერთად ჩავაბარე, რუსულ სექტორზე. ერთ ჯგუფში მოვხვდით, საერთო საცხოვრებელშიც ერთ კორპუსში მოგვათავსეს, ასე რომ ლექციებზეც და გზაშიც სულ ერთად ვიყავით, ერთად ვმეცადინეობდით. მალე შევვუღლდით და თინიკო შეგვეძინა. აქ ირაკლის მშობლებთან ჩამოვედით. დღეს თინიკოს დაბადების დღეა. სამი წლისა შესრულდა. ვერაფერი გავაკეთე სახლში, სულ ჩემს გარშემო ტრიალებდა, ვერ მოვიშორე გვერდიდან, სანამ ყელზე ეს შინდის ხის მძივები არ ჩამოვკიდე და არ ვუთხარი: — აბა, თინიკო, შეხედე, როგორ გიხდება, გაიქეცი, გზას, გახედე, მამა ხომ არ მოდის-მეთქი. და აი, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. გამართლდა ჩემი დედობილის სიტყვები. ახლავე დეპეშით უნდა ვაცნობო და გავახარო, ვინც ობოლს და მარტოდ დარჩენილს მომიარა, ვინც გამზარდა და ფეხზე დამაყენა.

ციალა გატაცებით ლაპარაკობდა. ასე დაწვრილებით მას თავისი თავგადასავალი არავისათვის უამბნია, გარდა ქმრისა. თომაც ყურადღებით უსმენდა და ხანდახან თუ ჩაურთავდა ორიოდე სიტყვას:

— ვაიმე, შვილო, რამდენი ტანჯვა გამოგივლია... რა კეთილი ადამიანები ყოფილან, რით უნდა გადაუხადო ამდენი ამაგი.

ციალამ დაამთავრა თხრობა და თავჩაღუნული დადუმდა. ხმას არავინ იღებდა. გარინდებული მეზობლები ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე და გაკვირვებას თავის გაქნევით გამოხატავდნენ.

თომა თვალებდახუჭული იწვა. ოცი წლის ნატანჯს სახეზე ბედნიერების შუქი გადაჰფენოდა... და ერთადერთ სიტყვას ჩურჩულით იმეორებდა: — ვიპოვე... ვიპოვე...



თეატრი და ბავშვები

გასული წლის 1-ლ დეკემბერს უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ სოხუმელები: ქალაქის ქუჩებში მიმავალ სტუმრებს — რესპუბლიკის თეატრების ყველა თაობის ცნობილ მსახიობებს და სცენისმოყვარე ბავშვებს წინ მიუძღოდათ მოზარდების საყვარელი გმირი ბურატინო: იმ დღეს მზიური აფხაზეთის დედაქალაქში გაიხსნა რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვები“ და ბურატინო მის მონაწილეებს მეგზურობდა.

მონაწილეთა შორის ბევრი თქვენი თანატოლი იყო, რომლებმაც რესპუბლიკის საუკეთესო თეატრების მსახიობებთან ერთად თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ბავშვებს, აღმზრდელებს, სტუმრებს.

კვირეული მთელ რესპუბლიკაში მიმდინარეობდა, მათ შორის თბილისშიც. თბილისში იგი 161-ე საშუალო სკოლაში გაიხსნა. მანამდე კი მოსწავლეებმა მთაწმინდის და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონები მოინახულეს, ყვავილებით შეამკეს ქართული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა წმინდა საფლავები.

თეატრალური ხელოვნება კოლექტიური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, რომელშიც მთავარი როლი რეჟისორს მიეკუთვნება, როგორც სცენიური წარმოდგენის საერთო იდეურ-მხატვრული სახის შემქმნელს, მის ავტორს.

თეატრალური ხელოვნება თავისი ბუნებით მოიცავს სხვადასხვა დარგებს: ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას, ბალეტს... სინთეზური ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, თეატრს დიდ უპირატესობას ანიჭებს თვალსაჩინოება, — უშუალოდ მაყურებლის წინაშე თამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრალურმა ხელოვნებამ დიდი და რთული გზა განვლო; იგი ყოველთვის გამოხატავდა საზოგადოების თვალსაზრისს, საერთო კულტურის დონეს, იყო ერის ინტერესების დამცველი, მებრძოლი ხელოვნება, ადამიანის უშრეტი სულიერი საზრდო, მოზარდი თაობის აღმზრდელი, მეგობარი, დამრიგებელი...

სწორედ ამ საინტერესო საკითხებს ეხებოდა დეკემბერში გამართული ტრადიციული თეატრალური კვირეულის მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა კონფერენცია თბილისის აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში გაიმართა. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ მასწავლებლები. მათ ილაპარაკეს თეატრის როლზე მოსწავლეთა აღზრდისა და განათლების საქმეში, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები თეატრისა და ბავშვების ურთიერთობაზე.

კონფერენციის მონაწილეთა შორის იყო თერჯოლის რაიონის სოფელ თერჯოლის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი თინათინ ამბროლაძე, რომელსაც საინტერესოდ აქვს ჩამოყალიბებული თავისი შეხედულება თეატრზე.

— თეატრი, — გვითხრა საუბრისას მან, — ხელოვნების შეუდარებელი დარგია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სინთეზური ხელოვნებაა, არამედ ესთეტიკური აღზრდის და ტკბობის თვალსაზრისითაც.

თეატრალურ წარმოდგენაში მოზარდი მაყურებელი უშუალოდ მონაწილეობს სცენაზე მომხდარ ამბავში, მას წარმოდგენა მთლიანად იპყრობს და ყოველ წვრილმანს, ნიუანსს არაჩვეულებრივი ცხოველმყოფელობით გრძნობს.

თეატრის სიყვარულს ბავშვი სკოლიდანვე უნდა ეზიაროს.

თეატრთან ბავშვების დამოკიდებულებაზე გვესაუბრა თბილისის კ. კეკელიძის სახელობის 29-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მასწავლებელი მარინე ფერიშვილი:

— მე, როგორც პედაგოგი, თეატრს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მოზარდის აღზრდაში, გემოვნების ჩამოყალიბებაში, მის მიერ სამყაროს, ცხოვრების რეალურ აღქმაში.

მე და ჩემი მოსწავლეები ხშირად ერთად დავდივართ თეატრში და ნანახ სპექტაკლებს შემდეგ ერთად ვარჩევთ ზეპირად ან წერილობით. ერთ-ერთი წერითი დავალების დროს — „მე რომ თეატრის რეჟისორი ვიყო“ — ბავშვებმა საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვეს. ერთი გოგონა ასე ამთავრებდა ნაწერს: „...მე რომ თეატრის რეჟისორი ვიყო, სცენაზე გავაცოცხლებდი ექიმს, რომელიც ყველა ავადმყოფს გადაარჩენდა“... ერთმა ბიჭუნამ კი აი, როგორ გამოხატა, თუ რა ძალა აქვს თეატრს: „ფარდის ახდამდე მაყურებელი შევათვალიერე. აქ თბილისის ინტელიგენცია შეკრებილიყო. ამის შემხედვარემ თავი მეც ინტელიგენტად ვიგრძენი“... მოზარდი — გოგონა თუ ვაჟი, თეატრში სწავლობს როგორ დაიჭიროს თავი საზოგადოებაში, თეატრში რომ მიდის, კოხტად, ფაქიზად იცვამს. მისთვის თეატრში წასვლა ნამდვილი ზეიმია.

კონფერენციას დევიზიც შესაფერი ჰქონდა — „მართალი სიტყვა სცენიდან თქმული“. აბა დააკვირდით, რა კარგად ჟღერს ეს ნათქვამი: სცენიდან მართლაც უპირველესად სიმართლე უნდა ღაღადებდეს, სწორედ სიმართლის თქმა გახლავთ თეატრის არსი, მიზანი, ამოცანა.

მოზარდის ფანტაზია უნაპიროა. განა ცოტა გიოცნებიათ საარაკოზე, ზღაპრულზე? იმ სამყაროს სიკეთეც და სიავეც, სიმართლეც და სიცრუეც თქვენებურად გაგიაზრებიათ, თქვენებურად გადაგიკეთებიათ. თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები, კვირეულის მონაწილენი ნატო ქვარცხავა და ლიანა აბულაშვილი თეატრს „იდუმალ და ნაცნობ სამყაროს“ უწოდებენ. იდუმალი იმიტომ გახლავთ, რომ მისი აზრი უნდა შეიმეცნო, მის არსს უნდა ჩაწვდეო; ნაცნობი კი იმიტომ არის, რომ იგი ყველა ჩვენგანის ახლობელი, მშობლიური და თანამდგომიაო.

თქვენი თანატოლების აზრს იზიარებს თეატრალური რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მედეა კუჭუხიძე. მისი თქმით, საბავშვო თეატრში უნდა სუფევდეს აბსოლუტურად განსხვავებული ატმოსფერო, იქ უნდა შეიქმნას იდუმალი, ამასთან ჩვეულებრივი, რეალური სამყარო, ვინაიდან მოზარდი თეატრიდან ინფორმაციას კი არ იღებს, არამედ სულიერ საზრდოს, რომელმაც უნდა გამოკვებოს მისი შეხედულებანი, გემოვნება, მრწამსი. მოგეხსენებათ, რომ გონივრულად ნაკვები ბავშვი ჯანმრთელი და გონიერი იზრდება.

ამ ტრადიციული კვირეულით არ დამთავრებულა თეატრალური ხელოვნების ზეიმი ჩვენს რესპუბლიკაში. ნიშანდობლივია ის სასიხარულო ფაქტი, რომ კვირეულის დამთავრების დღეს, 8 დეკემბერს, თბილისში მუშაობა დაიწყო საბავშვო და საყმაწვილო თეატრების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა ცენტრის კონფერენციამ, რომელმაც განიხილა მოზარდ მაყურებელთა თეატრების კოლექტივების მხატვრული და პედაგოგიური აღზრდის პრობლემები. პრობლემები კი არც ისე ცოტაა, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში 200-ზე მეტი პროფესიული საბავშვო თეატრია, და თითოეულს თავისი გზა, ხელწერა, სტილი აქვს არჩეული. სამაგიეროდ, მიზანი ყველას ერთი აქვს — ხელი შეუწყოს ნორჩ მოქალაქეთა სულიერ, ზნეობრივ ჩამოყალიბებას, იპოვოს სწორი გზები მოზარდის გულისკენ.

დაე, სცენიდან ნათქვამი მართალი სიტყვა მანათობელი შუქურა ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი თანატოლებისათვის!

ვახტანგ ულენტი

ძიერმიანჯელო

ვასილ ივანოვი

მხატვარი ზურაბ ფოლჩხიძე

სახლიდან წითელი ფერის გრძელ სამოსში გამოწყობილი ხნიერი მამაკაცი გამოვიდა და კიბის ზედა საფეხურზე შეჩერდა.

— მიქელანჯელო! — გასძახა შვილს.

— აქა ვარ, მამა! — მოისმა პარკის სიღრმიდან ბავშვის წკრიალა ხმა.

ხეივანში თორმეტიოდე წლის ბიჭი გამოჩნდა. შიშველი მუხლები და ტანსაცმელი ტალახში ამოსვროდა. ხელში ჩაქუჩი და საჭრეთელი ეჭირა.

— შენ ისევ არ ეშვები ამ ტალახსა და ქვებს? — გაუჯავრდა მამა. — ისევ თიხაში ითხუპნები? ახლავე შემოდი და დაიბანე!

ბიჭი თავჩაღუნული გაუყვა ბილიკს.

სახლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა.

— ოჰ, ლუკრეცია, — საყვედურით მიმართა კაცმა. — ეს ბავშვი სულ წავიდა ხელიდან, გადაყვა ქვების თლასა და ტალახის ზელას.

მიქელანჯელოს დედამ ქმარს მშვიდი მზერა მიაპყრო:

— ჩემო კარგო, რას ერჩი ამ ბავშვს? ხომ იცი, ჩაქუჩის კაკუნი და ძერწვა ბავშვებს ყველაფერს ურჩევნიათ.

— შენ ხომ ეგ ყოველთვის უნდა გაამართლო!

— ჯერ ბავშვია! აქ, კაპრეზეში, ყოველ ნაბიჯზე ხვდება ქვა და მარმარილო, ყოველთვის ხედავს ჩაქუჩითა და საჭრეთელით შეიარაღებულ ოსტატებს, და მაგასაც სიამოვნებს მიბაძვა. ნუ დავუშლით.

— მიქელანჯელო ქვისმთლელის შვილი არ არის! — უკმაყოფილოდ თქვა მამამ. — ქალაქის მმართველის ოჯახში დაიბადა! აი, ხვალვე გავაგზავნი ფლორენციაში! დაე, ფრანჩესკოს სკოლაში აღიზარდოს, ლათინურს მაინც ისწავლის.

მეორე დღეს ბიჭი პროფესორ ფრანჩესკო და ურბინოს ლათინურ სკოლაში მიიყვანეს. მამამ სთხოვა ფრანჩესკოს, ეხსნა მისი შვილი „ცუდი“ მიდრეკილებისაგან და მისთვის გრამატიკისა და მეცნიერების სიყვარული ჩაენერგა. მაგრამ ეს საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა. ბიჭს ფუნჯსა და ფერებზე ამოსდიოდა მზე, ქვა კი ყველაზე საინტერესო წიგნს ერჩია. მისი რვეულები ნაირფერი ნახატებით იყო აჭრელებული.

ერთხელ პიეტრო გრანასიმ, მხატვრის ვაუმა, მიქელანჯელოს ჰკითხა:

— გინდა, დიდი ფერმწერის სახელოსნოში წაგიყვანო?

— რა თქმა უნდა! — მიუგო მან.

მეორე დღეს პიეტრომ იგი საქვეყნოდ ცნობილ დომინიკო გირლანდაიოს სახელოსნოში მიიყვანა. დაინახა თუ არა დიდებული ქანდაკებები და ფერწერული სურათები, რომლებიც მხატვრის სახელოსნოს ამკობდნენ, მიქელანჯელო გაოცებისაგან გაქვავდა. წარმოსადეგი გარეგნობის, ულვაში. მსუბუქად ჩაცმული გირლანდაიო მოლბერტთან იდგა და ხატავდა. პიეტრო გრანასიმ ხელოვანს თავისი მეგობარი გააცნო და სთხოვა, თუ შესაძლებლობა გაქვთ, იქნებ ხატვის გაკვეთილები მისცეთო.

გირლანდაიომ დაკვირვებით შეხედა მიქელანჯელოს.

— ჰმ, — დაიბუბუნა მან. — კარგი, ვთქვათ, თანახმა ვარ მოგცე გაკვეთილები, მაგრამ რით შეგიძლია დამიმტკიცო, რომ სერიოზული მოწაფე იქნები?

შემკრთალმა მიქელანჯელომ თან წამოღებული საქაღალდე გახსნა და რამდენიმე ნახატი ამოიღო. გირლანდაიომ ყურადღებით დაათვალიერა ისინი.

— საკვირველია! — წამოიძახა მან, ჭეშმარიტად საკვირველებაა! მაშ, შენ გინდა ჩემი მოწაფე გახდე?

— დიახ, მაესტრო... მაგრამ მამაჩემი ალბათ არასოდეს დამანებებს ამას.

— ვითომ?! კარგი, მე მომანდე ეს საქმე.

მეორე დღეს გირლანდაიო სეტინიანოს სასახლეს ეწვია. იგი აღტაცებით მოუთხრობდა მამას მიქელანჯელოს არაჩვეულებრივი ნიჭის შესახებ.

— გამოცდილი მასწავლებლის ხელმძღვანელობით, — უმტკიცებდა იგი, — მიქელანჯელო სულ მალე იტალიის დიდი მხატვარი გახდება.

მამამ ნაღვლიანად ამოიოხრა.

— რა გაეწყობა... ასეთი ყოფილა დე კანოზის გრაფთა კეთილშობილი გვარის შთამომავლის ბედი — მღებავი არარაობა!

მამამ მიქელანჯელო მოიხმო და ცივად მიმართა:

— დღეიდან შენ გირლანდაიოს მოწაფე ხარ და მასთანვე იცხოვრებ. ამიერიდან ჩემს სახლში შენთვის ადგილი აღარ არის!..

გირლანდაიო იმდენად მოიხიბლა ახალი მოწაფის ნიჭით, რომ გულს ვერ იჯერებდა მისი სიყვარულით და ქება-დიდებას არ აკლებდა მას.

მიქელანჯელოს ერთ-ერთ თანაკლასელს, პიეტრო ტორეჯიანოს საშინლად შურდა ამხანაგის წარმატება. ერთხელ ბიჭები პატარა ეკლესიის კედლის მოხატვაზე მუშაობდნენ. მიქელანჯელომ შენიშვნა მისცა პიეტროს, ნახატზე შუქ-ჩრდილი შეცდომით გაქვს განაწილებულიო.

— სხვის საქმეში ნუ ეჩრები! — აენთო ტორეჯიანო. — მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც შენი მხატვრობით აღფრთოვანებულია!

— მე კეთილ რჩევას გაძლევ, — მოკრძალებით მიუგო მიქელანჯელომ. — თუმცა... იქნებ შენ ჩვეულებრივ ხელოსნად გინდა დარჩე?

— ხელოსანი შენ თვითონ ხარ! — მიახალა ტორეჯიანომ და გაბრაზებულმა მძიმედ გაარტყა სახეში.

უღირსი მოწაფე მეორე დღესვე გააძევეს გირლანდაიოს სახელოსნოდან, მაგრამ მიქელანჯელო მთელი სიცოცხლის მანძილზე ფიზიკურად დამახინჯებული დარჩა...

კაპრეზელი ჭაბუკი არა მარტო ხატავდა, არამედ ქვასაც ამუშავებდა დიდი მონდომებით.

ერთხელ მან ამხანაგთან ერთად ფლორენციის მმართველის, ლორენცო მედიჩის პარკი დაათვალიერა. ვრცელი პარკის ერთ კუთხეში ოსტატები სხვადასხვა ფიგურებს აქანდაკებდნენ. მათ შორის მიქელანჯელოს ერთ-ერთი კაპრეზელი ნაცნობიც აღმოჩნდა.

— გამარჯობა, მიქელანჯელო! — შესძახა მან. — რაო, ხომ არ დაივიწყე ჩაქუჩი და საჭრეთელი?

ჭაბუკმა გირლანდაიოს სახელოსნოში საქმიანობაზე უამბო და სინანულით დასძინა:

— მე რომ აქ მარმარილო, ჩაქუჩი და საჭრეთელი მქონდეს, ხატვაზე უარს ვიტყოდი.

— მოდი ჩვენთან და, რაც აუცილებელია, ყველაფერი გექნება.

იმ დღიდან ახალგაზრდა მხატვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მედიჩის პარკის ხშირი სტუმარი გახდა.

ერთხელ, ის იყო მიქელანჯელო მოხუცი ფავნის ქანდაკებას ამთავრებდა, რომ მასთან საკმაოდ შეუხედავი ორმოციოდე წლის კაცი შეჩერდა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა ჭაბუკის ნამუშევარს. მერე ავტორს მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

— მეგობარო, ერთი პატარა შენიშვნა უნდა მოგცე!

მიქელანჯელომ გაკვირვებით შეხედა.

უცნობმა ქანდაკებაზე მიუთითა და ჰკითხა:

— სად გინახავს, რომ მოხუცს პირი კბილებით ჰქონდეს სავსე?

მიქელანჯელო ყურებამდე გაწითლდა.

უცნობის წასვლის შემდეგ მიქელანჯელომ ფავნს ჩაქუჩით ორი კბილი ჩაუმტვრია.

მეორე დღეს პარკში რომ მივიდა, თავისი ფავნი ადგილზე აღარ დახვდა.

მალე გამოჩნდა გუშინდელი უცნობიც. მიქელანჯელომ სასოწარკვეთით აუწყა მომხდარი ამბავი.

— ქანდაკება ჩემი ბრძანებით წაიღეს. — თქვა უცნობმა.

— როგორ? როგორ გაბედეთ!

— წამომყევი, გაჩვენებ შენს ფავნს.

სასახლისკენ გაემართნენ. რიცხვესტიბიულში შევიდნენ, მიქელანჯელომ შეამჩნია, რომ ყველა მსახური მოწიწებით უხრიდა თავს უცნობს.

„ალბათ ვინმე დიდგვაროვანია“, — გაიფიქრა ჭაბუკმა.

გაიარეს რამდენიმე დარბაზი, გალერეა და უცებ მიქელანჯელო ხელოვნების ნაწარმოებთა უმდიდრესი კოლექციის წინაშე აღმოჩნდა, მათ შორის იყო ლამაზ კვარცხლბეკზე შემდგარი მისი ფავნიც.

დარცხვენილი და აღელვებული მიქელანჯელო მიხვდა, რომ ეს უცნობი ფლორენციის მმართველი ლორენცო მედიჩი იყო.

ასე დარჩა იგი სამუშაოდ სასახლეში.

მრავალი წლის განმავლობაში მფარველობდა ლორენცო მედიჩი მიქელანჯელოს. ჭაბუკი ვაჟკაცდებოდა, სწრაფად იფურჩქნებოდა მისი არაჩვეულებრივი ნიჭიც.

გავიდა ხანი და მიქელანჯელო თავისი დროის უდიდეს მოქანდაკედ აღიარეს.

მედიჩის გარდაცვალების შემდეგ მიქელანჯელომ მიატოვა ფლორენცია, შემოიარა მთელი იტალია და დაბრუნდა რომში, სადაც იგი რომის პაპმა, იულიუს მეორემ მიიწვია. პაპის შეკვეთით მან რამდენიმე ნაწარმოები შექმნა, რომლებმაც უკვდავყვეს გენიალური მოქანდაკისა და ფერმწერის სახელი. მიქელანჯელოს მოხატულია წმინდა პეტრეს ტაძარში სიქსტის კაპელის საკურთხევლის კედელი, რომელსაც ამშვენებს ფრესკა „განკითხვის დღე“, მან გამოაქანდაკა საქვეყნოდ ცნობილი „მოსე“ და „დავითი“, გუმბათი დაადგა რენესანსის დიდებულ არქიტექტურულ ძეგლს, სან-პიეტროს ტაძარს.

მრავალი წლის შემდეგ მიქელანჯელოს მოენატრა მშობლიური კაპრეზე, მოუნდა ერთხელ კიდევ ეხილა ის სანუკვარი ადგილები, სადაც ბავშვობის წლები გაატარა. მოქალაქეებმა ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყეს დიდ ხელოვანს. მამა კი სახელმოხვეჭილ შვილს ასეთი სიტყვებით შეხვდა:

— ჩემო შვილო, ოდესღაც მე შენ ქვისმთლელი გიწოდე, დღესაც ჩემი პატარა „ქვისმთლელი“ ხარ, მაგრამ როგორი სიამაყით წარმოვთქვამ ახლა ამ სიტყვას!

მიქელანჯელო მოწიწებით ეამბორა ხელზე მამას.

ბულგარულიდან თარგმნა
ამირან დგებუაძემ

წინ კიდევ ბევრი საქმეა

(დასასრული)

„სამშობლოს — მწვანე სამოსი!“ და ა.შ.

შეიძლება ზოგ მოზრდილსაც კი „შეშურდეს“ სკოლის საუკეთესო ინფორმატორის, მეშვიდეკლასელი ია შანიძისა. მისი საუბრები მუდამ საინტერესო და ცხენცხალი ინფორმაციებითაა დამუხტული.

რაზმეულს მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს გდრ-ს ფიურსტენვალდის რაიონის შპრეეშენეიხის ა. გაიდარის სახ. პოლიტექნიკური საშუალო სკოლის პიონერებთან.

სკოლის მესამე სართულის დერეფნის კედლებში ტყვიამფრქვევის მასრებია ჩაკირული. თითოეულ ძათგახში მოთავსებულია საძმო საფლავიდან აღებული მიწა, რომელიც ჩვენი ქვეყნის 22 გმირი ქალაქის პიონერებს გამოუგზავნიათ.

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. მე-4 საშუალო სკოლის პიონერებსაც ბევრი რამ აქვთ თავგამოსაჩენი.

კომუნისტთა რესპუბლიკური და საკავშირო ფორუმების აღსანიშნავი შეჯიბრება აქაც ადრიანად დაიწყო. მარტო 2 ოქტომბერს ჩატარებულ შაბათობაზე შეგროვდა 7,3 ტ ჯართი და 4,7 ტ მაკულატურა. ამ დღეს სხვაზე მეტად თავი გამოიჩინა მე-10 რაზმმა (IV-3 კლასი).

— ჩვენს რაზმეულში მუშაობს საექსპედიციო რაზმი „ედელვაისი“, — მოგვითხრობს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ლეილა კვირიკიძე. — იგი სწავლობს სკოლის ისტორიას, ბათუმის რევოლუციურ წარსულს, მისი ქარხნებისა და ციტრუსკომბინატის მიღწევებს X ხუთწლედში. რაზმი მუშაობს დევიზით „შენ ბათუმელი ხარ!“ სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს მოვაწყობთ შეხვედრას X ხუთწლედის გმირებთან.

— ინტერკლუბი „თოლიაც“ ბევრ საინტერესო ღონისძიებას ატარებს, — სიტყვა ჩამოართვა მეგობარს ნატო კუნჭულიამ. — მოვაწყვეთ საღამო „იმპერიალიზმის გასამართლება“, მიტინგი „ჩვენ მშვიდობა გვინდა!“ სკკპ XXVI ყრილობას მივუძღვენით ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო დევიზით „15 ვარსკვლავით გაბრწყინებულო, დედა სამშობლოვ მუდამ მზიანო!“

პარტიის ყრილობას მიეძღვნა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების დათვალიერება-კონკურსი. აგრეთვე სპარტაკიადა — „ჩვენ არ გვაშინებს დაღლა!“

ბათუმის შ. რუსთაველის სახ. მე-2 საშუალო სკოლას მიმდინარე წლის მარტში არსებობის 100 წელი უსრულდება. მთელი სკოლა დიდი ენთუზიაზმით ემზადება იუბილეს აღსანიშნავად. საქართველოს კპ და სკკპ ყრილობებისათვის მზადებამ ფრთები შეასხა პიონერთა ხალისიან საქმიანობას. ყველა კლასში ჩატარდა საუბრები ახალი მე-11 ხუთწლიანი გეგმის პროექტის ძირითად დებულებებზე. ბავშვებმა დაასუფთავეს სკოლის გარემო, მოაწყვეს სკვერი, სარდაფში გამართეს ტირი, სკოლის ეზოში მდგარი საწყობის ძველი შენობა გადააკეთეს და მოაწყვეს

აწესი. მოსწავლეებს ესაუბრება მშენებლობის მონაწილე ვეტერანი მუშა ოსმან კახიძე.

კლუბი, სადაც კონცერტები და საგუნდო მეცადინეობა ტარდება.

რაზმეული მეგობრობს ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ტყვედყოფილ ერემია თავაძესთან, რომელმაც ამას წინათ თავისი მეგობრები, ასევე ყოფილი ტყვეები, აწვია სკოლას. საოცრად ამაღელვებელი შეხვედრა იყო.

ყოველ ორშაბათს ჯამდებოდა სოციალისტური შეჯიბრების ერთკვირეული შედეგები.

რაზმეულმა 17 ტონამდე ჯართი და 5 ტონაზე მეტი მაკულატურა შეაგროვა, რითაც საგრძნობლად გააჯარბა გეგმას. თავი გამოიჩინეს **მოწინავე** პიონერებმა: მეხუთეკლასელებმა მაია ცერცვაძემ, მირანდა გორგოშიძემ, მამუკა თალაკვაძემ, ეკა გუჯაბიძემ, მეშვიდეკლასელებმა ლამზირა კეკუტიამ, მიხეილ ჭავჭანიძემ და სხვებმა...

●

ასობით ტონა ჯართი და მაკულატურა, ათეულ ათასობით მანეთის შესრულებული სამუშაო, მაღალი აკადემიური წარმატება, სანიმუშო ყოფაქცევა, შესანიშნავი სპორტული მიღწევები — აი, იმ პიონერულ სტრიქონთა არასრული ნუსხა, რომლებიც აჭარის ასსრ ნორჩ ლენინელთა ხელით ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდი შეკრებისადმი მიძღვნილ პატაკში.

ახლა ამას მზარდი ენთუზიაზმი და ინიციატივიანობა, პარტიის საქმისადმი ერთგულების განმტკიცება, საერთო იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, . არჩეული გზის მიმართ რწმენის განმტკიცება დაუმატეთ!

...ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს და კარგი საჩუქარი მოუმზადეს ბათუმელმა, ხელვაჩაურელმა, ქედელმა, ხულოელმა, შუახეველმა, ქობულეთელმა პიონერებმა მშობლიური პარტიის XXVI ყრილობას, მაგრამ ისინი აქ როდი შეჩერდებიან, კიდევ უფრო მედგრად გასწევენ წინ, რადგან სხვანაირად არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ — როგორც გალაკტიონმა თქვა ერთხელ ბათუმში სტუმრობისას —

„აქ კი უღრუბლო და ლურჯი ცაა,
წინ — მომავალი ნუგეშისმცემი!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალლევა, თქვენ ვვარდეთ ოზარლია!

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მავნებლობა მოაქვს ალკოჰოლს კაცობრიობისათვის.

უკანასკნელი წლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი უფლებას გვაძლევს, მდგომარეობა გამწვავებულად გამოვაცხადოთ: სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ალკოჰოლიზმით დაავადებულთა 80 პროცენტი სპირტიან სასმელებს სწორედ ადრეული, კერძოდ, 11-19 წლის ასაკიდან ეჩვევა. ეს მით უფრო სერიოზულია, რომ მოზარდს გაცილებით უფრო სწრაფად — ოთხ წელიწადში უყალიბდება ალკოჰოლიზმის დამახასიათებელი ნიშნები, მაშინ, როცა მოზრდილთა შორის ალკოჰოლიზმის ჩამოყალიბების პროცესი 16 წლის მანძილზე მიმდინარეობს.

საინტერესო დაკვირვებები აწარმოეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგებმა: მათ შეისწავლეს, თუ რა გავლენას ახდენს მშობელთა ლოთობა ბავშვების აკადემიურ მოსწრებაზე. გამოირკვა, რომ ბავშვების აკადემიური ჩამორჩენილობის 36 პროცენტის მიზეზი მშობელთა ალკოჰოლიზმია, 50 პროცენტისა კი მშობელთა ხშირი ქეიფი, ოჯახების გაუთავებელი სტუმრიანობა და გადაჭარბებული ღვინის სმა.

თუ საკითხის მეორე მხარითაც დავინტერესდებით, სხვაგვარი სურათი წარმოგვიდგება. იგივე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოზარდმა სპირტიანი სასმელების მიღება შეიძლება დაიწყოს იმ შემთხვევაშიც, როცა ოჯახში არ აქვს ე. წ. „ალკოჰოლური კლიმატი“ და მემკვიდრეობითი ალკოჰოლისმოყვარეულობა. ასეთ შემთხვევაში ლოთობას აღმოაცენებს ოჯახში არსებული არაჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემო, აღზრდისმიერი ნაკლოვანებები და კონფლიქტური სიტუაციები.

მოზარდთა ასაკში ჩასახული ლოთობის 60 პროცენტის მიზეზად სწორედ ამგვარი ოჯახური „ინტენსიური კონფლიქტური“ პირობები გვევლინება, მაშინ, როცა ჯანმრთელ ბავშვთა შორის ოჯახური კონფლიქტების მხოლოდ 5 პროცენტია აღნიშნული.

ზოგჯერ ბავშვები და მოზარდები სპირტიან სასმელს ეჩვევიან მათდამი მშობლების დამოკიდებულების — აქტიური ემოციური ან პასიური ემოციური, ე. წ. „უარყოფის“ ან ცვალებადი დამოკიდებულების მიზეზითაც.

ალკოჰოლიზმის ნიშნები უფრო ხშირად იმ ბავშვებში და მოზარდებში ვლინდება, რომლებიც განიცდიან ამგვარ „უარყოფით“ ან ცვალებად დამოკიდებულებას.

მოზარდი ალკოჰოლს იღებს უმეტესად მასთან უარყოფით დამოკიდებულებაში მყოფი ოჯახის ან გარემოს მიმართ ე. წ. პროტესტის ნიშნად, ანდა მიბაძვით (იმიტაციით).

ეს უკანასკნელი მხოლოდ გარკვეულ პირობებში, მაგალითად, თანატოლთა წრეში მჟღავნდება. მოზარდები, მოზრდილთაგან განსხვავებით, ალკოჰოლს თავდაპირველად იღებენ საკუთარი თავის ე. წ. „სასიამოვნო მდგომარეობაში“ გადასაყვანად, ან კიდევ, სურვილის გამო — „არ ჩამორჩნენ“ სმაში ტოლ-მეგობრებსა და თანამესუფრეებს.

სამწუხაროა, რომ ახალგაზრდები, კერძოდ, მოზარდები ცუდად ერკვევიან ორგანიზმზე ალკოჰოლის მოქმედების მავნებლობასა და მასშტაბებში.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინი ნაკლებად ან საერთოდ არ კითხულობენ ლიტერატურას, არ ისმენენ ლექცია-საუბრებს ამ თემაზე. ამასთანავე, ზოგიერთ ოჯახში ბავშვს მცირეწლოვანებიდანვე უქმნიან არასწორ წარმოდგენას ალკოჰოლის „კეთილსასურველი“ გავლენის შესახებ ბავშვის ზრდასა და ძალ-ღონის მატებაზე.

ჯერ კიდევ მყარია „ალკოჰოლური ცრურწმენანი“. ცოტა მოზარდს რომ სჯერა ე. წ. „სუსტი“ სასმელების — ლუდისა და ღვინის ნაკლებმავნებლობისა, ისინი მათ კონიაკთან და არაყთან შედარებით უწყინარ სასმელებად წარმოუდგებათ.

საჭიროა, ბავშვებმა და მოზარდებმა იცოდნენ ალკოჰოლის მცირე დოზებით მიღების სავალალო შედეგებიც, რადგან ეს მომენტი არცთუ იშვიათად ყოფილა ალკოჰოლიზმით დაავადების წარმომშობი მიზეზი.

ალკოჰოლი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფიზიკურ განვითარებასა და ზრდაზე, კუნთების ტონუსზე; ყველაზე მეტად კი ის ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, მგრძნობიარე ნერვულ სისტემას და ფსიქიკას აზიანებს. ისიც ცნობილია, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის, ეპილეფსიის, ფსიქოპათიურ ქცევათა და სხვა პათოლოგიების დიდი ნაწილი სწორედ იმ ბავშვებზე მოდის, რომლებიც ადრეულ ასაკში მიეჩვევიან სპირტიანი სასმელების მცირე დოზებით მიღებას. ალკოჰოლიზმის ნიშნებს ვხვდებით შიზოფრენიით დაავადებულ მოზარდთა 14-15 პროცენტში, ეს სიმპტომები საგრძნობია იმ მოზარდებშიც, რომლებიც განსაკუთრებულად პათოლოგიურად განვითარდნენ გარდატეხის პერიოდში.

ალკოჰოლიზმის აღმოცენების ხელისშემწყობი პირობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზულად ყურადღებამისაქცევია მოზარდთა მიკროსოციალური (ოჯახი, გარემო) სამყარო და აღზრდაში დაშვებული შეცდომები. საკმარისია, ეს მომენტები დაემთხვეს მოზარდში მიმდინარე გარდატეხის პერიოდის პათოლოგიურ თავისებურებებს, მისი თავის ტვინის ორგანულ დაზიანებებს ან ბავშვისა და მოზარდის ანომალიური განვითარების რომელიმე ეტაპს, რომ მდგომარეობა მწვავე ხასიათს მიიღებს.

ალკოჰოლიზმის ნიშნების პირველი გამოვლენისთანავე, საჭიროა, ბავშვსა და მოზარდს გაეწიოს სერიოზული სამედიცინო დახმარება. ამ საქმეში კი ექიმთან ერთად აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ თავად მოზარდი, მისი მშობლები და პედაგოგ-აღმზრდელები.

მ. მესტიაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ჩვენი მეგობარი

ზაზა კოშაძე და სხვები

პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ნათელა ფაილოძე.

ერთ დღეს ჩვენი სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნანა ხაბაზაშვილმა გაგვაფრთხილა, გაკვეთილების შემდეგ პიონერთა ოთახში შეიკრიბეთო. ეს დღე არც პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობის განრიგს ემთხვეოდა და არც რაზმეულის საბჭოს შეკრების დღეს.

რაკი ნანა ხელმძღვანელმა მთხოვა, შენს აქტივს ჩამოურბინე და ერთად მოდითო, დრო არ დამიკარგავს, ჩემი „მალემსრბოლების“ — რაზმეულის საბჭოს წევრების დახმარებით სკოლის ყველა სართული მოვირბინე და ხუთ წუთში მთელი სკოლის პიონერული აქტივი პიონერთა ოთახში შეიკრიბა. მოვიდნენ სკოლის კომკავშირელები, სხვებიც, ჩვენთვის უცნობნიც და ნაცნობნიც.

სკოლის დირექტორმა მედეა აბუაშვილმა სტუმრები გაგვაცნო, — ჩვენი ქალაქის საუკეთესო ახალგაზრდები, ენთუზიასტები არიან, ძირითადად გორის საკონსერვო აგროსაწარმოო გაერთიანებიდან, კიდევ-პედაგოგიური ინსტიტუტიდანო. ასე გავიცანით პედაგოგიური რაზმის წევრები. ისინი სულ 39 იყვნენ.

პედაგოგიური რაზმის წევრებმა პიონერული რაზმები და კომკავშირული კლასები გაინაწილეს (ისინი სკოლის კომკავშირელებსაც შეფობენ).

გაგაცნობთ ჩვენს უფროს მეგობრებს. გორის საკონსერვო აგროსაწარმოო გაერთიანებაში მუშაობენ რუსუდან ლომიძე, ნანა გუჩმაზოვი, მანანა ბერაძე, ლეილა ცერცვაძე, ბრიგადირები ნარგიზა პარასკევაშვილი, მანანა პაპიტაშვილი... პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები არიან დარეჯან ჯოჯუა, ქეთინო ზედგინიძე, ნოდარ წიწუაშვილი და სხვები. ისინი ეხმარებიან პიონერულ რაზმებს, არიან „ცისკრისა“ და „მართვეს“ შტაბების საუკეთესო კონსულტანტები, ყურადღებას არ აკლებენ ცელქებსა და ონავრებს, ხალისით უძღვებიან სპორტულ სექციებს, კომკავშირის რიგებში შესასვლელად ამზადებენ უფროსი კლასის მოწინავე პიონერებს. ხელმძღვანელობენ პიონერულ და კომკავშირული აქტივის სკოლებს, ტექნიკური, სპორტული, მხატვრული თვითმოქმედების წრეებს. აწყობენ პროფესიული ორიენტაციის კუთხეებს და ა. შ.

საქმე თავიდანვე საინტერესოდ აეწყო.

ალბათ დაგაინტერესებთ, კონკრეტულად რა გაკეთდა მათი დახმარებით ჩვენს რაზმეულში? ამის თაობაზე უმჯობესია ჩემს თანასკოლელებს, პიონერულ თუ კომკავშირულ აქტივს, რიგით პიონერებს მივცეთ სიტყვა.

ეთერ მამისთვალოვი:

— დიდი ხანია ჩვენი სკოლის შეფია გორის საკონსერვო აგროსაწარმოო გაერთიანება; ბევრი სიკეთე გვახსოვს საკონსერვო ქარხნის მუშებისაგან; ჩვენც არ ვრჩებით ვალში; მხარში ამოვუდექით მათ და პიონერული წვლილიც შევიტანეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად გაშლილ სამზადისში: ვაშლს ვჭრით, ქილებში ვალაგებთ და დასახუფად ვამზადებთ. გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზაზა კოშაძე მუდამ ჩვენს გვერდით არის, გვეხმარება. ერთ კვირა დღეს მთელი სკოლა მივიდა ქარხანაში, — გავიგეთ, რომ მუშებს გეგმის შესრულება უჭირდათ და დასახმარებლად მივედით.

ნინო მაისურაძე:

— ამ გაერთიანებიდან არის ჩვენი ხელმძღვანელი ნანა გუჩმაზოვი. იგი ხშირად მოდის ჩვენთან.

ნანა ხელმძღვანელის დახმარებით ჩავატარეთ დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო; მოვაწყვეთ „ახალისო ალგებრის საღამო“, გამოვუშვით კედლის გაზეთი. ნანა საინტერესოდ გვესაუბრა ჩვენს მომავალ პროფესიაზე, მოგვცა სასარგებლო რჩევები. იგი ახლა კომკავშირის რიგებში შესასვლელად გვამზადებს.

ძალიან გვიყვარს და პატივს ვცემთ ნანა გუჩმაზოვს, მადლობა მას ჩვენდამი დიდი ყურადღებისა და გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

ქეთინო გოგიაშვილი:

— ჩვენი კარგი მეგობარია ლეილა ცერცვაძე, საკონსერვო ქარხნის მთავარი საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ლეილა ხშირად მოდის ჩვენთან, გვეხმარება რაზმის გეგმის შესრულებაში. მისი დახმარებით მოვაწყვეთ ასფალტზე ხატვის კონკურსი.

ლეილა მამულაშვილი:

— კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირია ნარგიზა პარასკევაშვილი. ნარგიზა ხელმძღვანელი ხშირად გვესაუბრება თავის პროფესიაზე, ქარხნისა და საამქროს გეგმებზე; მასთან ერთად დავდივართ ექსკურსიებზე.

სესილი ავაქიანი:

— ჩვენმა ხელმძღვანელმა, გორის საკონსერვო აგროსაწარმოო გაერთიანების მუშამ მანანა ბერაძემ ერთ კვირა დღეს თავის ბაღში წაგვიყვანა.

მანანა ბერაძესთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესოა. მასთან ერთად ხშირად დავდივართ კინოში, ჭირშიც და ლხინშიც მუდამ ერთად ვართ. მანანა ჩვენი ქალაქის დეპუტატიც არის, თავისუფალი დრო ცოტა აქვს, ამიტომ ვცდილობთ მისი თითოეული დავალება მაშინვე შევასრულოთ.

გულიკო ნასყიდაშვილი:

— ჩვენს სკოლაში ხშირად მოდის პედაგოგიური რაზმის მეთაური ზაზა კოშაძე; მან ჩვენი ყველა გასაჭირი თუ სიხარული იცის. დიდი დახმარება გაგვიწია, როცა ვაწყობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით შიდასასკოლო კონკურსს — „კითხულობს უფროსკლასელი“.

ლია ლაღიძე:

— მიტაცებს ტექნიკურ წრეებში მუშაობა. ეს რომ ჩვენმა ხელმძღვანელმა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა ნანა ამბოკაძემ გაიგო, მეტი დახმარება გამიწია — შემარჩევინა თემა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის.

...ალბათ ყველა პიონერი, ყველა აქტივისტი იტყვის მათი ქების თუ მადლობის სიტყვას. მათი დახმარებით არ იყო, რომ გააქტიურდა რაზმეულში საყოველთაო სწავლების შტაბი? კარგად მუშაობენ ნორჩ ძერჟინსკელთა და ძეგლთა დაცვის შტაბები, სადისკუსიო კლუბი, წითელკვალმაძიებელთა რაზმი, ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი...

მეხუთე შრომითი მეოთხედი გორის საკონსერვო აგროსაწარმოო გაერთიანებაში ჩატარდა; თავიდანვე საინტერესოდ დაიგეგმა პედაგოგიური რაზმისა და სკოლის შრომითი რაზმის ერთობლივი მუშაობა. გამოდის პედაგოგიური რაზმის კედლის გაზეთი „იბერია“, მომზადდა სტენდი, რომელიც სხვადასხვა პროფესიის კომკავშირელების მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე მოგვითხრობს.

პიონერული აქტივი, რაზმეულის საბჭო გრძნობს, რომ ჩვენი საქმიანობა უფრო ხალისიანი და საინტერესო გახდა პედაგოგიური რაზმის მოსვლის შემდეგ. განსაკუთრებით ზაზა კოშაძეს გამოარჩევენ. მას ყველა ჩვენს მეგობრად თვლის, მის შესახებ ყველაფერი ვიცით. ზაზამ გორის მე-3 საშუალო სკოლა დაამთავრა. იყო რგოლის ხელმძღვანელი, შემდეგ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, VII კლასიდან — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, მერე კი — სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; წარმატებით დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი. ინსტიტუტშიც ყველა კურსზე ჰქონდა კომკავშირული დავალება. ამჟამად ის ინჟინერ-ტექნოლოგია, კომკავშირის გორის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი და პედაგოგიური რაზმის მეთაურია.

მუშაობა არ გვიჭირს და არც გაგვიჭირდება, რადგან გვერდით გვეგულებიან ჩვენი მეგობრები, ზაზა კოშაძე და პედაგოგიური რაზმის სხვა წევრები.

მეგი ბორცვაძე,
გორის მე-9 საშუალო სკოლის
რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

ეს თქვა გამოცანამ

ისტორია

1802 წელს პარიზელმა გამომცემელმა ჟორჟ ლიუზემ თავის ჟურნალში დაბეჭდა გამოცანა, რომელსაც ასეთი განცხადება წარუმძღვარა:

ერთმა მდიდარმა კაცმა ამ გამოცანაზე სამ თვეს ამაოდ იმტვრია თავი. იგი ათი ათას ლივრს ჰპირდება პირველ ამომხსნელს, ხოლო შემდეგი ათი გამომცნობი მიიღებს ვოლტერის, რუსოსა და სხვა სახელგანთქმული მწერლების ნაწარმოებთა მდიდრულ გამოცემებს. აი, ეს გამოცანა:

მთლად ჭაბუკი ვარ-
და მთლად მოხუცი,
ყინულებრ ცივი,
ცეცხლივით ცხელი,
თმასავით წვრილი,
კასრივით სქელი,
სათნო და თავზე
ხელაღებული,
კუპრივით შავი,
თოვლივით თეთრი,
კუსავით ნელი,
არჩვივით მკვირცხლი,
ისეთი სუსტი,
როგორც ლერწამი,
და ისე მძლავრი,
ვითარცა მუხა,
ისე ღარიბი,
როგორც იობი,
ისე მდიდარი,
ვით მეფე კრეზი;

მე წრიული ვარ
და კვადრატული,
შმაგი გრიგალი,
წყნარი ნიავი,
მე ვარ დემონი
და ანგელოზი,
ვარ მოკვდავი და
მარადიული,
მუდამ სნეული,
მარად ჯანმრთელი,
მე ვარ ბუმბულზე
უფრო მსუბუქი
და ათი ათას
ტონაზე მძიმე,
ვარ ყველგან მყოფი
და მიჯაჭვული,
ვარ ცოლიანი
და მარტოხელა...
გამოიცანი,
აბა ვინა ვარ?

ამ გამოცანის ამოხსნაში მთელი საფრანგეთი ჩაება — მეცნიერები, იურისტები, ექიმები, სამღვდელოება, ჩინოვნიკები, ხელოსნები... ყოველი მხრიდან ლექსად თუ პროზად ათასობით წერილი იგზავნებოდა რედაქციაში. ამ წერილების გადასარჩევად ლიუზე იძულებული გახდა გაეზარდა კანტორის მოსამსახურეთა შტატი. ქუჩებში გაისმოდა სალაღობო სიმღერები ამ გამოცანის შესახებ, ხოლო ერთმა თეატრმა ვოდევილიც კი დადგა სათაურით „ბატონ ლიუზეს გამოცანა“.

დანიშნულ დღეს ლიუზემ ამ გამოცანასა და მის ამოხსნაზე ორმოცდაათიათასტირაჟიანი წიგნი გამოუშვა, მასში გადმოცემული იყო ჯერ კიდევ ძველ ბერძნებსა და რომაელებში ცნობილი, ყველაზე ძველი გამოცანის ისტორია. ბოლოს გამოქვეყნებული იყო გამოცანის სწორი პასუხი: „კონტრასტი“.

გამოცანის პირველი გამომცნობი გახლდათ ღარიბი უნტერ-ოფიცერი, რომელიც სიხარულისაგან კინაღამ ჭკუიდან შეიშალა.

გერმანულიდან თარგმნა ა. ზოთაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №2

მომავალშიც ასე ვიცხოვრებ

ჩემი აზრით, ყოველმა მოზარდმა ანგარიში უნდა გაუწიოს ოჯახის ბიუჯეტს. არასოდეს არ მყვარებია და არც ახლა მიყვარს ძვირფასი ტანსაცმლის ჩაცმა. შეიძლება სპორტმა ჩამოაყალიბა ჩემში უბრალო, მოხდენილი და მოხერხებული სამოსის სიყვარული, ან იქნებ დედ-მამის მაგალითმა იქონია გავლენა — არც ისინი ესწრაფვიან ძვირადღირებული ტანსაცმლის შოვნას. ოჯახში ხუთნი ვართ, ჩვენგან მარტო მამა მუშაობს და დედამ და ბავშვებმა ზიზილ-პიპილები თუ მოვინდომეთ, მამას ძალიან გაუჭირდება.

ერთი სიტყვით, როგორც შესაძლებლობა მაქვს, ისე ვიცვამ. სულ ოდნავადაც არ ვცემ პატივს მოდურ გატაცებებს. თუმცა არ იფიქროთ, მოხდენილად ჩაცმა არ მიყვარდეს. ის კი არა, გამოგიტყდებით, სამკაულებიც მომწონს, განსაკუთრებით — საყურეები. დაბადების დღეზე მაჩუქეს ერთხელ, არცთუ ძვირია, მაგრამ ლამაზია. დღესასწაულებზე ვიკეთებ ხოლმე. ოღონდ შინ, ჩემიანებთან, ქუჩაში კი არა.

მე მგონი, არ შევიცვლები და მომავალშიაც ისე ვიცხოვრებ, რომ ჩემს გამო რომელიმე ჩემიანი არ დაზარალდეს, რამე არ მოაკლდეს.

ნანა მურვანიძე,
ბათუმის 22-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

რასაც გავწვდებით...

ყურადღებით წავიკითხე ლ. დ.-ის წერილი, რომელიც ჟურნალ „პიონერში“ დაიბეჭდა. სხვათა შორის, მეც ბევრჯერ ჩავფიქრებულვარ ამ პრობლემაზე.

ჩემს კლასში ბევრს აცვია უცხოური ტანსაცმელი — კაბა, სვიტერი, პალტო, რომლებიც მაღაზიაში კი არა, ხელზე აქვთ ნაყიდი მამასისხლად. შესვენებისას საუბრის თემა ხშირად ჩაცმაა, ვინ სად იშოვა ესა თუ ის ნივთი, ვის რამდენი დაუჯდა.

ერთხელ ჩემი მშობლები სამზარეულოში სადილობდნენ, შემთხვევით ყური მოვკარი მათ საუბარს:

— რა ვქნათ, ლალის პალტო უნდა, მაღაზიაში საიმისო ვერაფერი ვიშოვე. ის ქალი კი ძალიან ბევრს თხოულობს, — ამბობდა დედა.

— არა, — კატეგორიულად თქვა მამამ — გადამყიდველისაგან ნურაფერს ვიყიდით. დღეს — უცხოური პალტო, ხვალ — ჩექმები, ზეგ — კაბა და ასე შემდეგ... ჩვენი ხელფასი ყველაფერ ამას ვერ გასწვდება. რა ვქნა, წავართვა ვინმეს რამე? არა, რასაც ჩვენი ბიუჯეტი გასწვდება, ის შევიძინოთ. მთავარია სუფთად და ლამაზად ეცვას. ამის მიღწევა კი სამამულო წარმოების ტანსაცმლითაც შეიძლება.

რატომ იფიქრა დედამ, რომ მაინცდამაინც საზღვარგარეთული პალტო მინდა? მე ხომ არავის ვეჯიბრები, გინდა თუ არა შენზე უფრო ძვირფასი ტანსაცმელი მაცვია-მეთქი. ხომ ვერ ვაიძულებ მამას, მრუდე გზით იშოვოს ფული? მამას ხშირად შეუხსენებია ხოლმე ჩემთვის ჩეხოვის ნათქვამი: „ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: გარეგნობაც, სულიც, ტანსაცმელიც, საქციელიც...“

ჰოდა, მეც ამ აზრისა ვარ... მოდა ის არის. რაც შენ გიხდება. და არა ის, რაც მაინცდამაინც მამასისხლადაა შეძენილი, ანდა რაც სხვას აცვია!

ლალი ფავლენიშვილი,
თბილისის მე-6 საშუალო სკოლა,
VI კლასი.

რას მიქვია ძვირფასი ჩანთა!

მე ბებიასთან ვცხოვრობ, სოფელში, აქვე ვსწავლობ. ჩემი ბებია ღვაწლმოსილი პედაგოგია, უყვართ და პატივს სცემენ. მეც ძალიან მიყვარს და ყველაფერს ვუჯერებ.

ერთხელ (მაშინ მეორე კლასში ვიყავი) ჩემს მეზობელ გოგონას ლამაზი ჩანთა დავუნახე, მხარზე გადაკიდებული მიჰქონდა. უცხოური გამოდგა. ძალიან მომეწონა და ბებიას ყურში ჩავჩურჩულე, მიყიდე-მეთქი. მომეფერა და მითხრა: შენი ჩანთა, შვილო, ლამაზიცაა, მოხდენილიც, წიგნები და რვეულები საკმაოდ ეტევა შიგ. ის ჩანთა ლამაზია, მაგრამ ძალიან ძვირია და შენ რომ ახლა ასეთი ძვირფასი ნივთების ტარებას შეეჩვიო, მერე ცხოვრებაში გაგიჭირდებაო.

ახლა გეტყვით, რატომ ვუჩურჩულე ბებიას ის ჩემი სათხოვარი: არ მინდოდა, რომ დედას გაეგონა. დედა ძალიან ავად არის და გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ ჩემი ახირება არ მოეწონებოდა.

ბებიას უარი არც მაშინ მწყენია, მაგრამ ახლა უფრო ნათლად ვხვდები, მართალი რომ არ ვიყავი. დედა ამდენი წელია ავად მყავს, მისი და ჩემი მომვლელი ბებიაა. ხოლო თუ მე ჩემს ბებიკოს დღეს — ძვირფასი ჩანთა, ხვალ — ძვირფასი კაბა, ზეგ — ძვირფასი პალტო მოვთხოვე, მისი ხელფასი მარტო მე არ ამითავდება!..

მშვენივრად დავდივარ სკოლაში

ჩვენი ეპიგრამა

დედავ!

ეს გაუმარჯოს
იმ სპეტაკ სახელს,
დასაბამიდან ქართველობის
მადლი რომ კვებავს,
ეს გაუმარჯოს
დაღლილ ხელებს,
რძისფერ ღამეებს,
უძინარ თვალებს,
ჩვენში მუდამ კეთილს
რომ ხედავს.
გაჭირვების დროს
„ვაი დედით“
რომ დაგიძახებთ,
იმ გრძნობის
სადღეგრძელო იყოს,
მშობელო დედავ!

დათო ჩიქავა,
ზუგდიდის რაიონის შამგონის
8-წლიანი სკოლა, VIII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლის ფორმით, ბათუმში შეკერილი ფეხსაცმლით, თბილისური პალტოთი, თბილისურივე ჩანთით! სუფთად და ლამაზად მაცმევს ბებია, სკოლაში წასვლის წინ დედა დაკვირვებით შემათვალიერებს და მეც ლაღად მივეშურები სკოლისაკენ.

რას მიქვია ძვირფასი ჩანთა!

ირმა ნარსია,

ლანჩხუთის რაიონის ღრმაღელის 8-წლიანი სკოლა, IV კლასი.

ჩვენი საყვარელი მასწავლებელი

ამ წერილს ზესტაფონის რაიონის ქვედა საქარის საშუალო სკოლის მოსწავლეები გწერთ. — გვინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით ჩვენს მასწავლებელს და კლასის ხელმძღვანელს ლალი ერგემლიძეს მივულოცოთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავი. ლალი მასწავლებელი ჩვენი საყვარელი მასწავლებელია. იგი ცდილობს, რომ ყოველი პიონერული დავალება არამარტო შევასრულოთ, არამედ თავი გამოვიჩინოთ კიდეც. მას ცდა არ დაუკლია, ყველა ღონისძიება იხმარა, რომ გაგვემარჯვა რესპუბლიკურ ექსპედიციაში „ლენინის ოცნების გზებით". რა თქმა უნდა, იმედები ჩვენც გავამართლეთ — გავიმარჯვეთ კიდეც.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ საყვარელი მასწავლებლის ნდობის გამართლებისათვის — კარგად ვსწავლობთ, აქტიურად ვმონაწილეობთ პიონერულ საქმიანობაში — დიდი ზეიმით ჩავატარეთ სასექტემბრო პიონერული შეკრება, კარგად მოვემზადეთ 2 ოქტომბრის საკავშირო რადიოხაზისთვის. ის კი არა, ამ დღისთვის აღებული ვალდებულებაც — 500 კგ თივის შეგროვებაც წარმატებით შევასრულეთ.

ამ ყველაფერს ლალი მასწავლებლის თბილ და ყურადღებიან დამოკიდებულებას, მის მიერ კლასის ცხოვრების კარგ ორგანიზაციას უნდა ვუმადლოდეთ.

ზესტაფონის რაიონის ქვედა საქარის საშუალო სკოლის მე-3 რაზმის პიონერები.

გუგუნებდა ლილეო...

აზვირთებული ტალღები ნაპირს ეხლებოდა. ქარი ზუზუნებდა. უცებ გამყინავი კივილი გაისმა, მშველელს უხმობდნენ, ქალი იხრჩობაო.

რიონი კი ღელავდა, მკერდზე მჯიღს იცემდა, იქადნებოდა.

ყველა გაოცებული იყო, რაღაც ძალას გაეშეშებინათ ადგილზე.

უცებ ჭაბუკის წარმოდგენაში აღიმართნენ სვანეთის ზვიადი მთები, ჩაესმა ლილეოს გუგუნი, და არც შეყოვნებულა, ისე შეება ვნებაამღვრეულ რიონს. სვანი იყო და სხვანაირად არ შეეძლო.

გადაარჩინა ქალი და თვითონ შეეწირა მსხვერპლად!

მდინარის ნაპირზე ისევ იდგა ხალხი, გულშეძრული, გათანგული...

...სვანეთი დასტიროდა ვაჟკაცს, მთაში ისმოდა შუნის ბღავილი, ლილეოს გუგუნებდნენ მთები და, ჰოი, საოცრებავ! რიონსაც გადმოსცივდა სინანულის ცრემლები ამღვრეული თვალებიდან.

ისევ გუგუნებდა მთებში სვანური ლილეო, ისევ ბღაოდა შუნი საწყალობლად..

ნონა ჩხიკვიშვილი,

თბილისის 31-ე საშ. სკოლა, IX კლასი.

ანეკდოტი

— დედა, რატომ მაქვს ორი თვალი, ორი ყური, ორი ხელი, ორი ფეხი, ენა და ცხვირი კი თითო?

— იმიტომ, ჩემო გოგონა, რომ ბევრს ხედავდე, ბევრი გაიგონო, ბევრი გააკეთო, მაგრამ ცოტა ილაპარაკო და სადაც საჭირო არ არის, იქ ცხვირი არ ჩაყო. აი, ამიტომ გაქვს ერთი ენა და ერთი ცხვირი.

— მამაჩემი ცალი ხელით მანქანებს აჩერებს.

— უჰ, რა ღონიერი მამა გყოლია.

— ჰო, მილიციონერია.

— ბებია, გინდათ ჩემს ადგილზე დაჯდომა?

— მინდა, შვილო, გმადლობ.

— მაშინ გვერდიდან არ მომცილდეთ, მეორე გაჩერებაზე ჩავდივარ.

რუსულიდან თარგმნა თეთრიწყაროს ქართული საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე გულიკო მჰედლიძემ

ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული მწვრთნელი
ზოთა ინწკირველი

საქართველოსა და თბილისის მრავალგზის ჩემპიონის, ოსტატ ალექსანდრე ბლაგიძის ადრეული შემოქმედებიდან გავეცნოთ პარტიას, რომელიც გათამაშდა 1944 წელს თბილისის ჩემპიონატში. თეთრებით თამაშობდა ძველი თაობის წარმომადგენელი ოსტატი ანდრეი სმაროდსკი (1888-1954). იგი დაწინაურდა პეტერბურგის ტურნირებში. 1913 წელს სრულიად რუსეთის ოსტატთა ტურნირში მოიპოვა ოსტატის წოდება. 1920 წლიდან თბილისში ცხოვრობდა. 1926 წელს გახდა ჩვენი დედაქალაქის ჩემპიონი.

ღირებულებათა გადაფასება

(პაიკთა ცენტრის დათმობა. ფიგურული ცენტრი და ბრძოლის დინამიკური გეგმა)

პარტია № 1

ძველინდური დაცვა

სმაროდსკი — ბლაგიძე

თბილისი, 1944 წ.

1875 წელს ჟურნალმა „დოიჩე ციტუნგმა" გამოაქვეყნა ორ ბრამინს შორის დიდი ხნის წინათ ნათამაშევი პარტია. აქედან იღებს სათავეს სახელწოდება „ძველინდური დაცვა", რომელიც შეარქვა დიდოსტატმა და მახვილგონიერმა ჟურნალისტმა საველი ტარტაკოვერმა (1887-1954).

ძველინდურ დაცვას ზოგჯერ (40-იან წლებშიც კი) „არასწორ დაცვას" უწოდებდნენ, იმიტომ, რომ მასში საკმარისად არ იყო გამოვლენილი კონტრთამაშის რესურსები. ჩვენი აზრით, ძირითადად ეს ეხება სისტემებს, სადაც შავები თმობენ პაიკთა ცენტრს, რაც სივრცის დათმობას ნიშნავს, რაშიც გერმანელი დიდოსტატი და პედაგოგი ზიგბერტ ტარაში (1862-1934) წაგების ჩანასახს ხედავს. ამ შეხედულების გავლენის ქვეშ იყვნენ მთელი თაობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე მოჭადრაკეები არ ერიდებიან ხივრცის დათმობას, არ აშინებთ პოზიციები ორმხრივი ხისუსტეებით. ყოველივე ეს გადაკვანძულია კომპენსაციის ცნებასთან.

ცენტრის (და, საერთოდ, საჭადრაკო თეორიის საკითხების) ღირებულებათა გადაფასებაში მნიშვნელოვანი როლი დიდოსტატმა არონ ნიმცოვიჩმა (1886-1935) ითამაშა. უკვე 1911-13 წლებში პრესაში იგი გამოთქვამდა იმ დროისათვის სრულიად ახალ აზრებს, მაგალითად: „მართალია, ცენტრის შესაქმნელად ყველაზე უფრო ხელსაყრელია პაიკები (მათი სიმყარის გამო), მაგრამ ცენტრში განლაგებულ ფიგურებს სავსებით შეუძლიათ პაიკების შეცვლა. აგრეთვე შესატყვისი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მოწინააღმდეგის ცენტრზე დაწოლას ეტლების ან კუთა ერთობლივი მოქმედებით“. ნიმცოვიჩის წინარმობედად ამ საკითხში მიხეილ ჩიგორინი (1850-1908) უნდა მივიჩნიოთ; მით უმეტეს, ძველინდური დაცვის, როგორც დებიუტის, შემქმნელად ჩიგორინი ითვლება. ცენტრის საკითხში აღსანიშნავია აგრეთვე ნიმცოვიჩის თანამედროვე დიდოსტატ აკიბა რუბინშტეინის (1882-1961) როლი.

თუ ორთოდოქსულ დაცვაში გათანაბრებისათვისაა ბრძოლა, თანამედროვე სისტემები კონტრთამაშზეა აგებული. ლაზიერის გამბიტის 1. d4 d5 2. c4 სხვადასხვა ვარიანტში ხანგრძლივი დაცვის არმოსურნეები — რეტი (1889-1929), ტარტაკოვერი, ეივე და სხვები (ადრე თეთრებით შეტევის სისტემები ამ დებიუტში უკეთ იყო დამუშავებული, ვიდრე შავების კონტრთამაში) ჯერ კიდევ 20-იან წლებში ენერგიულად ამუშავებდნენ და საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში, პრაქტიკაში ნერგავდნენ ახალ დებიუტებს, რომლებიც დაკავშირებული იყო 1. d4-ზე d5-ის ერთბაშად პასუხის უარყოფასთან, მოდერნისტები (ლიდერი რიჰარდ რეტი) ცენტრს პაიკებით მყისვე მაშინაც კი იშვიათად იკავებდნენ, როცა თეთრებით თამაშობდნენ.

ძველინდურის მჩქეფარე განვითარების პერიოდი 1938-50 წლებს განეკუთვნება. ჯერ ისაკ ბოლესლავსკი (1919-1977) და ალექსანდრე კონსტანტინეპოლსკი, შემდეგ დავით ბრონშტეინი, ეფიმ გელერი და სხვები პრაქტიკულად და თეორიულად ამტკიცებდნენ ძველინდური დაცვის რიგ სისტემათა პერსპექტიულობას. აღსანიშნავია ბრონშტეინის ორი კლასიკური პარტია —(პაიკთა ცენტრის დათმობით მოსკოვ-პრაღის მატჩ-ტურნირიდან, 1946 წ.) ზიტასთან და პახმანთან.

ჭადრაკის საფუძვლიანად შესწავლის მსურველებს მივუთითებთ ტოლუშ-ფურმანის პარტიაზე (ლენინგრადი, 1940 წ.), რომელიც ბრონშტეინის ამ პარტიების წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ.

მაშ ასე, პარტია თამაშდება 1944 წელს, როცა ბრონშტეინს ჯერ კიდევ არ შეუქმნია თავისი შედევრები. ეს პარტია ძველი და ახალი გაგების დაპირისპირებაა.

ტაქტიკური მიტელშპილი. ცენტრში კონტრთამაში

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 0—0 5. მge2

თუ 5. e5, მაშინ S ... მe8, d7—d6 და c7—c5 თეთრების პაიკთა ცენტრზე შეტევით.

5. ... d6 6. f3 e5 7. კe3 ed

ცენტრის დათმობა, ისიც ეხოდენ ადრეულ სტადიაში, იმ დროისათვის საკმაოდ თამამი გადაწყვეტილებაა. სამაგიეროდ: 1. იხსნება ეტლისათვის „e“ ვერტიკალი; 2. კუსათვის a1—h8 დიაგონალი; 3. პერსპექტივაშია მხედრებით „c5“ და „e5“ ცენტრალური უჯრების დაკავება. შავები დათმობილი ცენტრის საფასურად ღებულობენ ფიგურულ თამაშს. მიიღწევა „დინამიკური წონასწორობის პოზიცია“ (ამ გამოთქმა-შეფასებას შევხვდით ბოლესლავსკისთან 34 წლის წინათ).

8. მ×d4 c6.

მართალია, d6 პაიკი სუსტდება, მაგრამ ამზადებს d6-d5 გარღვევას ცენტრში, ხსნის ლაზიერისათვის d8-a5 დიაგონალს.

სვლების გადაადგილებით შეიქმნა ცნობილი პოზიცია, რომელშიც თეთრები ინარჩუნებენ უპირატესობას ალატაორცევის სვლით: 9. მc2. ამიტომ შავებით, ჩვეულებრივ, ამჯობინებენ სვლათა შემდეგ თანმიმდევრობას: ჯერ 7. ... c6 და შემდეგ e5×d4.

9. ლb3.

ამზადებს გრძელ როკს და აძლიერებს კონტროლს „d5“ უჯრაზე. და მაინც, ეს სვლა პოზიციას არ შეესატყვისება. ლაზიერი არ დგას თავის ადგილას თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სისტემაში შავები ცდილობენ მხედრებით დაიკავონ „c5“ და „e5“ უჯრები, რაც ამ შემთხვევაში ტემპის მოგებით განხორციელდება და ხელს შეუწყობს ინიციატივის მოპოვებას.

9. ... a6.

გრძელი როკის შემთხვევაში ან ხელსაყრელ მომენტში შავები მზად არიან განახორციელონ b7-b5. კარგია 9. ... d5! 10. ed cd 11. ed ეe8 12. მf2 მc6! და თუ 13. dc, მაშინ 13. ... ე×e3!

10. a4.

არასწორია! მართალია, ხელს უშლის b7-b5-ს, მაგრამ ასუსტებს შავ უჯრებს. მაგალითად: a6—a5 და მb8—a6—b4 ან c5. იკარგება განვითარებისათვის საჭირო დრო.

10. ... ლa5.

ბლაგიძე წუნარ 10. ... a6-a5-ს ამჯობინებს, ბრძოლის გამწვავებას ახორციელებს d6—d5 (და b7—b5).

11. კe2 მb—d7 12. 0—0 ეe8 13. ეa—d1.

შესაძლოა, აქ სმაროდსკი კმაყოფილიც იყო თავისი პოზიციით. მართლაც, თუ ბლაგიძემ ენერგიულად არ იმოქმედა, მაშინ თეთრები თანდათან ლაგამს ამოხდებენ შავებს (1. განამტკიცებენ ტერიტორიულ უპირატესობას; 2. დააფიქსირებენ d6 სისუსტეს). სჯობდა 13. კf2.

13. ... d5!

დროული დარტყმა ცენტრში!

14. cd cd 15. მ×d5 მ×d5 16. ed მc5

თავი იჩინა თეთრების მე-9 სვლის ნაკლმა.

17. ლa3 მ×a4 18. მფf2 კd7.

რამდენიმე სვლაში (d5-ის შემდეგ) პოზიცია მკვეთრად შეიცვალა შავების სასარგებლოდ. მათ დაიბრუნეს პაიკი და ფლობენ მძლავრ ინიციატივას. შეიძლება ითქვას, რომ თეთრებმა სტრატეგიულად წააგეს ბრძოლა.

აჩქარებს წაგებას!

19. ... ე×e3! 20. მფ×e3 ლc3 21. მფf4.

თუ 21. ედ3, მაშინ 21. ...კ×d4 22. მფf4 g5 23. მფg3 (23. მფ×g5 კf6) კe5 24. მფf2 ლ×c5 25. ლ×c5 მ×c5 26. ედ1 მ×b3±

21. ...კ×d4 22. ლe7.

ლაზიერის დაცვაში ჩაბმის ცდა. იმუქრებოდა ლe3.

22. ... კf6!

გათრევის იდეა! აგრეთვე კუ გზას უთავისუფლებს საკუთარ ლაზიერს მეფის ფრთაზე შემოსასვლელად.

23. ლ×d7 ლe5 24. მფg4 ლg5 25. მფh3 ლh4 + +

ამოსახსნელად გთავაზობთ მშვენიერ დაბოლოებას გათამაშებულს საქართველოს ჩემპიონატში (თბილისი, 1946 წ.).

მიკენასი



კერესი

თვალში საცემია შავი ფიგურების დარღვეული კოორდინაცია. მეფე ცუდადაა დაცული. კრიტიკულია d7(c7) პუნქტი. თეთრი ფიგურები შესანიშნავად არიან განლაგებულნი (თვით „განწირული“ მხედარიც!).

ყოველივე ეს თურმე იწვევს b6 და d6 პაიკების გადატვირთვას! დიდოსტატმა კერესმა (1916-1975) ბრწყინვალე ტაქტიკური დარტყმით, ერთ სვლაში გადაწყვიტა პარტიის ბედი!

ველით თქვენს პასუხს.

. . . . . .

ფიდემ ნოტაციაში ცვლილებები შეიტანა, რომლებიც ძალაში შევიდა 1981 წლიდან. მაგალითად, ამიერიდან აყვანა აღინიშნება ×, ხოლო შამათი + + სიმბოლოებით.

ისე, როგორც ორბიტაზე

იაპონიაში შექმნეს 1000 მეტრი სიმაღლის კოშკის პროექტი. კოშკის თავზე რადიო და ტელეანტენებს დააყენებენ, სამზერ მოედანს გააკეთებენ. მაგრამ ამ კოშკს სრულიად ახალი „სპეციალობაც" ექნება — აქ ჩატარდება ცდები უწონობაში.

კოშკში მოთავსებულ შახტში ზესიჩქარის ლიფტი ივლის. მისი დაშვების სიჩქარე თავისუფალი ვარდნის სიჩქარეს გაუტოლდება. ამრიგად, ლიფტში მყოფი ადამიანები ერთხანს თავს ისე იგრძნობენ, როგორც კოსმოსში. გზის ბოლოს ლიფტი ნელა დამუხრუჭდება და მგზავრებიც კვლავ „დაიბრუნებენ" ნორმალურ წონას.

კოშკის აშენება 1985 წლისთვის არის განზრახული.

უჩინარი მლებავი

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მიზულის მცხოვრებმა ქალმა ლორენს პარკერმა იფიქრა, ჩემს მხედველობას რაღაც მოუვიდა—ან ჰალუცინაციები დამეწყო, ანდა ჭკუაზე შევქანდიო. საქმე ის არის, რომ ერთ დილას ქუჩაში გამოსულმა პარკერმა ასეთი რამ დაინახა: მისი სახლის ქათქათა კედლები ნარინჯისფერი და ყვითელი მრგვალი ლაქებით იყო აჭრელებული. სასწრაფოდ გამოძახებულმა ექიმმა გასინჯა ლორენსი და განაცხადა, რომ იგი სავსებით ჯანმრთელია, ფსიქიკური გადახრები არა აქვს, მხედველობაც ღმერთმა ყველას ასეთი მისცეს. მაშ რა მოხდა? ეს გამოცანა ექსპერტებმა—ეკოლოგებმა გამოიცნეს. მათ დაადგინეს, რომ ქალაქ მიზულის ჰაერი ძალზე გაჭუჭყიანებულია და მავნე ნივთიერებებს შეიცავს. საღებავებთან ქიმიური რეაქციის შედეგად ამ ნივთიერებებს ადვილად შეუძლიათ სახლებს ფერი შეუცვალონ.

ვინ გამოიგონა ბურთულიანი კალამი?

1938 წელს უნგრელმა მხატვარმა, მოქანდაკემ და ჟურნალისტმა ლ. ბირომ და მისმა ძმამ (სპეციალობით ქიმიკოსმა) პატენტი აიღეს კალმისათვის, რომელშიც მელანი დგუშის დაწოლით გადაეცემოდა საწერ ბურთულას.

მოგვიანებით ავსტრიაში მელანი პასტით შეცვალეს, რომელიც ჰაერთან შეხებისას უმალვე შრება. ასე შეიქმნა ბურთულიანი კალამი, რომლითაც ახლა თითქმის ყველანი ვწერთ.

მანქანა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს წყალს

შოტლანდიის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრის მუშაკებმა შექმნეს ჰიდროსტატიკურძრავიანი მანქანა, რომელშიც ზეთის ნაცვლად წყალია გამოყენებული.

ერთ-ერთი ასეთი მანქანა, რომელიც გარეგნობით ტრაქტორს წააგავს, მექსიკის ყურეში გადის გამოცდას, ზედ მოწყობილი ტელეკამერები ამოწმებენ მიწაში 300 მეტრ სიღრმეზე გაყვანილ მილსადენს.

„თითში რომ არ მეჩხვლიტა..."

აი, როგორ გამოიგონა ედისონმა, მისი სიტყვებით, ფონოგრაფი:

„ერთხელ, როცა ისევ ტელეფონის გაუმჯობესებაზე ვმუშაობდი, ტელეფონის მემბრანასთან, რომელსაც ფოლადის ნემსი ჰქონდა მირჩილული, წავიღიღინე. მემბრანა ათრთოლდა და ნემსმა თითში მიჩხვლიტა. ამან ჩამაფიქრა. ვიფიქრე, რომ შეიძლებოდეს ნემსის რხევის ჩაწერა და შემდეგ ამ ჩანაწერზე კვლავ ნემსის გატარება, მემბრანა უთუოდ უნდა ამეტყველდეს-მეთქი!

ჯერ ჩვეულებრივი სატელეგრაფო ლენტი გავატარე მემბრანის ნემსის წვერქვეშ და შევამჩნიე, რომ რაღაცნაირი ანბანი მივიღე. მეორედ რომ გავატარე ლენტი, ტელეფონში ჩავძახე: „ალო, ალო", ხოლო შემდეგ ჩანაწერიანი ლენტი კვლავ გავატარე ნემსქვეშ და გავიგონე სუსტი ხმა: „ალო, ალო". მაშინ გადავწყვიტე შემექმნა აპარატი, რომელიც მკაფიო ხმით ალაპარაკდებოდა. ეს ჩანაფიქრი ჩემს თანაშემწეებს გავაცანი და მითითებები მივეცი. მათ კი სიცილადაც არ ეყოთ. ეს არის და ეს მთელი ისტორია, თითში ნემსი რომ არ მეჩხვლიტა, ფონოგრაფს ვერ გამოვიგონებდი".

მაიმუნები — მკრეფავები

ინდონეზიის ერთ-ერთი პროვინციის მეხვეურებმა გადაწყვიტეს ქოქოსის კაკლის მოსაკრეფად მაიმუნები გამოიყენონ. ამ პროვინციაში 10 მილიონამდე ქოქოსის პალმაა, ადგილობრივი მცხოვრებლები კი გაურბიან მათი ნაყოფის კრეფას — რადგან ეს საკმაოდ მძიმე სამუშაოა. გასამრჯელოც მცირეა. სწორედ ამან დაბადა მეხვეურებს ასალებად მაიმუნების გამოყენების იდეა. ამ ცვლილებას და მარჯვე ცხოველებს სპეციალური წვრთნის შემდეგ თამამად შეუძლიათ შეცვალონ ადამიანები.

მიკროფოტოგრაფია და მტრედები

მიკროფოტოგრაფიის გამოგონებას თურმე მტრედების ფოსტამ მისცა პირველი ბიძგი.

1870 წელს გერმანიის ჯარებმა საფრანგეთის დედაქალაქს ალყა რომ შემოარტყეს, ბლოკადაში მყოფმა პარიზელებმა დაიწყეს გარე სამყაროსთან დაკავშირების საშუალებათა ძიება. ასეთი საშუალება მტრედების ფოსტა აღმოჩნდა. მაგრამ განა რამდენი სათქმელი დაეტეოდა მტრედისთვის გატანებულ პაწაწინა ბარათზე? და აი, მტრედებს რომ მეტი ამბის წაღება შესძლებოდათ, დაიწყეს ბარათების გადაღება ერთიციცქნა ფოტოფირებზე. ამავე დროს შექმნეს საპროექციო აპარატი ასეთი წერილების წასაკითხად.

გველები სახურავზე

ამერიკის ქალაქ ოკლაჰომის სასამართლოს შენობის სახურავზე თავდახსნის პოზაშია გარინდული 48 მწვანე და შავი გველი. მაგრამ ოკლაჰომელებს ეს სრულებითაც არ აშინებთ. საქმე ის არის, რომ გველები რეზინისაა და მტრედებისა და შოშიების ურდოთა დასაფრთხობად არიან განკუთვნილი.

რჟიანი კუ

ავსტრალიის ჩრდილო ნაპირებთან მდებარე პატარა კლდოვან კუნძულზე აღმოაჩინეს საკმაოდ მოზრდილი გაქვავებული კუ. დადგინდა, რომ ამ სახეობის კუ 12 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა და ამჟამად მთლიანად გადაშენებულია.

ჩვენი თანამედროვე მეცნიერები პირველად წაწყდნენ ამ საოცარი სახეობის წარმომადგენელს. ალბათ იკითხავთ, რატომ საოცარიო? აი, რატომ: ჯერ ერთი, კუს ორი წვეტიანი, უკან მოხრილი რქა ჰქონდა. როცა თავს ჯავშანში მალავდა, რქები გარეთ რჩებოდა; მეორეც, მას ჰქონდა კარგა გრძელი, ნიანგის ბოლოს მსგავსად დაკბილული რქოვანი კუდი; და მესამეც, მისი ჯავშანი ძალიან თხელი იყო. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც გადაშენდა ეს სახეობა — მის რქებს მტრის მხოლოდ შეშინება შეეძლოთ, რქენა კი — არა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოსმოსური კატასტროფა ნაჯახალევი?

შალვა საბაშვილი

დედამიწის ჭრილობები

ამერიკის შეერთებულ შტატებში, შტატ არიზონაში არის 1 კმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე კრატერი; იგი ისტორიამდელ პერიოდშია წარმოშობილი უზარმაზარი რკინის მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად. ამას ისიც ამტკიცებს, რომ კრატერის გარემომცველ უდაბნოში ათასობით ნამტვრევი აღმოუჩენიათ, რომელთა საერთო წონა 30 ტონას აღემატება. კრატერის სიღრმე 140 მეტრია.

დედამიწაზე არსებობს რამდენიმე ათეული ასეთი წარმონაქმნი, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეიძლება დავუკავშიროთ ციურ სხეულთა ჩამოვარდნას. ზოგი უკვე წყლით ავსებულა და ამჟამად ტბას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირში ასეთი კრატერები ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე გვხვდება. ზოგან ისინი ჯგუფებად არიან განლაგებულნი, რაც მოწმობს, რომ ციური სხეული დედამიწის ზედაპირზე დაცემის წინ, ჰაერშივე, რამდენიმე სხეულად დამსხვრეულა და თითოეულს „თავისი კრატერი" წარმოუქმნია.

დედამიწაზე ყოველწლიურად დაახლოებით 500-მდე მეტეორიტი ვარდება, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი-ორი ათეული იძებნება. ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის მუზეუმებში 1600-მდე მეტეორიტი ინახება, აქედან 700 მეტეორიტის ვარდნა შეუმჩნევიათ, სხვები ნაპოვნია შემთხვევით. ზოგი ასტრონომის აზრით, დედამიწაზე ყოველდღიურად საშუალოდ 100 კგ წონის 2000-მდე მეტეორიტი ვარდება, მაგრამ ეს რომ მართლა ასე იყოს, დედამიწის მასა ყოველწლიურად 73 000 ტონით გაიზრდებოდა.

ცნობილი მეტეორიტებიდან ყველაზე დიდი სამხრეთ აფრიკაშია ჩამოვარდნილი. მას გობა ჰქვია, იწონის 50 ტონას.

იმის თაობაზე, თუ საიდან ჩნდება მეტეორიტები, რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, მეტეორიტი შეიძლება იყოს მცირე ზომის პლანეტა — ასტეროიდი. ასტეროიდები ძირითადად მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის მოძრაობენ, მაგრამ ზოგმა, ვთქვათ, პლანეტის მიერ შეშფოთებების გზით, შეიძლება გაწელილ ორბიტაზე დაიწყოს მოძრაობა და დედამიწამდეც მოაღწიოს. მაგალითად, ასტეროიდმა ჰერმესმა სულ 800 ათას კმ-ზე ჩაუარა დედამიწას! მართალია, ასეთი ასტეროიდი სულ ერთ ათეულამდეა ცნობილი, მაგრამ ასტეროიდი ხომ უამრავი არსებობს: მიახლოებითი შეფასებებით, 10 ათასი ათ კმ-მდე დიამეტრის მქონე და ასეულ ათას მილიარდამდე — 1 მ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ასტეროიდი, და ბევრმა მართლაც შეიძლება შეიცვალოს ორბიტა. ორბიტებს ისინი შეიცვლიან ერთმანეთთან შეჯახების შემთხვევაშიც. გაჩნდა სხვა მოსაზრებებიც, მაგ., ეპიკის აზრით, მეტეორიტები, და ზოგი ასტეროიდიც, კომეტებისაგან ჩნდება — მათი გულების ნაშთებია. ამის საწინააღმდეგოდ, ირკვევა, რომ მეტეორიტების უმრავლესობა მილიონობით წლის მანძილზე მაღალი ტემპერატურის პირობებშია ნამყოფი, კომეტების გულები კი გაყინული ნივთიერებებისაგან შედგება. იმასაც ფიქრობდნენ, მეტეორიტები მთვარის ნამსხვრევებიაო და ასტეროიდების ან კომეტების დაჯახებისას არის წარმოქმნილიო, მაგრამ მთვარის ქანების შესწავლამ არ დაადასტურა ეს დებულება — მათი აგებულება არ ემთხვევა მეტეორიტების აგებულებას. შესაძლოა სხვადასხვა მეტეორიტი სხვადასხვა გზით იყოს წარმოშობილი.

ატმოსფეროში მეტეორიტების შემოჭრა ხდება დიდი სიჩქარით (წამში 10-20 კმ). მცირემასიანი მეტეორიტები მუხრუჭდებიან და დედამიწაზეც დიდ ნგრევას ვერ იწვევენ, მაგრამ თუ მეტეორიტის მასა 100 ტონაზე მეტია, ჰაერის სვეტი საგრძნობლად ვერ შეუცვლის მას სიჩქარეს და მან, შესაძლოა, დიდი აფეთქება გამოიწვიოს. ამგვარი აფეთქებები, საბედნიეროდ, იშვიათია. ისტორიულად დადასტურებულია ერთადერთი ასეთი აფეთქება — ტუნგუსკის მეტეორიტის აფეთქება, რომელზედაც მომდევნო წერილში ვისაუბრებთ.

მეტეორიტების ცვენა აღწერილი აქვთ ბერძენ მეცნიერებს ანაქსაგორს და დიოგენს. ანაქსაგორი მათ ციურ სხეულებად მიიჩნევდა, მაგრამ ამ შეხედულებას ბევრი არ იზიარებდა. მოგვიანებითაც, 1796 წელს, ერთ-ერთი მეცნიერი, ბინგლი წერდა:

„განა უფრო გონივრული არ იქნება ვიფიქროთ, რომ ყველა სუბსტანცია, რომელიც კი ოდესმე ატმოსფეროდან ჩამოვარდნილა წინათ თუ ახლა, სხვა არაფერია, თუ არა ქვიშა ან რაიმე მისი მსგავსი, რაც ტბის, დიდი მდინარეების ანდა ზღვის ფსკერზეა დალექილი და წარმოიქმნება ბუნებრივი გზით, ღრუბლების მიერ ძლიერი ზემოქმედების ან მიზიდვის დროს? მაგრამ ბანალური იქნებოდა გვეთქვა, რომ ღრუბლები ხშირად წყლის რეზერვუარების ზემოთ არიან და, ჩვეულებრივ, ამ რეზერვუარებიდან იტაცებენ მათი ნივთიერების უზარმაზარ რაოდენობას, მასთან ერთად კი, ეჭვს გარეშეა, იმ სუბსტანციებსაც, რომლებიც ყველა ნივთთა საფუძველია... ეჭვს არ იწვევს, რომ ღრუბლებთან ერთად მაღლა ამავალი ნაკადები ზოგჯერ კრისტალივით გამჭვირვალე არიან, ზოგჯერ კი — მღვრიე და ნისლიანი. სხვა შემთხვევაში ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ამ სუბსტანციებმა, ატმოსფეროს რაიმე უჩვეულო შერყევის გზით, თავი მოიყარონ და დედამიწაზე დაბრუნდნენ".

ხომ მეცნიერულ სამოსელშია გახვეული ეს მსჯელობა? და მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲐᲜᲘᲡᲬᲘᲚᲐᲓ

ᲣᲙᲒᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝᲐ!

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქ. სსრ შსს
სახ. ავტოინსპექციის საღრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების
სახ. ინსპექტორი კ. კანდელაკი.

დამატებითი ინფორმაციის ნიშნები გამოიყენება სხვა ნიშნების მოქმედების დასაზუსტებლად ან შესაზღუდავად.

7.1.1 — 1.1.4 — „მანძილი ობიექტამდე“.

7.1.1 მიუთითებს მანძილს ნიშნიდან სახიფათო უბნის დასაწყისამდე, შესაბამისი შეზღუდვის ან მოძრაობის მიმართულებით წინ მდებარე გარკვეული ობიექტის (ადგილის) ზონამდე.

7.1.2 მიუთითებს მანძილს ნიშნიდან „დაუთმეთ გზა“ (2.4) გზაჯვარედინამდე, იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ გზაჯვარედინის წინ დადგმულია ნიშანი „გაუჩერებლად გავლა აკრძალულია“ (2.5).

7.1.3, 7.1.4 მიუთითებენ მანძილს ავტომაგისტრალამდე ან დგომის ადგილამდე.

7.5.1 — „შაბათი, კვირა და სადღესასწაულო დღეები“.

7.5.2 — „საშუაო დღეები“.

7.5.3 — „კვირის დღეები“.

ნიშნები 7.5.1—7.5.3 მიუთითებენ კვირის დღეებს, რომლის დროსაც მოქმედებს ნიშანი.

7.5.4—7.5.7 — „მოქმედების დრო“.

მიუთითებენ დროს, როცა მოქმედებს აღნიშნული ნიშანი.

7.6.1—7.6.5 — „სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გაჩერების წესი“

უჩვენებს მსუბუქი ავტომობილების და მოტოციკლების სადგომზე გაჩერების წესს.

7.7 — „ჩამქრალი ძრავით დგომა“.

უჩვენებს, რომ სატრანსპორტო საშუალების დგომა შეიძლება მხოლოდ ჩამქრალი ძრავით.

7.8 — „ფასიანი სადგომი“.

7.9 — „დგომის ხანგრძლივობის შეზღუდვა“.

7.10 — „ავტომობილების შემოწმების ადგილი“.

7.11 — „მთლიანი მასის შეზღუდვა“.

7.12 — „სახიფათო გვერდული“.

7.13 — „მთავარი გზის მიმართულება“.

7.14 — „მოძრაობის ზოლი“.

7.15 — „უსინათლო ჯვეითად მოსიარულენი“.

უჩვენებს, რომ გადასასვლელით სარგებლობენ უსინათლოები.



იგი მცდარია! XVIII ს. ბოლოს გახშირდა ცნობები მეტეორიტთა ცვენის თაობაზე. 1794 წ. გერმანელმა იურისტმა და ფიზიკოსმა ხლანდიმ გამოსცა წიგნი, სადაც ამტკიცებდა, ეს რკინის მასები ბოლიდების ნაშთებია და, შესაძლოა, ისინი დამსხვრეული პლანეტის მემკვიდრენი იყვნენო. 1799 წ. იგივე აზრი გავრცელდა ქვის მეტეორიტების შესახებ. და მაინც, მეტეორიტთა ციურ წარმომავლობას არ იჯერებდნენ. 1808 წელს კონექტიკუტის შტატში (აშშ) მეტეორიტი ჩამოვარდა. ცნობას ამ მეტეორიტის შესახებ ასეთი სიტყვებით შეხვდა ევროპელი მეცნიერი თ. ჯეფერსონი: „უფრო ადვილი დასაჯერებელია, იანკი პროფესორები ტყუოდნენ, ვიდრე ის, რომ ქვები ციდან ცვიოდეს“.

მაგრამ სინამდვილეში ქვები მართლაც ცვივა ციდან. ყველა ჩამოვარდნილი მეტეორიტის 92% (წონის მიხედვით) სწორედ ქვის მეტეორიტებია, 4% რკინისა და დანარჩენი — რკინა-ქვისა. ამაში საოცარი არც არაფერია, რადგან ცა იგივე სამყაროა, სადაც არსებობენ ვარსკვლავები, პლანეტები, მთვარეები და სხვ. სიტყვები „ციური“ და „მიწიერი“ ერთმანეთს არ უპირისპირდება!

საინტერესოა, რომ დედამიწაზე ცვივა ე. წ. მიკრომეტეორიტებიც, რომელთა მასა გრამის მეასმილიონედიდან მეასმილიარდემდე მერყეობს. ასეთ მეტეორიტებს შეუძლიათ გახვრიტონ კოსმოსური ხომალდის ზედაპირი. ხშირად, თურმე, კოსმოსური ხომალდი მიკრომეტეორიტთა ზონაში შედის და დაჯახებათა სიხშირე 10-ჯერ იზრდება. დედამიწაზე ასეთი უმცირესი მეტეორიტები, რომელთა ზომა მმ-ის მეათასედის რიგისაა, თოვლზე გროვდება ხოლმე. არ არის გამორიცხული, რომ დედამიწაზე მიკრომეტეროტების სახით უფრო მეტი ნივთიერება ეცემა, ვიდრე დიდი ზომის მეტეორიტების სახით.

კუბიკები

20 კუბიკიდან რომლები ეკუთვნის A ჯგუფის კუბიკებს და რომლები — B ჯგუფისას?



გამოცანები

თვალს ვერასოდეს შეასწრებ,
თუმც მუდამ თან სდევს
ზამთარს,
ფანჯრის მინებზე უფუნჯოდ
ათასგვარ სურათს ხატავს.

ღამით ვხედავთ, დღისით — ვერა,
მაგრამ როდი ქრებიან,
მზის ამოსვლის ეშინიათ,
ცაში იმალებიან.

გ. შეთეკაური

თუმცა უყურო გახლავს,
აქვს საოცარი სმენა,
მეტყველებს კიდეც, მაგრამ
არ გააჩნია ენა,
თუკი გახძახებ რამეს,
გაიმეორებს ხელად.

ციფრებით უნდა დაწერო
ამ საუკუნის წელი,
უკულმა შეტრიალებაც
როდი იქნება ძნელი,
მაინც იგივე დარჩება,
თუ მიხვდი, პასუხს ველი.

ტრაქტორისტს ერთი ძმა
ჰყავდა —
კომბაინერი დიტო;
მაგრამ დიტოს კი არადროს
ძმა არ ჰყოლია თვითონ.
ეს როგორ მოხდა ნეტავი,
ვერ განმიმარტავ ვითომ?!

ალმასივით აელვარდა
აურაცხელ სვეტად,
ფანჯარაზე აკაკუნებს,
რას თხოულობს ნეტავ?

შარადა

ზღვაში ტალღების აქოჩვრას
რაც ეწოდება, გიგია,
სახელისათვის საჭირო
სახელი მარტო იგია.

თავში რომ ბგერა დამჯდარა,
გამოსაკლები ის არი, —
ქუხილის მაცნედ ზეცაში
გადატუდა ცეცხლის ისარი.

შ. ამირანაშვილი

საძიებელი

რუსაიძე გ. — წინ კიდევ ბევრი საქმეა (ნარკვევი) 1
აფხაზავა ნ. — სხვისი საქმე (მოთხრობა) 4
გორგანელი ვ. — მოდის არმია ძმობის (ლექსი) 6
ცაგარელი თ. — „პიონერფილმი" და მისი გზა კეთილი (ნარკვევი) 11
შამფრიანი ს. — მოგონება (ლექსი) 14
ა ი ს ი 14
ჯოგაძე გ. — შინდის ხის მძივები (მოთხრობა) 16
ულენტი ვ. — თეატრი და ბავშვები (წერილი) 18
ივანოვი ვ. — მიქელანჯელო (მოთხრობა) 20
მესტიაშვილი მ. — ყურადღება, თქვენს გვერდით მოზარდია! (წერილი) 22
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი 23
კ ო ც ო ნ ი 24
ე რ თ ი გ ა მ ო ც ა ნ ი ს ი ს ტ ო რ ი ა (თარგმანი გერმანულიდან) 25
დიდიანამიშვილი ელ. — როცა სიმღერები არ ბერდებიან (წერილი) 26
მ ხ ე დ რ ი ო ნ ი 27
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე 29
საბაშვილი შ. — კოსმოსური კატასტროფის ნაკვალევი? (წერილი) 30
ფ რ თ ხ ი ლ ა დ, ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ი ა! 31
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი 32
თ ა მ ა შ ო ბ ე ბ ი . . . . . გარეკ. 3
ს ი მ ღ ე რ ა მ შ ო ბ ლ ი უ რ ჰ ა ნ გ ე ბ ზ ე (მუსიკალური ნოტი) . . . . . გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თამაზ ხუციშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია. გაიოზ ფოცხიშვილი, გიორგი ჭლიბაძე, როგერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკაძაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

მაკეტი შეადგინა გ. ფოცხიშვილმა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის—93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93 97-01. გადაეცა ასაწყობად 25/II-81 ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III-81 ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 586. ტირ. 151.750 ეგზ. უე 07005.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии Издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151.750 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული მოკვეთა

პიონერგოლი

ეს თამაში ფრენბურთს წააგავს, ოღონდ ერთდროულად ორი ბურთია თამაშში. ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვა, რომ შენს სათამაშო მოედანზე ორივე ბურთი ერთდროულად აღმოჩნდეს (ამ შემთხვევაში ქულას წააგებ). მაშასადამე, უნდა ეცადო, რაც შეიძლება სწრაფად გააგზავნო ბურთი მოწინააღმდეგის მოედანზე. ცხადია ამ თამაშში შეუძლებელია ლამაზი კომბინაციის გათამაშება (ვიდრე კომბინაციას გაითამაშებ, შეიძლება წააგო კიდეც), სამაგიეროდ აუცილებელია სიმარდე, სისწრაფე. თამაში მიმდინარეობს ორ ტაიმად. თითო ტაიმი სამწუთიანია.

ვინ გადაწონის?

მოედანზე მოხაზეთ 2 მეტრი დიამეტრის მქონე წრე. წრის ორ მოპირდაპირე მხარეს უნდა დაამაგროთ ალმები (ალამი მაგრდება ჯვარედინად დაჭედებულ ორ ჯოხზე, აი, ისეთზე, როგორსაც ნაძვის ხის დასადგმელად ხმარობთ). ორი მოთამაშე



დგება წრის ცენტრში, ცალი ხელი ორივეს თავისუფალი აქვს, ხოლო მეორე ხელი მოწინააღმდეგის ხელზე უკიდია. მსაჯის სასტვენის ხმაზე უნდა ეცადო მოწინააღმდეგე შენსკენ გადმოიტირიო იმდენად, რომ როგორმე თავისუფალი ხელით შენს ალამს შეეხო. თუ ამას მოახერხებ, ქულა გეწერება. რა ანგარიშამდე ითამაშებთ, ეს წინასწარ უნდა დათქვათ.

ხელი ხელში

ამ თამაშისას მთავარია საწყისი დგომი. ფეხები მჭიდროდ უნდა იყოს შეტყუპებული, ტერფი და ქუსლი ერთად. ამ დგომის შენარჩუნება აუცილებელია.

ერთმანეთის პირისპირ ასეთ დგომში მყოფ ორ მოწინააღმდეგეს შორის ხაზია გავლებული მსაჯის სასტვენის ხმაზე იწყება შეჯიბრება. მოწინააღმდეგის ხელისგულზე შენი ხელისგულის დარტყმით უნდა ეცადო, რომ მან წონასწორობა დაკარგოს და ძალაუნებურად, წონასწორობის აღსადგენად ფეხი უკან გადადგას. ეს კი ორ საჯარიმო ქულას ნიშნავს. ასეთივე ჯარიმას იღებს მოთამაშე, თუ გავლებულ ხაზს გადააბიჯა ეს მაშინ მოხდება, როდესაც მოწინააღმდეგე ეშმაკობას იხმარს (ამ თამაშში ეს დასაშვებია): თავს ისე მოგაჩვენებს, თითქოს შენს დარტყმას თავის ხელისგულს უშვერს, სინამდვილეში



კი ხელისგულს უკან გასწევს; აქ შენ თავს ვერ შეიკავებ, წინ წავარდები და ცხადია, ხაზსაც გადააბიჯებ. დარტყმა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ხელისგულზე ხელისგულით. თუ ხელი მოწინააღმდეგის ტანზე ან მკლავზე მოგიხვდა — ჯარიმა 1 ქულაა. ანგარიშზე წინასწარ შეთანხმდით.

ანთეოსი და ჰერკულესი

ლეგენდარული ჰერკულესის ერთ-ერთი გმირობაა ანთეოსზე გამარჯვება. ანთეოსი უძლეველად ითვლებოდა; მაგრამ არავინ იცოდა, რომ ის უძლეველია მანამდე, ვიდრე მიწაზე უდგას ფეხი: დედამისი ჰერა, მითის თანახმად. მიწის ქალღმერთი იყო და სწორედ ის ანიჭებდა შვილს ამ ძალას.

ჰერკულესმა ანთეოსი მიწას მოსწყიტა და ეს ფარული ძალა წაართვა.

ამ შეჯიბრებაში მოთამაშეები რიგრიგობით ასრულებენ ანთეოსისა და ჰერკულესის როლს.

ბრძოლა მიმდინარეობს 2-3 მეტრი დიამეტრის მქონე წრეში. „ჰერკულესის“ მთავარი ამოცანაა მოსწყვიტოს „ანთეოსი“ მიწას და წრის გარეთ გაიყვანოს. ამაში მას საში ქულა ეწერება. თუ ბრძოლის პროცესში (ვიდრე „ანთეოსი“ ჯერ კიდევ მიწაზე დგას) „ჰერკულესი“ თუნდაც ცალი ფეხით გავა წრიდან, „ანთეოსს“ 1 ქულა ეწერება და ბრძოლა თავიდან იწყება.

შემდეგ მოთამაშეები როლებს ცვლიან.

●

ეს ყირგიზული თამაშია, რომელშიც მოწინააღმდეგეები ცდილობენ ერთმანეთი სარტყელის დახმარებით გადაწონონ. სარტყელს, რომლის სიგრძე 3 მეტრია, ბოლოები რგოლებად აქვს გამონასკვული. ამ რგოლებს მოთამაშეები იღლიების ქვეშ ამოიდებენ და ერთმანეთთან ზურგშექცევით დგებიან. თუ ამ ზომის სარტყელს ვერ იშოვით, ჩვეულებრივი მსხვილი თოკითაც იოლად გახვალთ.

მსაჯის ნიშანზე თითოეული მოთა-



მაშე ცდილობს წინ წაიწიოს და მოწინააღმდეგეც თან გაიყოლიოს. მოთამაშეებს შორის გავლებულია ხაზი. თუ მოწინააღმდეგემ შესძლო და ამ ხაზზე გადაგაბიჯებინა, წაგებული ხარ და თამაში თავიდან იწყება.

ს. გლიაზერი,
სპორტის ოსტატი.

6 90/48

ინდექსი 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსი
ელენე
ღიღიმაამიშვილისა
ტემპი ზომიერი, მშვიდი

სიმღერა ეროვლიერ ჭანტუჯზე

გივი
რიკიაშვილისა



1. ჩემი სამშობლოს დიდების
ზეცა ნათელი, მაღალი,
ჰანგები ფრთაგაშლილები,
ფიქრი უზადო, ალალი...

მისამღერი:
დედის გულივით მხურვალე —
დედა-თბილისის ლაღი მზე...
მხნეობა, მზის სიყვარული,
და რუსთაველის გამზირზე
გასხივოსნება სვიანის —
სულმნათის, დიდი მესხისა,
ვინც მოუტანა სიამით
მოყვარეს — სიბრძნე, მტერს —
რისხვა.

2. უფრო იზრდება, მაღლდება,
ეს შვილთა გამრჯე ხელია,
ხალხის სიკეთის გამლებად
სიტკბო ნურც გამოლევია!..

მისამღერი:
მხნეობა, მზის სიყვარული,
დიდი სიმღერა გრძნეული...
ჩემი უკვდავი მამული
არსად, აროდეს ძლეული:

მიწა უხვი და ვრცელია,
ბარაქას უმშვენებია,
„რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია“...